ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

ორშაბათი, 21 დეკემბერი, 2009 №326 (5067) ფასი: 30 თეთრი

3090

sms განცხადებები „ახალ თაობაში“

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე **3090** მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი

ვინ უნდა აგოს პასუხი ქუთაისში დატრიალებულ ტრაგედიაზე

ახალი პარლამენტის შენობაც ცოდვიან ადგილზე აშენდება

გვ.2

დიდებიდან ფაშიზმამდე

გვ.3

ანტიფაშისტური მემორიალი, გაეროს რეზოლუციის მიუხედავად, ააფეთქეს

საკაშვილის ნებართვის გარეშე ცხინვალში ვერავინ შევა

გვ.5

ხელისუფლება რუსეთთან კულუარულ მოლაპარაკებებს აწარმოებს

გიბრალტარის განაჩენი — ფრე ჯოზეფ ქეის სასარგებლოდ

14 დეკემბერს, გიბრალტარის სასამართლოს გადაწყვეტილებით, ჯოზეფ ქეი ბადრი პატარკაციშვილის თორშეტმილიარდიანი ქონების თანამფლობელად გამოცხადდა.

გიბრალტარმა დაადასტურა, რომ ჯოზეფ ქეი, გარდა იმისა, რომ ბადრი პატარკაციშვილის ახლო ნათესავი და ბიზნეს-პარტნიორი იყო, ასრულებდა ურთულეს ფინანსურ ოპერაციებს, რომლებიც მხოლოდ აწ გარდაცვლილმა ოლიგარქმა იცოდა. ოფშორები, თრასტები, საინვესტიციო კომპანიები და ჰოლდინგები ანუ პატარკაციშვილის სადავო მემკვიდრეობის ძირითადი სტრუქტურა ქეის ქმნილებაა და მხოლოდ მისთვისაა ცნობილი, სად, რა, როდის და რამდენი ინვესტიცია, უძრავი და მოძრავი ქონებაა მიმოფანტული.

გიბრალტარის სასამართლოს გადაწყვეტილებით, ჯოზეფ ქეია აღიარებული თრასტების რეალურ მფლობელად, რადგან, როგორც სასამართლოს დასკვნაში წერია: *„მათზე (თრასტებზე) ხარჯებს უშუალოდ სწევდა ქეი, ხოლო ირიბად — ბადრი პატარკაციშვილი“.*

ეს განაჩენი შესაძლოა პრეცედენტად იქცეს სხვა პროცესებისთვის. მოსამართლე ენტონი დადლიმ ვერ მოახერხა კონკრეტული ვერდიქტის გამოტანა იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა განაწილდეს წილები ჯოზეფ ქეისა და პატარკაციშვილის ოჯახს შორის. როგორც ჩანს, საქმე კვლავ გაგრძელდება.

ბადრი პატარკაციშვილის ქვრივი ინა გუდავაძე, რომელიც ფაქტობრივად დარწმუნებული იყო, რომ გიბრალტარის სასამართლოში გადამწყვეტ გამარჯვებას მოიპოვებდა, ცხადია, განრისხებულია და წარუმატებლობას ადვოკატებსა და ბორის ბერეზოვსკის აბრალებს. მას ჯერ საჯარო კომენტარი არ გაუკეთებია. როგორც ჩანს, ქეის სასამართლო სტრატეგია ამ ეტაპისთვის უფრო ეფექტიანი გამოდგა.



გვ.4

გამსახურდიას სიკვდილთან დაკავშირებით უფროსი ჯორჯ ბუში უნდა დაიკითხოს!

გვ.6

გიორგი ტუღუშს 6-თვიანი გამოსაცდელი ვადა მისცეს

გვ.4

რატომ არ გამოეხმაურა ომბუდსმენი პატრიარქის შეურაცხყოფას

გვ.3

ოპოზიციამ ბაქიბუქობას თავი უნდა დაანებოს!

სოსო ცისკარიშვილს ახალი საპროტესტო ტალღის აღარ სჯერა

გვ.10

საზოგადოება ახალი საპროტესტო ტალღის დაწყების აუცილებლობაში უნდა დავაჯეროთ

ამ კვირიდან ვირუსის შემცირებას ველოდებით

6 მწვანეები ნორიოში ნაგავსაყრელის მშენებლობას აპროტესტებენ

2 სკოლის დირექტორი ნარკოტიკებზე დააკავეს

7 ბელორუსს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარება არ გადაუწყვეტია

6 სვანეთში ჩატარებული სპეცოპერაციის გამო საკაშვილი დაისჯება?

ვინ უნდა აგოს პასუხი ქუთაისში დატრიალებულ ტრაგედიაზე

ახალი პარლამენტის შენობაც ცოდვიან ადგილზე აშენდება

თეა მარხვაი ე

ჩვენმა კანონმდებლებმა დიდი ზარ-ზეიმით მიიღეს გადაწყვეტილება ქუთაისში პარლამენტის სანახევროდ გადატანის თაობაზე. ამ გადაწყვეტილების მიღებამ ოპოზიციის გაღიზიანება გამოიწვია. მათი ნაწილი პარლამენტის ქუთაისში გადატანის წინააღმდეგი იყო. ამის გამო ქუთაისის მაჟორიტარმა დეპუტატმა აკაკი ბობოხიძემ თავის კოლეგებს შეურაცხყოფაც კი მიაყენა. მისი განცხადებით დეპუტატებს ერთი ადგილის აწევა ეზარებათ.

ერთი ადგილის აწევის ხსენებას დიდი აურზაური მოჰყვა. ქუთაისის მაჟორიტარის ფრაზამ პარლამენტის თავმჯდომარეც კი გააღიზიანა. ასე იყო თუ ისე, გადაწყდა, რომ პარლამენტი ქუთაისში გადავიდოდა.

რომელიმე ძველ შენობაში ჩვენებურ კანონმდებლებს განთავსებას როგორ აკადრებდნენ. გადაწყდა, რომ მათ თანამედროვე შენობას აუშენებდნენ. ეს თანამედროვე შენობა კი სულ რაღაც 50 მილიონი დაჯდება. ადგილიც სწრაფად შეარჩიეს. მავანთა გადაწყვეტილებით პარლამენტის შენობა იმ ადგილზე უნდა განთავსებულიყო სადაც „დიდების მემორიალი" იდგა. მონუმენტი, რომელიც დღეს უკვე აღარ არსებობს, მოქანდაკე მერაბ ბერძენიშვილს ეკუთვნის. ეს მემორიალი მეორე მსოფლიო ომის დროს დაღუპულთა ხსოვნას ეძღვნება.

ხელისუფლება მემორიალის აფეთქებას რომ აპირებდა, ეს საზოგადოებამ წინა კვირაში შეიტყო. ოპოზიციამ და ხელოვნების სფეროს წარმომადგენლებმა ეს ამბავი მაშინვე გააპროტესტეს. იმერეთის ყოფილი გუბერნატორი თემურ შაშიაშვილი თანამოაზრეებთან ერთად საგანგებოდ ჩავიდა ქუთაისში. მათთან ერთად იმყოფებოდა მემორიალის ავტორიც.

„დიდების მემორიალის" აფეთქების შესახებ გადაწყვეტილებას დიდი გამოხმაურება მოჰყვა რუსეთში. რუსული მედია ამ საკითხით ძალიან დაინტერესდა. საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებმა მათ განუმარტეს, რომ ისინი მონუმენტს დანგრევას კი არა, შეკეთებას უპირებდნენ.

გავრცელებული ინფორმაციით მემორიალის დემონტაჟი 20 ან 21 დეკემბერს უნდა განხორციელებულიყო. ოპოზიცია იმ დღეს ქუთაისში გრანდიოზული აქციის მოწყობას აპირებდა. ხელისუფლებამ გადაწყვიტა ოპოზიციისთვის „შტუკა" გაეკეთებინა და მონუმენტი რამდენიმე დღით ადრე ააფეთქა.

ამ ფაქტს უმსხვერპლოდ რომ ჩაევლო, ოპოზიცია მაშინაც ბევრს ილაპარაკებდა. ისე, მართლა გასარკვევი იყო, რაღა მაინცდამაინც წმინდა ნიკოლოზის ხსენების დღეს მოუნდა ხელისუფლებას „დიდების მემორიალის" აფეთქება. ეს მემორიალი ლენინის ან მარქსის სახელზე რომ ყოფილიყო აგებული, კიდევ გავიგებდით რამენაირად. ეს მონუმენტი მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა ხსოვნისადმი იყო მიძღვნილი. როგორც ჩანს, ჩვენს ხელისუფლებაში არიან ადამიანები, ვისაც მიაჩნია, რომ ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლა დიდი დანაშაული იყო.

ასეა თუ ისე, ხელისუფლებას მონუმენტის აფეთქება ვერავინ გადააფიქრებინა. მონუმენტის აფეთქება ნაჩქარევად მოხდა, რაც, სამწუხაროდ, მსხვერპლით დასრულდა.ახალი პარლამენტის შენობისთვის ადგილის გათავისუფლებას 2 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. ნამსხვრევებმა 8 წლის გოგონა და დედამისი იმსხვერპლა.

გეგმის თანახმად, ნამსხვრევები ტრიალი მინდვრის მიმართულებით უნდა გადაცვენილიყო. მოსალოდნელი გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით პოლიციას პერიმეტრიც გადაკეტილი ჰქონდა. ახლომდებარე კორპუსების მაცხოვრებლებს კი სახლების დატოვება ურჩიეს.

აფეთქების შედეგად ნამსხვრევები სულ სხვა მიმართულებით გადაიყარა. მათი ნაწილი კორპუსებს შორის ჩაცვივდა, რასაც ორი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. ამას ბუნებრივია საზოგადოების აღშფოთება მოჰყვა.

მომხდარიდან ძალიან მოკლე ხანში პროკურატურაში საგანგებო ბრიფინგი გაიმართა. მთავარი პროკურორი მურთაზ ზოდელავა დაგვპირ-

და, რომ დამნაშავეები აუცილებლად დაისჯებოდნენ.

დღის ბოლოსთვის კი პრეზიდენტის განცხადება გაგვაცნეს, რომელიც ქუთაისში დატრიალებული მოვლენებით შეძრწუნებული იყო. როგორც მისმა პრესსპიკერმა განმარტა, მომხდარის გამო სააკაშვილმა დანიაში ვიზიტი შეწყვიტა.

ოპოზიციამ ეს განმარტება ეჭვქვეშ დააყენა, რადგანაც თავიდანვე ცნობილი იყო, რომ სააკაშვილი სამშობლოში 19 დეკემბერს დაბრუნდებოდა. შეწყვიტა თუ არა სააკაშვილმა ვიზიტი, ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. მნიშვნელობა იმას აქვს, რომ ვიღაცების ახირების და შეცდომების გამო ორი ადამიანი დაიღუპა.

ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები გუშინ უკვე იმყოფებოდნენ ქუთაისში. ქრისტიან-დემოკრატები მიიჩნევენ, რომ ქუთაისში ახალი პარლამენტის შენობა არ უნდა აშენდეს. მათი აზრით, იმ ადგილას ეკლესია უნდა აშენდეს. იგივე მოსაზრება გამოთქვა 19 დეკემბერს ახალი მემარჯვენეების ლიდერმა დავით გამყრელიძემაც, რომელსაც იმის გარკვევაც აინტერესებს, რატომ გადაწყვიტა ხელისუფლებამ მემორიალის აფეთქება მაინცდამაინც რელიგიურ დღესასწაულზე.

ოპოზიცია ამ საკითხის ასე დატოვებას არ აპირებს. ლევან გაჩეჩილაძის თქმით, ამაზე ხელისუფლება ადეკვატურ პასუხს მიიღებს.

— დარწმუნებული ვარ, სააკაშვილი ბავშვივით ჭაჭყანებდა, სანამ დროზე ადრე, მოუმზადებელ სიტუაციაში არ ააფეთქებინა მემორიალი, რის გამოც ქვეყნისთვის სავალალო შედეგი მივიღეთ. ჩვენ ამას ძალიან მალე ადეკვატურ პასუხს გავცემთ, — აცხადებს ლევან გაჩეჩილაძე.

სანამ ოპოზიცია ადეკვატური პასუხის გაცემაზე ფიქრობს, სამართალდამცავები დაპატიმრებათა სერიას აგრძელებენ. ცნობილი ხდება, რომ ქუთაისში მომხდარ ტრაგედიასთან დაკავშირებით უკვე ათი ადამიანია დაკავებული. გუშინ კი იმ კომპანიის ხელმძღვანელი დააკავეს, რომელმაც მემორიალის აფეთქება განახორციელა.

— ქუთაისში „დიდების მემორიალის" დემონტაჟისას უსაფრთხოების წესების დარღვევისთვის, ეჭვმიტანილის სტატუსით დაკავებულია „საქფეთქმრეწვის" ტექნიური დირექტორი ავთანდილ დარსაველიძე, — გვაუწყა გუშინ საგანგებოდ გამართულ ბრიფინგზე გენერალური პროკურორის მოადგილემ, დავით საყვარელიძემ.

საყვარელიძის განმარტებით, დარსაველიძე უშუალოდ იყო პასუხისმგებელი სადემონტაჟო სამუშაოების წარმოებისას უსაფრთხოების წესების დაცვაზე, რაც მის მიერ არ იქნა შესრულებული.

— უხეშად დაირღვა კანონით დადგენილი ნორმატივები, რომლითაც ასეთი ტიპის სამუშაოებისას უსაფრთხოების წესების დაცვა ხორციელდება, — განაცხადა საყვარელიძემ.

მისივე განმარტებით, დარსაველიძე ეჭვმიტანილია სისხლის სამართლის კოდექსის 240-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში, რაც 2-დან 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთით ისჯება.

საყვარელიძის საუბრიდან გამომდინარე თუ ვიმსჯელებთ, ახლო მომავალში შესაძლოა კიდევ რამდენიმე პიროვნება დააპატიმრონ.

— მიმდინარეობს ინტენსიური გამოძიება და დანიშნულია ტექნიური ექსპერტიზაც, რომლის შედეგადაც გადაწყდება სხვა ბრალეულ პირთა პასუხისმგებლობის საკითხიც, — ამბობს გენერალური პროკურორის მოადგილე.

ქუთაისში დატრიალებული ტრაგედიის გამო დაისაჯა იმერეთში პრეზიდენტის რწმუნებული მიხეილ ჩოგოვაძე. დანიიდან საგანგებოდ ჩამოფრენილმა პრეზიდენტმა საგანგებო თათბირი გამართა და იქ გადაწყვიტა ჩოგოვაძის გადაყენება.

უკვე ყოფილ გუბერნატორს ასევე ყოფილი გუბერნატორი თემურ შაშიაშვილი გამოესარჩლა. მისი განცხადებით, ჩოგოვაძე მომხდართან დაკავშირებით დამნაშავე არ არის. შაშიაშვილი დარწმუნებულია, რომ სააკაშვილმა მასზე ხელი შეიწმინდა.

— სააკაშვილმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ სკამის შესანარჩუნებლად გაწირავს ყველას და ყველაფერს. გუბერნატორის გათავისუფლება ამის კონკრეტული მაგალითია. ასეთ

შემთხვევასთან გუბერნატორს რომ არავითარი კავშირი არ აქვს, ეს ყველასთვის ცხადია, რადგან პარლამენტის შენობის აშენება, ადგილის შერჩევა და სხვა ასეთი საკითხები ზემოდან კონტროლდება. საქმე ისაა, რომ ქუთაისის მერი რამდენიმე დღით ადრე გამოცვალეს და მას ველარ გაათავისუფლებდნენ. იმ ტრაგედიის გამო კი ხელი ვიღაცაზე ხომ უნდა შეეწმინდათ და ეს ვიღაც ჩოგოვაძე აღმოჩნდა. მე ჩოგოვაძის ჭირისუფლად ვერ გამოვდგები, თუმცა, უნდა ვთქვა, რომ მის გაზრდაში დიდი წვლილი მიმიძღვის, მაგრამ არაკაცი აღმოჩნდა. ყველა, ვინც ეთამაშება ხელისუფლებას, ასე დაამთავრებს, — განაცხადა საინფორმაციო სააგენტო „მედიანიუსთან" საუბრისას თემურ შაშიაშვილმა.

ოპოზიციის მსგავსად მომხდართან დაკავშირებით სულისშემძვრელი კომენტარები გააკეთეს ხელისუფლების წარმომადგენლებმაც. ისეთი განცხადებები გაკეთდა, რომ ადამიანი იფიქრებდა, ისინი უარს იტყოდნენ ქუთაისში პარლამენტის შენობის აშენებაზე.

თუმცა, ნურას უკაცრავად, გუშინ აფეთქებული მონუმენტის ადგილზე საგანგებო ბანერი აღმართეს. ამ ბანერზე წერია, რომ 2012 წლისთვის აქ ახალი პარლამენტის შენობა აიგება.

ეს ბანერი საკუთარი თვალით ნახეს ქრისტიან-დემოკრატებმა, რომლებიც გუშინ ქუთაისს სტუმრობდნენ. მათი განცხადებით ტრაგედიის მეორე დღეს მსგავსი ბანერის აღმართვა ძალიან დიდი უგუნურებაა.

ჩვენში ხშირად საუბრობენ იმაზე, რომ პარლამენტის შენობა ცოდვიან ადგილას დგას. იმ ადგილას, სადაც ახლა პარლამენტის შენობაა, ბევრი სისხლია დაღვრილი. შენობა კი ეკლესიის ნანგრევებზე და საფლავებზეა აღმართული.

ამ შენობის წინ ყოველთვის დიდი უბედურება ტრიალებს ხოლმე. არაერთხელ გამოთქმულა მოსაზრება, რომ ეს შენობა მუზეუმად გადაკეთდეს. თუმცა, კანონმდებლები ამ შენობას ვერ შეელივნენ.

ამ შენობას მხოლოდ ნაწილობრივად შეელივნენ და პარლამენტის ქუთაისში გადატანას ასევე ნაწილობრივ დათანხმდნენ. თუმცა, როგორც ჩანს, არც ქუთაისში უწერიათ ჩვენს კანონმდებლებს მუშაობა. ეს ადგილიც ცოდვიანი გახდა. ოპოზიცია მიიჩნევს, რომ ამ ადგილას ეკლესია აშენდეს. ხელისუფლებას კი იმ ადგილას 50 მილიონიანი შენობის აშენება ურჩევნიათ.

ხალხი ჩვენგან ერთიანობას ითხოვს

„კონსერვატორების" ლიდერის ზვიად ძიძიგურის განცხადებით, სამოქალაქო საზოგადოება ოპოზიციისგან ერთიანობას ითხოვს, მათ შორის ადგილობრივ არჩევნებთან მიმართებაში.

როგორც სასტუმრო „პრიმა-ვერეში" მიმდინარე შეხვედრიდან გამოსულმა „კონსერვატიული პარტიის" ლიდერმა ზვიად ძიძიგურმა ჟურნალისტებს განუცხადა, შეხვედრისას გამოიკვეთა ორი თემა. ერთის მხრივ სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებმა ოპოზიციის ერთიანობის საკითხთან დაკავშირებით საკუთარი ხედვები წარმოადგინეს. მსჯელობის თემა იყო ასევე რეაგირება, რომელიც ქუთაისში მომხარ უბედურ შემთხვევას უნდა მოჰყვეს.

— სამოქალაქო საზოგადოება ჩვენგან ერთიანობას ითხოვს, მათ შორის არჩევნებთან მიმართებაში, — აღნიშნა ზვიად ძიძიგურმა.

პირველი

სკოლის დირექტორი ნარკოტიკებზე დააკავეს

გუშინ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გენერალური ინსპექციის მიერ განხორციელებული ოპერატიული ღონისძიების შედეგად, თბილისი 27-ე საჯარო სკოლის დირექტორი, მიხეილ ფრუიძე დააკავეს.

სკოლის დირექტორი დაკავებისას ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა. სამინისტროს გენერალური ინსპექციის ინფორმაციით, დაკავებულმა დანაშაული აღიარა და განმარტა, რომ ნარკოტიკულ ნივთიერებებს ინტენსიურად მოიხმარდა. კერძოდ, იგი 2 წლის განმავლობაში სისტემატიურად ნარკოტიკული ნივთიერებების ზეგავლენის ქვეშ იმყოფებოდა.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გენერალური ინსპექციის შეფასებით, ნებისმიერ მსგავს შემთხვევაზე სამართლებრივი რეაგირება უმკაცრესი იქნება. სკოლის დირექტორს ბრალს უახლოეს საათებში წაუყენებენ.

მედიანიუსი

დღეს ოპოზიცია ქუთაისში აქციას გამართავს

ოპოზიციის ლიდერები და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები დღეს, 14.00 საათზე, ქუთაისში, მთავარ მოედანზე შეიკრიბებიან, - ამის შესახებ, სალომე ზურაბიშვილმა ოპოზიციისა და სამოქალაქო საზოგადოების შეხვედრის დასრულების შემდეგ განაცხადა.

შეხვედრაზე მსჯელობის ერთ-ერთი თემა სწორედ ქუთაისში მომხდარი უბედური შემთხვევა და მემორიალის აფეთქება იყო. „გადაწყდა, რომ 21 დეკემბერს ყველანი მივდივართ ქუთაისში. რაც იქ მოხდა, ერთმმართველობის შედეგია. მოვუწოდებ ყველას, ხვალ, 14.00 საათზე, დავდგეთ ქუთაისში, მთავარ მოედანზე და იქ გადავწყვიტოთ თუ რა არის გასაკეთებელი", — აღნიშნა ზურაბიშვილმა. უთაისში ჩასვლას სხვადასხვა ოპოზიციური პარტიების ლიდერები გეგმავენ.

ინტერპრესნიუსი

30%-იანი ბარიერი უკვე არჩევნების გაყალბებაა

მერის პირდაპირ არჩევნებზე ხელისუფლების მიერ შემოთავაზებული 30-პროცენტიანი ბარიერი ეს უკვე არჩევნების გაყალბებაა, — ამის შესახებ, ჟურნალისტებს რეჟისორმა გიგა ლორთქიფანიძემ განუცხადა.

მისი თქმით, გუშინ გამართულ შეხვედრაზე ოპოზიციას მოუწოდეს, რომ როგორმე ერთიან კანდიდატურაზე შეთანხმდნენ, თუმცა, ამ ეტაპზე ლორთქიფანიძე ვერ აკონკრეტებს, შეთანხმდება თუ არა ოპოზიცია ერთიან კანდიდატურაზე.

გიგა ლორთქიფანიძეს მიაჩნია, რომ აუცილებელია ოპოზიცია არჩევნებზე წარსდგეს ერთიანი კანდიდატით, რათა არ მოხდეს ხმების გაყოფა და ამით ხელისუფლებამ არ ისარგებლოს.

რეჟისორი ასევე გამოეხმაურა ქუთაისში მომხდარ ტრაგიკულ შემთხვევას და აღნიშნულ ფაქტს ვანდალიზმი და ბარბაროსობა უწოდა.

ინტერპრესნიუსი

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, №89/24,
თბილქალაქპროექტის მაღლივი კორპუსი, მე-11 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 95-25-89
E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია.
სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია.

დიდებიდან ფაშიზმამდე

ანტიფაშისტური მემორიალი, გაეროს რეზოლუციის მიუხედავად, ააფეთქეს

გიორგი უ ილაური

ქუთაისში ანტიფაშისტთა პატივსაცემად აგებული „დიდების მემორიალის“ აფეთქებამ შეიწირა დედაშვილი ჯინჭარაძეები. ამ ტრაგედიის გამო საქართველოს პრეზიდენტმა შეწყვიტა ვიზიტი კოპენჰაგენში, დაბრუნდა საქართველოში, ჩაატარა თათბირი და თანამდებობიდან გაათავისუფლა იმერეთის გუბერნატორი. მეორე დღეს დააკავეს „საქფეთქმრეწვის“ ერთი თანამშრომელი.

ქართველი საზოგადოება გააკვირვა არა იმდენად მშენებლების არაპროფესიონალიზმმა და უპასუხისმგებლობამ (ასეთი შემთხვევები იშვიათი არაა), არამედ პრეზიდენტის უცნაურმა შეშფოთებამ, ოპერატიულობამ და სიმკაცრემ, რამაც გააჩინა კითხვა — რა მოხდა ისეთი განსაკუთრებული, რომ სააკაშვილის ასეთი რეაქცია გამოიწვია? განსაკუთრებული კი ის არის, რომ „დიდების მემორიალის“ ადგილზე სააკაშვილის ბოლო დროის სანუკვარი ოცნება — პარლამენტის ახალი შენობა უნდა აშენდეს (ან აშენებულიყო). შეგახსენებთ, რომ ამ იდეის ოფიციალური ვერსიით ქუთაისს მეტი მნიშვნელობა უნდა შეეძინა საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში, არაოფიციალურად კი სააკაშვილი ცდილობდა, ოპოზიციური დედაქალაქიდან გაეტანა პარლამენტი, რათა არეულობის შემთხვევაში არ გამეორებულიყო ის, რასაც ის თავად უძღვებოდა 2003 წლის 22 ნოემბერს და რაც „რევოლუციად“ მონათლა. ნერვიულობის მეორე მიზეზი თავად „დიდების მემორიალის“ აფეთქება იყო. ამ ფაქტმა ქართველი საზოგადოება სახტად დატოვა. ათწლეულების განმავლობაში საქართველოში იზრდებოდნენ თაობები და ამაყობდნენ, რომ მეორე მსოფლიო ომში საქართველომ კავშირიდან პროცენტულად ყველაზე დიდი მსხვერპლი გაიღო ფაშიზმთან ბრძოლაში. ომმა შეიწირა საქართველოს 300 000 მოქალაქე. არც ის იყო სადავო, რომ ფაშიზმი დიდი ბოროტება იყო მსოფლიოსთვის. სააკაშვილის გაპრეზიდენტების შემდეგ კი ხელისუფლებამ ახალი პროპაგანდა წამოიწყო. ამ ახალი იდეოლოგიით დადებით კონტექსტში გამოჩნდა ბალტიის ქვეყნებში არსებული “სს“-ის რაზმები, ხოლო მეორე მსოფლიო ომში საბჭოთა კავშირის გამარჯვება წარმოჩნდა, არა როგორც ევროპის ფაშიზმისგან განმათავისუფლებელი, არამედ, როგორც აღმოსავლეთ ევროპის ოკუპანტი და ფაშიზმზე მეტი თუ არა, არც ნაკლები ოკუპანტი. შესაბამისად, ქართველი ვეტერანებიც ოკუპანტების რანგში გადიოდნენ, ქართველთა ფაშისტური ლეგიონები კი პატრიოტიზმისა და რომანტიზმის მანტიით შეიმოსენ. საქართველოში უკვე რამდენიმე წელია ფაშიზმის რეაბილიტაცია მოხდა, ბოლო დროს კი დადებითი შეფასებაც მიიღო ხელისუფლებასა და ახალგაზრდობის ნაწილში. ამ იდეოლოგიით, რასაკვირველია, უნდა აფეთქებულიყო ოკუპანტების მემორიალი და მის ადგილზე უნდა აშენებულიყო თავისუფალი საქართველოს, ახალი პარლამენტი. ფაშიზმის დამარცხებიდან 64 წლის შემდეგ საქართველოში ფაშიზმმა რევანში განახორციელა. კურიოზულია, რომ ხუთშაბათის რეზოლუციაში გაეროს გენერალურმა ასამბლეამ დაგმო ნაციზმთან მებრძოლთა მემორიალების აღება. ეს რეზოლუცია პირველ რიგში ეხებოდა ესტონეთში 2007 წელს „ბრინჯაოს ჯარისკაცის“ დემონტაჟს და სხვა ადგილზე გადატანას, საქართველოს ხელისუფლებამ კი საერთოდ ააფეთქა მემორიალი, რითაც მორიგი სამაგიერო გადაუხადა ფაშიზმის მტრებს. ეს ჟესტი არა იმდენად ესტონელ ლეგიონერებს ეძღვნებოდა, რამდენადაც რუსეთის წინააღმდეგ იყო მიმართული. რუსეთს ნამდვილად გააღიზიანებდა ეს ფაქტი და გააღიზიანა კიდეც. ამ პატარა საჩუქარს კი შეეწირა 8 წლის გოგონასა და დედამისის სიცოცხლე.

საქართველო ტოტალიტარული სახელმწიფო რომ არ ყოფილიყო, დღეს პასუხისგებაში მიეცემოდნენ არა ამფეთქებლები ან გუბერნატორი, არამედ ანტიფაშისტების წინააღმდეგ მებრძოლი და მემორიალის აფეთქებაზე ბრძანების გამცემი პრეზიდენტი. რადგან ვართ ტოტალიტარული სახელმწიფო, სისხლიანი ხელები შეაწმინდეს მუშებს და დიდი ალბათობაა, რომ ხალხში უკვე „სურამის ციხედ“ მონათლულ ჯერარაშენებულ პარლამენტს მაინც ააშენებენ ბავშვის სისხლსა და ანტიფაშისტთა სულში ჩაფურთხების ადგილზე.

ნორმალურ სახელმწიფოში ამგვარი ვანდალიზმისა და ტრაგედიის შემდეგ ჯერ ქუთაისი, შემდეგ კი მთელი საქართველო ფეხზე უნდა დამდგარიყო, მაგრამ ქუთაისი ჯერჯერობით დუმს, პრინციპში, ისევე, როგორც დუმს სამეგრელო, რომელიც რამდენიმე წელია ახალაიების კლანის მიერ იმართება, დუმს ქართლი, რომელსაც სააკაშვილის რეჟიმის სულსწრაფობამ ნახევარი წაართვა, დუმს აჭარა, რომელიც ხელისუფლებამ მეზობელ სომეხ და თურქ მეწარმეებს გაუნაწილა, დუმს საქართველო, რომელსაც არც ამ ხელისუფლების ატანის და არც მისი მოშორების თავი არა აქვს. და ამ დუმილში განსაკუთრებით დამამცირებელია ის ცრუ ზეიმები, კონცერტები და საახალწლო გირლიანდები, რომლითაც მორთულია მუხლებზე მდგომი ქვეყანა. დამამცირებელია აღმშენებლობისა და ბედნიერების მთელი ეს ფიქცია არა მარტო მშიერი, დამცირებული და მიწასთან გასწორებული ანტიფაშისტი ვეტერანების ან დაღუპული დედა-შვილის ახლობლებისთვის, არამედ ყველა იმ მოქალაქისთვის, რომლებიც გრძნობენ საკუთარ უსუსურობას, წერტილი დაუსვას ამ „მოლხენას შავი ჭირის დროს“. სხვათა შორის, დღეს ამ სპექტაკლის რეჟისორის — მიხეილ სააკაშვილის — დაბადების დღეა.

ოპოზიციამ ბაქიბუქობას თავი უნდა დაანებოს

სოსო ცისკარიშვილს ახალი საპროტესტო ტალღის აღარ სჯერა

ნონა ცაბა ე

როგორც მოსალოდნელი იყო, ოპოზიცია მერობის ერთიან კანდიდატთან დაკავშირებით ვერ თანხმდება. პრაიმერის მსურველთა რიცხვიც საკმაოდ შემცირდა, თუმცა, როგორ წარდგება ოპოზიცია ადგილობრივ არჩევნებზე, ჯერ კიდევ გაურკვეველია. რაც შეეხება ხელისუფლებას, მას წინასაარჩევნო კამპანია აქვს გაჩაღებული და ზედმეტად აქტიურია. ექსპერტი სოსო ცისკარიშვილი არც იმას გამორიცხავს, რომ შესაძლოა არჩევნები გაცილებით ადრე დაინიშნოს, ვიდრე ამას საზოგადოება ელის. თუ რა აძლევს ამის თქმის საფუძველს, რას ფიქრობს ზოგადად დღეს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე, რატომ ვერ შეთანხმდა ოპოზიცია პრაიმერზე, ამ და სხვა თემებზე თავად ბატონი სოსო გვესაუბრება:

— დამოკიდებულება პრაიმერის მიმართ განსაზღვრავს უკანასკნელ დღეებში წარმოჩენილ აზრთა სხვადასხვაობას არა მხოლოდ ამ პროცესისადმი, არამედ ზოგადად არსებულ დაპირისპირებას ოპოზიციურ სპექტრში. ზოგიერთმა მოთამაშემ ამ მინდორზე მკაფიოდ განსაზღვრა თავისი შემადგენლობაც, ცდილობს დაიმკვიდროს მკაფიო ადგილი კონკურენტულ ველში, ზოგიერთი ჯერ კიდევ იმ პროცესშია, როცა მიმდინარეობს პარტნიორების ძიება და ხედვის ჩამოყალიბება ამა თუ იმ პრინციპულ საკითხზე. აქედან გამომდინარე, ზოგს მიაჩნია, რომ გადალახა ბევრი წინააღმდეგობა, გასულია ფინიშის ზოლზე და არჩევნების მოლოდინშია, ზოგიერთი თვლის, რომ თავად არჩევნების ფაქტი სულაც არ არის უტყუარი, მას ჯერ კიდევ კანონით დასაბუთება სჭირდება და თავს იკავებს ნაჩქარევი გადაწყვეტილების მიღებისგან, ამიტომ გადასული ვართ ეტაპზე, როცა კულუარული სხვადასხვა ტიპის სირთულე წარმოჩნდა სრულიად საჯაროდ მედიასივრცეში და დაიწყო პოლემიკა სხვადასხვა არასაპარლამენტო ოპოზიციურ ძალას შორის. ზოგადად, პოლიტიკური კულტურის სრულყოფისთვის ასეთი ტიპის დისკუსიები აუცილებელია, მით უმეტეს, როცა მასში მონაწილეობენ მაღალი რანგის პოლიტიკოსები, სრულიად მკაფიო საკუთარი არგუმენტაციით, რომელთაც ხელეწიფებათ, ნეიტრალური მსმენელი ხან ერთი მხარის მიმართ განაწყონ სიმპათიით, ხან მეორე მხარისა, მაგრამ ასეთ დროს არ უნდა იყოს დავიწყებული, რომ დებატებში ჩართული თუნდაც მაღალი რანგის პოლიტიკოსები არ არიან არც საწყისი და არც საბოლოო წერტილი იმ გზისა, რასაც ჰქვია არჩევნები. როდესაც ასეთ დისკუსიებში არ ჩანს რაიმე ტიპის როლის მიკუთვნება ამომრჩევლისთვის, საზოგადოებისთვის, მოქალაქეებისთვის და მხოლოდ პარტიული ხედვის დემონსტრირება მიმდინარეობს ამა თუ იმ სადავო საკითხე, მერწმუნეთ, ეს მეტ ნიჰილიზმს იწვევს, რაც ახლა ნამდვილად არ შედის არც ერთი ოპოზიციური ძალის ინტერესში. ამიტომ, ვფიქრობ, უპრიანი იქნება, აქტიური გახდეს თავად საზოგადოება ანუ პოლიტიკური გემოვნების დამკვეთი ფენა, რომლის ინტერესების განხორციელებასაც უნდა ემსახურებოდეს სხვადასხვა პოლიტიკური ძალა. მხოლოდ საზოგადოების, ამომრჩევლის, მოსახლეობის მიმართ პირდაპირი პასუხისმგებლობის გაზრდა შეაძლებინებს პოლიტიკურ ძალას რეალური წარმატების მიღწევას. არა მხოლოდ ყურადღების მოთხოვნა პოლიტიკოსების მხრიდან, არამედ ყურადღების მიქცევა და ყურის დაგდებაც პერსპექტიული, პოტენციური ამომრჩევლისთვის იქნება უაღრესად მნიშვნელოვანი.

— ბატონო სოსო, თქვენი აზრით, რამ გამოიწვია საზოგადოების ასეთი პასიურობა?

— საზოგადოებას აქვს გარკვეული მოთხოვნილება, იყოს აქტიური. ამას ის ახერხებს მაშინ, როცა პოლიტიკური ძალები ამის საორგანიზაციო პოტენციალის გამოვლენას ახდენენ და ის ფაქტი, რომ თვეების განმავლობაში საპროტესტო მუხტი იყო უაღრესად ძლიერი და უპრეცედენტო, სტაბილური თავისი ხანგრძლივობით, მიუთითებს მხოლოდ ასეთ მზაობაზე. დაკვირვება, მსჯელობა, შედარება თუნდაც სამზარეულოების დონეზე აქტიურად მიმდინარეობს და არსებობს გარკვეული მოლოდინი, რომ საზოგადოების ასეთ პოტენციურ მზაობას საზოგადოების გამოიყენებს სწორედ ის პოლიტიკური ძალა, რომელიც მონახავს სწორ გზას თბილისელთა უმრავლესობის გულისა და გონებისაკენ.

— თქვენ როგორ ფიქრობთ, უპრიანი ხომ არ იქნება, მერობის ერთიან კანდიდატზე რომ შეთანხმდეს ოპოზიცია?

— თუ ეს არის ბუნებრივი მოთხოვნილება პოლიტიკური ძალებისა, რომელიც ეფუძნება არსებული რეალობის ობიექტურ ანალიზს, მაშინ, რასაკვირველია, იქნება საუკეთესო გამოსავალი, მაგრამ, თუ ეს არ გახდება შედეგი რაიმე ტიპის მერკანტილური გათვლებისა სამომავლო პოლიტიკური ანგარიშების რეალიზებისათვის და, შესაბამისად, იქნება ნაკლებად მდგრადი, განურჩევლად იმისა, დადებითი შედეგი დადგება არჩევნების შემდეგ თუ უარყოფითი, ამას სჯობია, არ იყოს ერთიანი კანდიდატურა, ანუ თვითმიზანი უნდა იყოს არა ერთიანი კანდიდატი, არამედ სალი პოლიტიკური გარემო, როგორც საფუძველი წარმატებისა არჩევნებში. ასეთ შემთხვევაში უთუოდ საზოგადოებაც მხარს დაუჭერდა ერთიან კანდიდატს, მაგრამ, თუ ეს იქნება მხოლოდ თვითმიზნურად ცალკეულ პოლიტიკურ ძალთა პარტიული ინტერესების წინ წამოწევის ხარჯზე, რასაკვირველია, ასეთ ვალდებულებას საზოგადოება არ იგრძნობს თავად და შეიძლება ამან მეტი ნიჰილიზმი გამოიწვიოს უშუალოდ არჩევნების დღეს.

— თქვენ განაცხადეთ, რომ ხელისუფლებამ შესაძლოა გაცილებით ადრე დანიშნოს არჩევნები, ვიდრე ეს ითქვა. რატომ გაგიჩნდათ ეჭვი, რომ შესაძლოა არჩევნები გაცილებით ადრე დაინიშნოს?

— როდესაც თარიღზეა მსჯელობა, განცხადებები, მაგრამ არც ერთი ნაბიჯი არ იდგმება საკანონმდებლო კუთხით, არ ფიქსირდება ეს თარიღი რაიმე ტიპის დოკუმენტით, ეს ძალაუნებურად აჩენს ეჭვს, რომ თავად ამ თარიღზე მოსაუბრე ხელისუფლების წარმომადგენლებს არ სჯერათ ან არ გააჩნიათ იმის კომპეტენცია, რომ ისაუბრონ რაიმე კონკრეტულ თარიღზე დაბეჯითებით და თავისი თავი მაინც დაირწმუნონ ამაში. გარდა ამისა, აქსიომა გახლავთ, რომ ის, რაც იცის ერთმა პოლიტიკურმა ძალამ და არ იცის მეორემ, უპირატესობას აძლევს ამის მცოდნე პოლიტიკურ ძალას, შესაბამისად, შეიძლება ნაციონალური მოძრაობისთვის რაღაცა თარიღი არსებობს, მაგრამ, რაც უფრო მოულოდნელი იქნება ეს თარიღი, დანარჩენი კონკურენტი პოლიტიკური ძალებისთვის, მით უფრო იაფი დაუჯდება ხელისუფლებას გამარჯვება ყველა იმ ხერხის გამოყენებით, რომელიც მას ხელეწიფება არჩევნებისას, ვიდრე იმ შემთხვევაში, თუ თანაბარი პირობები ექნათ როგორც ინფორმირებულობის, ასევე რესურსების გამოყენების თვალსაზრისით და სხვა ასეთი თანაბარი უფლებებითა და პირობებით საარჩევნო პროცესში. ესეც, თარიღით მანიპულირება გახლავთ ერთ-ერთი ინსტრუმენტი იმ დისბალანსისთვის, რომლისკენაც ყოველთვის ისწრაფვის ნაციონალური მოძრაობა სხვა პოლიტიკურ პარტიებთან მიმართებით.

— ალბათ, დამეთანხმებით, რომ ხელისუფლებას საკმაოდ დიდი ხანია წინასაარჩევნო კამპანია დაწყებული აქვს...

— რასაკვირველია და ეს არის დასტური იმისა, რომ არჩევნები იქნება უფრო მეტი შემართებით გაყალბებული, ვიდრე 2008 წელს. ამის დასტური გახლავთ ის ნაჩქარევი ცვლილებები, რომლებიც შეტანილ იქნა პოლიციის შესახებ კანონში და მასობრივ შეკრებათა შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებებში. ეს არავითარ შემთხვევაში არ ეხებოდა აპრილში დაწყებულ საპროტესტო აქციებს, რადგან ის უკვე მილეული იყო მაშინ, როცა ამ კანონის განხილვა მიმდინარეობდა. თუნდაც ასეთივე საარჩევნო მზაობისა და გაყალბებული შედეგების დაცვის მიმანიშნებელი იყო ის ფაქტი, რომ სრულიად მოულოდნელად, საზოგადოებრივი მაუწყებლის შენობის გვერდით, მანქანების სადგომზე აშენდა პოლიციის განყოფილების შენობა. ეს მიმანიშნებს იმაზე, რომ შესაძლებელია არჩევნების შემდეგ, თუ რაიმე საპროტესტო განწყობა გადმოიღვარა თბილისის ქუჩებში, ყვითელი ავტობუსები, რომლებიც განუყრელი ატრიბუტია ნაციონალური მოძრაობის გაყალბებული არჩევნებისა, გადაკეთდეს მობილურ პოლიციის განყოფილებებად, დააწერონ მათ პოლიციის განყოფილება ნომერი ესა და ეს და, სადაც დაინახავენ 15 კაცს შეკრებილს, მიადგებიან, აღმოჩნდება, რომ ეს ადამიანები პოლიციის განყოფილებასთან არიან შეკრებილი, არღვევენ წესრიგს, შესაბამისად, იქვე მოხდება მათ მიმართ გამოყენება არსებული კანონებისა, რომელიც ითვალისწინებს უკვე 90 დღემდე პატიმრობას, რაც მხოლოდ ერთს ნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირი სტალინის დროს და რუსეთი პუტინის დროს ექვსჯერ უფრო ლმობიერი იყო წვრილმანი ხულიგნობის ფაქტების მიმართ, ვიდრე დღევანდელი საქართველოა. საბჭოთა კავშირშიც და დღევანდელ რუსეთშიც წვრილმან ხულიგნობაზე იყო 15 დღე-ღამე პატიმრობა. დღეს საქართველოში ეს არის 90 დღე.

— ამით აშინებენ საზოგადოებას?

— რატომ აშინებენ, საკუთარ ცხოვრებას იიოლებენ. ზოგიერთი ხელისუფლისთვის, როგორც ჩანს, უაღრესად სწრაფად გაირბინა იმ 30-მა დღემ, რომელიც არაადამიანურ პირობებში გაატარებინეს მიტინგის მონაწილე ახალგაზრდებს ივნისის დასაწყისში და ამის შემდეგ გადაწყვიტეს, მოდი, რაღა ერთი თვე, არამედ — სამი თვე.

— გამოდის, რომ ხელისუფლება არჩევნებსაც გაგვიყალბებს და არც იმის საშუალებას მოგვცემს, რომ პროტესტი გამოვთქვათ?

— ასეთი მზაობა არსებობს. ამისთვის რომ ნაბიჯები იდგმება, არაერთი ფაქტი მეტყველებს. სიამოვნებით მოვუსმენდი რომელიმე ხელისუფალს, ვისაც რაიმე ეკითხება და არა საპარლამენტო უმრავლესობის ზოგიერთ პიარსპიკერს, თუ რით ხსნის ყველა იმ სიმახინჯეს, რომელზეც ზემოთ ვილაპარაკე და კიდევ ბევრს სხვას, თუ არა მზაობით, უფრო დიდი წარმატებით გააყალბოს არჩევნები. რატომ გადაინაცვლა ცენტრმა არჩევნების გაყალბებისა საარჩევნო კომისიიდან საჯარო რეესტრისკენ, რატომ ჩაერთო ისევე, როგორც 2008 წლის მაისში იყო ჩართული, ოღონდ მასშტაბები ბევრად გაიზარდა. ზოგადად მაქვს შეგრძნება, რომ თბილისის წინააღმდეგ სასტიკი რევანშისთვის ემზადება ნაციონალური მოძრაობა. ისინი ვერ პატიობენ საკუთარ თავს, რომ საპრეზიდენტო არჩევნები თბილისში წააგეს. 2010 წელი მთლიანად რევანშის წელია თბილისისა და თბილისელების წინააღმდეგ. ამის ერთ-ერთი სიმბოლური ნიშანი ისიც გახლავთ, რომ ახალ წელს ნაციონალური მოძრაობის უწარჩინებულესი ნაწილი გაატარებს ბათუმში და არა თბილისში.

— პროტესტი თბილისელებს?

— არა მხოლოდ პროტესტი — ჩვენ უთქვენოდაც კარგად ვგრძნობთ თავს, თქვენ გიჩვენებთ სეირს, აბა, ერთი გაბედეთ და კიდევ შეგშლიათ...

— ბატონო სოსო, რაც შეეხება ოპოზიციის იმ ნაწილს, რომელიც საერთოდ არ აპირებს ამ არჩევნებში მონაწილეობას? ითქვა რომ პროტესტის ახალი ტალღა დაიწყება.

— პირდაპირ გეტყვით, ასეთი ტალღა ჩვენ ვნახეთ გაზაფხულზე, იყო შთამბეჭდავი, უნიკალური, მაგრამ არანაირი რევოლუციური ცვლილება არ მოჰყოლია და არც შემდეგში მოჰყვება, თუ ასეთი წინასწარი ბაქიბუქით იქნება გაჯერებული ექვსი თვის მერე ჩასატარებელი რომელიმე აქცია. თუ ისევ დავიწყეთ რაღაც საკრალური თარიღებისთვის მზადება პროტესტის გამოსახატავად, იქნება ეს 31 მარტი თუ 9 აპრილი, 26 მაისი თუ 23 ნოემბერი და ასე შემდეგ, მერწმუნეთ, ეს თეატრალიზებული წარმოდგენების ფუნქციას ვერ გადააჭარბებს. პროტესტი უნდა გამოიხატოს მაშინ, როცა იბადება და არა მაშინ, როცა კალენდარზე რომელიმე თარიღს ამოვიცნობთ. ამიტომ წინასწარ საუბარი იმაზე, რა იქნება 6 თვის შემდეგ, არა მგონია, დამაჯერებელი იყოს ვინმესთვის, როგორც რაიმე ტიპის პოლიტიკური პროგნოზი. გამორიცხვით არაფერი გამოირიცხება, მაგრამ, თუ ვინმეს ასეთი განცდა აქვს და ამისთვის ემზადება, არა მგონია, ამაზე დღეს უნდა იყოს საუბარი. არის კიდევ ერთი საფრთხე — როცა ერთი ამბობს, მეორეს უჩნდება სურვილი, რომ კიდევ უფრო მწვავედ თქვას, რომ შემთხვევით სხვას არ მიეწეროს შესაძლებელი რაიმე ტიპის წარმატება. შემდეგ იწყება ერთმანეთთან შეჯიბრება ამ თემაზე და სულ უფრო გაუგონარი პროგნოზები და არარსებული მოლოდინების დამკვიდრების მცდელობა. ამიტომ, ვფიქრობ, ეს ის შინაარსია, რომელიც დევს ნაციონალური მოძრაობის ლოზუნგში — „საქმე ლაპარაკის ნაცვლად“, მაგრამ არამც და არამც არ უნდა იქნეს გაზიარებული ის რეალობა, რომელიც ამ ლოზუნგის საწინააღმდეგოდ განახორციელა მმართველმა პარტიამ, ანუ ლაპარაკი საქმისა და ლაპარაკის ნაცვლად.

გიორგი ტულუშს 6-თვიანი გამოსაცდელი ვადა მისცეს

რატომ არ გამოეხმაურა ომბუდსმენი პატრიარქის შეურაცხყოფას

ნანა მიშელაშვილი

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მიმართ გავრცელებულ შეურაცხმყოფელ ვიდეორგოლებთან დაკავშირებით ოპოზიციამ მოსაზრების გამოთქმა სახალხო დამცველს მოსთხოვა. ოპოზიციონერი დეპუტატების ნაწილს ინტერესებს, რატომ დუმს სახალხო დამცველი, როდესაც პატრიარქის მიმართ შეურაცხმყოფელი ვიდეორგოლები ვრცელდება.

პატრიარქის მიმართ შეურაცხმყოფელი ვიდეორგოლები რამდენიმე ხნის წინ გავრცელდა ინტერნეტის საშუალებით. ამის გამო საზოგადოების დიდმა ნაწილმა და საპარლამენტო ოპოზიციამ კატეგორიული განცხადებები გააკეთა.

გიორგი ტულუში, როგორც მოქალაქე, წინააღმდეგია ნებისმიერი უხამსობის, თუმცა, აცხადებს, რომ პატრიარქის შეურაცხმყოფელი ვიდეორგოლების გავრცელების საკითხში ვერ ჩაერევა, რადგან ამ შემთხვევაში კანონდარღვევას ადგილი არ ჰქონდა.

ამ საკითხთან დაკავშირებით საკმაოდ მწვავე შეფასებები გააკეთა დეპუტატმა ჯონდი ბაღათურიამ. მისი თქმით, სახალხო დამცველი საუბრობს საზოგადოების ერთი ნაწილის არაგლობალურ დამოკიდებულებაზე ერთ-ერთი სექტის მიმართ, მაგრამ არ საუბრობს იმ სიბინძურეებზე რაც ხდებოდა პატრიარქის და საპატრიარქოს წინააღმდეგ.

— თავი არ შეიწუხეთ, რომ ამ ფაქტს გამოხმაურებოდით, დაგეგმოთ და მისთვის ის სამარცხვინო საქციელი დაგერქმიათ, რაც ამას ჰქვია, — უთხრა ბაღათურიამ სახალხო დამცველს.

— რაც შეეხება კლიპების გაშვებას, რომელიც იყო უხამსი და შეურაცხმყოფელი, სახალხო დამცველის მხრიდან კონკრეტულად ჩასარევი ვერ ვნახე, ვინაიდან არ ჩავთვალეთ, რომ ადგილი ჰქონდა კანონის დარღვევას, თუმცა, როგორც საქართველოს მოქალაქეს, პირადად შემიძლია გითხრათ, რომ კატეგორიული წინააღმდეგი ვარ ყველანაირი უხამსობის, პირადი შეურაცხყოფის. მით უმეტეს, როდესაც არსებობს საშიშროება, რომ ეს სიტყვიერი შეურაცხყოფა გადაიზარდოს ფიზიკურში, — ასეთია გიორგი ტულუშის პოზიცია.

ანტიეკლესიურ განცხადებებთან დაკავშირებით წმინდა ნიკოლოზის ხსენების დღეს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ისაუბრა.

პატრიარქის განცხადებით, ბოლო პერიოდის ანტიეკლესიური გამოვლინებები სიყვარულის ნაკლებობის შედეგია.

— ეკლესიას, რომელიც ჩვენი უდიდესი საუნჯეა, ზოგიერთი უხეშად ეხება. ღმერთმა ინებოს და არ დასაჯოს ისინი ამისთვის, — ბრძანა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა.

ამ განცხადების შემდეგ, ნათელია, რომ პატრიარქმა მათ უპასუხა, ვინც ბოლო დროს ცილისმწამებლურ შეფასებებს აკეთებს და ანტიეკლესიური მოწოდებებით გამოდის.

გასულ კვირის ბოლოს, ოპოზიციას სახალხო დამცველთან საკმაოდ ბევრი შეკითხვა ჰქონდა. ოპოზიციის მცდელობის მიუხედავად, გიორგი ტულუში მის წინამორბედზე საკმაოდ ცოტას საუბრობს. სოზარ სუბართან დაკავშირებით ოპოზიცია კითხვებს ხშირად სვამს. ერთ-ერთი კითხვა სახალხო დამცველს დამოუკიდებელმა დეპუტატმა გიორგი ცაგარეიშვილმა დაუსვა.

სოზარ სუბარს 7 ნოემბრის აქციის დაშლის დროს სცემეს. გიორგი ცაგარეიშვილს აინტერესებს, დაინტერესდა თუ არა გიორგი ტულუში, აღიარა თუ არა საქმე ყოფილი სახალხო დამცველის ცემის ფაქტზე.

ცაგარეიშვილმა სახალხო დამცველს ისიც უთხრა, რომ შესაძლოა ახალმა სახალხო დამცველმა ძველის ბედი როდესმე გაიზიაროს, ამიტომ როცა მოქმედ სახალხო დამცველს შეურაცხყოფას აყენებენ, ეს საკითხი ბოლომდეა გასარკვევი.

— პირველი ეს საკითხი უნდა მოგეკითხათ, არ არის გამორიცხული, თქვენც იმავე მდგომარეობაში აღმოჩნდეთ, თქვენც იგივე ბედი გაიზიაროთ. ყველაფერი შესაძლებელია ამ ქვეყანაში. როდესაც სახალხო დამცველს შეურაცხყოფას აყენებენ, შეიძლება მის შემცველესაც, ანუ თქვენც მოგაყენონ შეურაცხყოფა, — მიმართა ცაგარეიშვილმა გიორგი ტულუშს.

ცაგარეიშვილი სახალხო დამცველს არც ახლო მომავალში უწინასწარმეტყველებს დალხენილ ცხოვრებას. დეპუტატებმა სახალხო დამცველს პირდაპირ უთხრეს, რომ ტულუშის მომავალ ანგარიშზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. მომავალ ანგარიშზე მუშაობა გიორგი ტულუშსს დამოუკიდებლად მოუწევს.

პარლამენტში გასულ კვირას წარმოდგენილ ანგარიშთან დაკავშირებით არსებობს ასეთი შეხედულება, რომ მასში მოყვანილი ფაქტების ნაწილი სოზარ სუბარის მიერ არის შეკრებილი. ახალ ანგარიშზე მუშაობა კი გიორგი ტულუშს პირადად მოუწევს.

როგორი იქნება სახალხო დამცველის ახალი ანგარიში, ოპოზიცია ამის მიხედვით აპირებს მისი საქმიანობის შეფასებას. ეს დეპუტატებს გიორგი ტულუშისთვის არც დაუმალავთ. გიორგი ტულუშს 6-თვიანი გამოსაცდელი ვადა გიორგი ცაგარეიშვილმა მისცა.

— მომავალი 6 თვე თქვენთვის უმძიმესი 6 თვე იქნება — გამოცდის 6 თვე. რადგან მომავალი 6 თვე

გაგრძელება მე-5 გვერდზე

გამსახურდიას სიკვდილთან დაკავშირებით უფროსი ჯორჯ ბუში უნდა დაიკითხოს!

ნონა ცაბა ე

ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების მიზეზების შემსწავლელმა კომისიამ მუშაობა უკვე დაიწყო. კომისიას ზვიად გამსახურდიას ვაჟი კონსტანტინე გამსახურდია თავმჯდომარეობს. ამ ფაქტს ბევრი მითქმა-მოთქმა მოჰყვა, ბევრი თვლიდა და დღემდე თვლის, რომ ამ კომისიის დასკვნა ობიექტური ვერ იქნება. ამ ფაქტთან დაკავშირებით ასევე უარყოფითი დამოკიდებულება აქვს ზვიად გამსახურდიას თანამებრძოლს, თემურ ქორძიას. მას მიაჩნია, რომ კომისიას ზვიადის ვაჟი არ უნდა თავმჯდომარეობდეს.

როგორც **თემურ ძორიძე** აცხადებს კონსტანტინე გამსახურდიას პარლამენტში შესვლა სურდა და კომისიის თავმჯდომარობა კარგი მიზეზი აღმოჩნდა ამისათვის. ქორიძეს მიაჩნია, რომ სურათი რომ ნათელი გახდეს, კომისიამ დადებით შედეგს მიაღწიოს, აუცილებელია ამერიკის ყოფილი პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის დაკითხვა და ასევე ჯეიმს ბეიკერის, ქორიძე აცხადებს, რომ მათ ამის თაობაზე ბევრი რამ იციან.

— მე სკეპტიკურად ვუყურებ ამ კომისიის საქმიანობას, რასაკვირველია, აუცილებელია და საჭიროა ძირეული გამოძიება საქართველოს პირველი პრეზიდენტის დაღუპვისა, მაგრამ ვიმეორებ, კომისიის ამ შემადგენლობისადმი სკეპტიკურად ვარ განწყობილი. არ ჩანს, რომ მათ სწორი მიმართულება აქვთ აღებული. კომისიის პატივცემული წევრები თუ ფიქრობენ იმას, რომ მხოლოდ და მხოლოდ ქვეყნის შიგნით მომხდარი ფაქტებით ახსნან ზვიად გამსახურდიას ტრაგიკული დაღუპვა, ცხადია, რომ ეს არასრულყოფილი იქნება და სასურველ შედეგს ვერ მოგვცემს. საჭირო იქნებოდა უცხოელი მოქმედი პირების დაკითხვაც, მათ შორის პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის და ჯეიმს ბეიკერის, ეს აუცილებელია, სხვა შემთხვევაში სურათი არ იქნება სრულყოფილი და ნათელი, ასე რომ, ეს უნდა იყოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება ამ ძიებისა.

— თქვენ დადებითად არ შეხვდით იმ ფაქტს, რომ კონსტანტინე გამსახურდია თავმჯდომარეობს ამ კომისიას, როგორ ფიქრობთ, ის ვერ შეძლებს, რომ კომისიამ ობიექტური და მიუკერძოებელი დასკვნა დადოს?

— საერთოდ არასერიოზული ჩანს ეს ყველაფერი. მე პიროვნულად კონსტანტინეს საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, ის განათლებული, განსწავლული პიროვნებაა, მაგრამ ის ფაქტი, რომ ზვიად გამსახურდიას დაღუპვის საქმეს იძიებს მისი შვილი, თან ის ოფიციალური პირია, ეს უკვე ეჭვქვეშ აყენებს ყველაფერს, სერიოზულობას აკლებს ამ მართლაც უმნიშვნელოვანეს მოვლენას. წარმოიდგინეთ, ინ კრიტერიუმებიდან გამომდინარე, რომლითაც დასავლეთი ხელმძღვანელობს, შვილის დასკვნას არავინ არ ჩათვლის ობიექტურად და სერიოზულ მოვლენად. ბოლოს და ბოლოს ინტერესთა კონფლიქტია, როდესაც ხელისუფლებაში მყოფი შვილი იძიებს მამის — საქართველოს პირველი პრეზიდენტის გარდაცვალების საქმეს.

— ფიქრობთ, რომ დასკვნა ობიექტური ვერ იქნება?

— იცით რა, ობიექტური რომც იყოს, გარკვეული წრეებისთვის, როგორც საზღვარგარეთ, ისე საქართველოში, რაკი შვილი უდგას ამ საქმეს სათავეში, ეს იქნება მიუღებელი. სერიოზული საფრთხის ქვეშ დგას თვით ამ საქმის ბოლომდე მიყვანა. კონსტანტინე რომ იყოს კერძო პირი, მაშინ, კი ბატონო, ადრე კონსტანტინემ ჩაატარა ფურნალისტური გამოძიება და არავის პრეტენზია არ ჰქონია მის მიმართ, თუმცა, მე არ ვიცი, რა სერიოზული მიღწევა ჰქონდა მის ამ გამოძიებას. ახლა კი საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარედ გვევლინება და ასეთ სიტუაციაში გარკვეული წრეებისთვის დასკვნა იქნება მიუღებელი. მე მგონი, იჩქარა კონსტანტინემ გადაწყვეტილების მიღება, მე მგონი, მას სურდა პარლამენტში შესვლა და მოტივად ეს მოიყვანა, ამ საქმის გამოძიებას პარლამენტის წევრობა ნამდვილად არ სჭირდება და ისედაც შესანიშნავად შეეძლო გაეკეთებინა ეს ყველაფერი. შეიძლება ვცდები, მაგრამ მე მაინც მგონია, რომ კონსტანტინეს სურდა პარლამენტში შესვლა და... მოგეხსენებათ, რა სიტუაცია იყო, ჯერ უარი თქვეს პარლამენტის წევრობაზე, შემდეგ საკანონმდებლო ცვლილებაც კი განხორციელდა იმისათვის, რომ კონსტანტინე პარლამენტში შესულიყო. ბუნებრივია, მას სერიოზული მოტივი სჭირდებოდა და ამ სერიოზულ მოტივად დასახალეა ზვიად გამსახურდიას საქმის გამოძიება და რასაკვირველია ეს ყველაფერი ხელისუფლების ინტერესებშიც შედიოდა. ჩემს სკეპტიმიზს აღრმავებს ისიც, რომ ამ საქმეს იძიებენ არაპროფესიონალები, დღეევანდელი პარლამენტიც ნაკლებკეთილინდოსიერებით გამოირჩევა და ამდენად, საეჭვოდ მიმაჩნია საქმის ბოლომდე მიყვანა.

— კომისიამ მოწმედ რომ გამოგიძახოთ, მიხვალთ?

— მივალ, რატომ არ მივალ, რა უდგას წინ იქ მისვლას.

— თუ ფლობთ ისეთ ინფორმაციას, რომელიც კომისიას გამოადგება მუშაობის პროცესში?

— გააჩნია, რით დაინტერესდებიან თვითონ, თუ დაინტერესდებიან, მე მზად ვარ.

— პროკურატურის ყოფილი მაღალჩინოსნები აცხადებენ, რომ ისინი ზვიად გამსახურდიას თვითმკვლელობას ვერ ადასტურებენ, თუმცა, მასალებში არც მისი მკვლელობის დამადასტურებელი მასალები მოიპოვება. თქვენ რომელი ვერსიის გჯერათ, ზვიად გამსახურდია მოკლეს თუ თავი მოიკლა?

— მე ვფიქრობ, რომ ეს იყო მკვლელობა, რადგან ზვიად გამსახურდიას ცხოვრების წესი, მისი პოლიტუნარიანობა, რომელიც მთელი 35 წლის განმავლობაში გრძელდებოდა, არ იყო იქითკენ მიმართული, რომ მას სიცოცხლე თვითმკვლელობით დასრულებინა. ზვიადის ცხოვრების წესი იყო ბოლომდე ბრძოლა. მე ვფიქრობ, რომ ადრე თუ გვიან ყველაფერი გაირკვევა და ყველაფერს თავისი სახელი დაერქმევა. ძალიან მნიშვნელოვანია არა ის, თუ ვინ გამოჰკრა ჩახმახს თითი, არამედ ის, თუ სად დაიგეგმა, ვის მიერ დაიგეგმა. ეს არ არის ერთი პიროვნების თავიდან მოცილება, გარკვეული თვალსაზრისით საერთაშორისო პროცესებთან არის დაკავშირებული ეს ყველაფერი, მე დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოს ფარგლებს სცილდება ამ საქმის მნიშვნელობა.

— თქვენ ამერიკის ყოფილი პრეზიდენტი ახსენეთ და რა მიმართებაში ახსენეთ მისი გვარი?

— უწინარეს ყოვლისა, ის, რომ ცნობილია ჯორჯ ბუშის გამონათქვამი, ის დაინტერესებული იყო საქართველოში მიმდინარე პროცესებით, მან ყოფილი პრეზიდენტი რიჩარდ რიქსონიც კი გამოუზავნა 1991 წლის მარტში საქართველოში, ამასთან ერთად ჩემთვის დღემდე გამოცანად რჩება, რამ გამოიწვია ასეთი გაავება ჯორჯ ბუშ უფროსისა ზვიად გამსახურდიას მისამართით; გასაგებია, რომ ჯორჯ ბუში აფრთხილებდა რესპუბლიკებს, რომ მათ უარი ეთქვათ დამოუკიდებლობაზე, ასეთი განცხადება მან კიევში გააკეთა და ბუნებრივია, არც ჩვენი თავისუფლებისთვის მებრძოლი პრეზიდენტი ეხატებოდა გულზე, მაგრამ თვით ზვიად გამსახურდიას ერთ-ერთ უკანასკნელ ინტერვიუში ხაზგასმით აქვს აღნიშნული, რომ სახელმწიფო გადატრიალება, რომელიც განხორციელდა 1991-92 წლებში, ჯორჯ ბუშის და ჯეიმს ბეიკერის აშკარა მონაწილეობით იქნა განხორციელებული. ვფიქრობ, რომ ამ შემთხვევაში ზვიად გამსახურდიას თვალსაზრისს უნდა მიენიჭოს პრიორიტეტული მნიშვნელობა და გამოძიებაც სწორედ ამ მიმართულებით უნდა წავიდეს.

— დღეს თუ არიან ცოცხლები ის პირები, ვის ინტერესებშიც ზვიადის მკვლელობა შედიოდა?

— რასაკვირველია, ცოცხლები არიან, ეს ჩვენი გუშინდელი დღეა, ახლო ისტორიაა და გამოძიებას დიდი ძალისხმევა არ უნდა დასჭირდეს იმისათვის, რომ გამოარკვიოს ეს ყველაფერი. მე უფრო პოლიტიკური პროცესები მაინტერესებს, რადგან ეს პოლიტიკური პროცესები საქართველოს საკეთილდღეოდ დღესაც არ ვითარდება, ამდენად, ამ თვალსაზრისით იქნება ეს ყველაფერი საინტერესო.

— როგორ ფიქრობთ, ჩვენს ხელისუფლებას აქვს იმის სურვილი, რომ რეალურად იქნეს დადგენილი სიმართლე?

— მე ნამდვილად ვერ ვამჩნევ ასეთ სურვილს და მოწადინებას იმისას, რომ პროცესები სამართლებრივ კალაპოტში მოექცეს. ეს არ არის კერძო პირის ტრაგედია, ეს არის დაკავშირებული ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებთან და სერიოზული მონდომების და ძალისხმევის გამომჟღავნება სჭირდება ხელისუფლების მხრიდან, რასაც, სამწუხაროდ, ვერ ვამჩნევთ.

— ნინუას მკვლელობას რაც შეეხება, ძალიან ბევრი ჭორი გავრცელდა, ბევრმა ეს ფაქტი გამსახურდიას საქმეს დაუკავშირა, თქვენ როგორ ფიქრობთ, ფლობდა ის რაიმე სერიოზულ ინფორმაციას?

— არა მგონია, მე პირადად ვერ დავაკავშირებ ნინუას მკვლელობას ზვიად გამსახურდიას მკვლელობის გამოძიებასთან. მე ვფიქრობ, ეს უბრალოდ დამთხვევა იყო და არ შეიძლება ამ ორ საქმეს რაიმე სერიოზული აკავშირებდეს ერთმანეთთან. ჯერ ერთი, ნინუას რაიმე განსაკუთრებული ვერ ეცოდინებოდა და არ ეცოდინებოდა, იმიტომ, რომ ნინუა ძალიან მცირე ხნით იყო უშიშროების მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი. ხოლო გადატრიალების შემდეგ ნინუა იყო შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე და მხოლოდ და მხოლოდ სამეურნეო საქმეები ეხებოდა მას. მე ვფიქრობ, რომ ამ ორ საქმეს შორის არანაირი კავშირი არ არსებობს.

— თქვენ ადრე განაცხადეთ, რომ ზვიად გამსახურდია გროზნოდან მოტყუებით ჩამოიყვანესო...

— არსებობს დუდაევის წერილი, სადაც ის შენიშნავს, როგორ ჩადიოდნენ გროზნოში ადამიანები, რომლებიც დაფინებით ითხოვდნენ, რომ ზვიად გამსახურდია დაბრუნებულიყო საქართველოში, მე მასთან მიმქონდა დოკუმენტები და ვუმტკიცებდი ზვიადს, რომ ეს იყო პროვოკაცია და რომ მის ჩატყუებას შეეცდებოდნენ საქართველოში, მაგრამ არ დამიჯერა ზვიადმა, იქამდე მივიდა საქმე, რომ მე თვითმფრინავიც კი არ მივეცით...

— თქვენი აზრით, რატომ დაბრუნდა ზვიადი საქართველოში?

— ორი აზრი არ არსებობს, ზვიადი დაბრუნდა იმისთვის, რომ ებრძოლა. როცა ჩამოვიდა, თქვა კიდეც შინაურ წრეებში, რომ იგი ჩამოვიდა იმისთვის, რომ ეხსნა ქვეყანა იმ განსაცდელისაგან, რომელიც რეალურად დაატყდა თავს, განსაკუთრებით ბალტინის ჯარის შემოყვანა სამეგრელოში და ამ ტერიტორიის ოკუპაცია. ასეთი ფართომასშტაბიანი მოვლენები არის დაკავშირებული ზვიად გამსახურდიას დაღუპვასთან და ვფიქრობ, უფრო სერიოზული და სოლიდური შემადგენლობის კომისია უნდა შექმნილიყო.

— თქვენ თუ გქონდათ ბოლო პერიოდში მასთან შეხვედრა, საუბარი?

— 24-ში ჩამოვიდა ზვიადი და 25-ში მე ჩავედი ზუგდიდში და შევხვდი მას. ერთადერთი, რასაც იგი დაფინებით იმეორებდა, იყო ის, რომ ჩვენ აფხაზეთი არ უნდა დაკუთმოთ არავის, რომ ბრძოლა საჭიროა სისხლის უკანასკნელ წვეთამდე, იმისათვის, რომ არ დაიკარგოს აფხაზეთი. როდესაც ბალტინის ჯარები მოიწევეს საქართველოში, მაშინ ძალიან მწარე იმედგაცრუება მიიღო ზვიად გამსახურდიამ, იმ ჯარის შემოყვანამ გამანადგურებლად იმოქმედა მასზე. მე ყოველთვის ვამბობ, რომ ეს არ იყო ჩვეულებრივ ბრძოლაში დაცემა, მან შეძლო, რომ მოწამებრივი გზა განეკვლო, მისი ცხოვრების უკანასკნელი ორი თვე — ეს იყო მოწამებრივი გზა; თითქოს მის სულიერ სიმაღლეს მხოლოდ მოწამებრიობა აკლდა და ესეც მიიღო. მის დიდებას ის ერთი საბეღისწერო ტყვია აკლდა და მან ეს ტყვია მიიღო. არ მოდის დიდება და არ მოდის ჭეშმარიტი სულიერი სიმაღლე დიდი მსხვერპლის გარეშე. მან სიცოცხლე გაიღო მსხვერპლად საქართველოსთვის. ზვიადი თავს არავითარ შემთხვევაში არ მოიკლავდა. როგორც პირველადი დათვალიერება და პირველადი შედეგები აჩვენებდა, ეს იყო მკვლელობა და არა თვითმკვლელობა. თუნდაც ის ფაქტი, რომ ხელში ხსვა იარაღი ეჭირა და სულ სხვა ტყვია ჰქონდა მოხვედრილი. ეს ისეთი შეუთავსებლობაა და ისეთ წინააღმდეგობაში მოდის, რომ ამას შეიარაღებული თვალით დანახვა არ სჭირდება.

ნათია ხურცილავა

სააკაშვილის ნებართვის გარეშე ცხინვალში ვერავინ შევა

ხელისუფლება რუსეთთან კულუარულ მოლაპარაკებებს აწარმოებს

ექსპერტი მამუკა არეშიძე აცხადებს, რომ საერთაშორისო კომისია უნდა შეიქმნას, რომელიც ოსი, ქართველი და საერთაშორისო საზოგადოების წარმომადგენლებისაგან დაკომპლექტდება. აღნიშნულმა კომისიამ კი ტყვეებისა და უგზო-უკვლოდ დაკარგული ადამიანების პრობლემა უნდა გადაჭრას. მსგავსი პრეცედენტი წარმატებით მუშაობს ყარაბაღის კონფლიქტში.

„ახალი თაობა“ მამუკა არეშიძეს ესაუბრა:

— ბატონო მამუკა, ამ ბოლო დროს ვიზიტები გახშირდა მოსკოვშიც, ცხინვალშიც. პოლიტიკოსები, მაგალითად, ნოღაიდელი, ექსპერტები ჩადიან და მოლაპარაკებებს აწარმოებენ რუსეთის მთავრობასთან, კოკოითთან. ეს რაზე მიანიშნებს, რას იტყვით?

— საქართველოს მხრიდან ერთგვარი ტაბუ ჰქონდა დადებული ნებისმიერ კონტაქტს სეპარატისტული რეგიონების წარმომადგენლებთან მათ მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე, ასევე რუსებთან შეხვედრას მათ ტერიტორიაზე. მათ ტერიტორიაზეო, იმიტომ ვამბობ, რომ კანტიკუნტად თბილისში რუსი პოლიტოლოგები, ექსპერტები ჩამოდიოდნენ, გარდა ამისა, შეხვედრები იყო სხვა ქვეყნებში აფხაზეთისა და ცხინვალის წარმომადგენლებთან, მაგრამ მათივე ტერიტორიაზე შეხვედრებს სერიოზული ტაბუ ჰქონდა დადებული. პირველი მერცხალი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ჩვენი ჟურნალისტების მოსკოვში ჩასვლა იყო. ეს ხალხი საშინელ ქარცეცხლში გაატარეს ამის გამო. რუსეთს თითქმის 50 წელი ჰქონდა გერმანია ოკუპირებული, მაგრამ ეს იმას სულაც არ ნიშნავდა, რომ გერმანელი ჟურნალისტები არ მუშაობდნენ მოსკოვში. „დოიჩე-ველესაც“, „შპიგელსაც“, სხვებსაც თავიანთი წარმომადგენლები ჰყავდათ რუსეთში. ისინი ნაბიჯ-ნაბიჯ მიდიოდნენ იქითკენ, რომ გერმანიის ტერიტორიული მთლიანობა აღდგენილიყო. გარდა ამისა, გერმანელი პოლიტიკოსებიც და პოლიტოლოგებიც ხვდებოდნენ თავიანთ რუს კოლეგებს. მართალია, იყო დაძაბულობა, აზრთა სხვადასხვაობა, სპეცსამსახურების კონტრმუშაობა, მაგრამ ასეთი ტიპის კონტაქტები შენარჩუნებული იყო. ჩვენ თუ გვინდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, მაქსიმალურად უნდა შევეცადოთ, რომ პირდაპირი კონტაქტები დავამყაროთ ყველა ჩვენს მოწინააღმდეგესთან. ეს არ ნიშნავს იმას, რომ მათ პოლიტიკურ პლატფორმაზე გადავედით, ეს ნიშნავს კონტაქტების აღდგენასა და შენარჩუნებას. ნებისმიერი ასეთი ტიპის კონტაქტი, რომელიც იქნება, გნებავთ, სეპარატისტებთან, გნებავთ, ჩვენს მოწინააღმდეგე რუსეთთან, აუცილებელია, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ მავანი ჩვენი მოწინააღმდეგის პლატფორმაზე გადავიდეს.

— მაინც რამ გამოიწვია ამ ბოლო დროს ასეთი კონტაქტების გააქტიურება?

— მოთხოვნილებამ. ეს არის ბუნებრივი მოთხოვნილება, გაიგო, რას გეტყვის მოწინააღმდეგე არა ტრიბუნიდან, არამედ კულუარებში. ცხინვალთან ერთიერთობის მოთხოვნილება ახალგაზრდების დატყვევებამ განაპირობა. ჩვენი საზოგადოებისთვის უცნობი იყო, რომ რამდენი ქართველი ტყვეა ცხინვალის ციხეში. სპეციალისტთა ვიწრო წრემ ვიცოდით. ჩვენ გვისაყვედურეს კიდეც, რატომ არ იცოდა საზოგადოებამ ამის თაობაზეო. საზოგადოებამ ამის შესახებ იცოდა ნაწილობრივ. როგორც შეგვეძლო, ისე ვსაუბრობდით. მეც, საშა რუსეცკიც, პაატა ზაქარეიშვილიც ბევრს ვსაუბრობდით ამის შესახებ, მაგრამ საზოგადოება ყურს არ გვიგდებდა.

— ტყვეები ისევ არიან...

— ქართველები დაპატიმრებული არიან ცხინვალის ციხეშიც და ოსები არიან საქართველოს ციხეებში. გარდა ამისა, ვიღაცა იტყვის, რომ ეს პოლიტიკური აქტიურობაც იყო და პოლიტიკური ქულების დასაწერიც.

— პოლიტიკური ელფერი დაჰკრავდა ამ ვიზიტებს, თუ შეიძლება ასე ითქვას...

— რასაკვირველია, დაჰკრავდა. ნოღაიდელმა თუ სხვამ შეიძლება ეს სიტუაცია პოლიტიკური იმიჯის გასაზრდელად მოიპოვა,

მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ პოლიტიკური იმიჯის მოპოვება ნებისმიერი პოლიტიკოსისთვის აბსოლუტურად ნორმალურია. რატომ არ ატყდა აჟიოტაჟი, როდესაც გია თორთლაძე თავის თავს სთავაზობდა ცხინვალის ხელისუფლებას ტყვედ მყოფი ახალგაზრდების სანაცვლოდ?!

— ესეც, ალბათ, ერთგვარი პიარი იყო თორთლაძის მხრიდან...

— რასაკვირველია. რატომ გვავიწყდება, როდესაც ხელჩართულ ბრძოლაში იყო განმუხურთან მიხეილ სააკაშვილი რუს ოკუპანტებთან. ეს ყველაფერი შეიძლება აუცილებლობით იყო გამოწვეული, მაგრამ ირიბად პოლიტიკური ქულების მოსაპოვებლად გადადგმული ნაბიჯიც იყო. ეს არის ცივილიზებული სვლა პოლიტიკური იმიჯის გასაზრდელად. ამაში განსაკუთრებულსა და სამარცხვინოს ვერაფერს ვხედავ.

— თუმცა ხელისუფლების განცხადებები ასეთია: რატომ ჩადიან მტრებთან და რატომ საუბრობენ მათთან...

— ეს სისულელეა. თვითონ ერიდებათ მტერთან ღია საუბრის, თორემ ჩუმად კულუარული მოლაპარაკებები სულ არის.

— ჩვენს ხელისუფლებას აქვს კულუარული მოლაპარაკებები?

— რასაკვირველია, აქვს. არ ვსაუბრობ პოლიტიკურ მოლაპარაკებებზე, მაგრამ მოლაპარაკებები არის სხვადასხვა თემებზე. თუნდაც ის, რომ პატიმრების გასათავისუფლებლად ხელისუფლება გაჩერებული არ იყო და მუშაობა ხდებოდა იმავე დავით სანაკოევთან, რომელიც ცხინვალში ადამიანის უფლებების დაცვის სტრუქტურის ხელმძღვანელია. მასთან სულ იყო კონტაქტები. კარგად ვიცი, რომ რამდენიმე შემთხვევა იყო, ქართველმა სპეცსამსახურის თანამშრომლებმა მიიყვანეს გასაცვლელად ადამიანი, მაგრამ იქიდან არ მოიყვანეს. იგივეა აფხაზებთან დაკავშირებითაც. აქამდე არ შემეძლო მეთქვა, მაგრამ ახლა შემიძლია ვთქვა, რომ ღორის გრიპის ვაქცინები აფხაზეთის ხელისუფლებამ საქართველოს ხელისუფლებისგან მიიღო. ამის თაობაზე ოფიციალურად განაცხადა დალილა ხორავამ, აფხაზეთის ჯანდაცვის მინისტრმა. ეს არ არის პირველი შემთხვევა.

— ანუ კონტაქტები არსებობს?

— რასაკვირველია, არსებობს. მე მინდა, რომ ამ კონტაქტების შესახებ საზოგადოებამ იცოდეს, რომ საზოგადოება აბსოლუტურ უიმედობაში არ იყოს. მე ვერ ვხვდები, ხელისუფლება ამას რატომ მალავს. ეს, პირიქით, მისთვის არის სასიკეთო, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ არავითარ სეპარატიზმს არ მივიღებთ. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დათმობას არ ვაპირებთ. კონტაქტები უნდა იყოს, მეტიც, უნდა გაიზარდოს. არც ერთი წუთით არ დავიჯერებ, რომ პაატა ზაქარეიშვილისა და ამ ჯგუფის ჩასვლის შესახებ ცხინვალში ხელისუფლებამ არ იცოდა. ჩიტი ვერ შეფრინდება ხელისუფლების ნებართვის გარეშე. უბრალოდ, ხელისუფლების გარკვეული წრეები უგვანოდ მოიქცნენ, როდესაც ზაქარეიშვილს თავს დაესხნენ მათ მიერ კონტროლირებადი ტელევიზიების ჟურნალისტები. ძალიან კარგად იცოდნენ, რომ მიდიოდნენ და, ალბათ, ნებაც დართეს, ეს არის საქმე.

— ბატონო მამუკა, ასეთი არგუმენტიც არის, ჩვენ ხომ ვიცით, ეს ყველაფერი სად წყდება. რა შუაშია კოკოითთან შეხვედრა, თუნდაც თქვენ მიერ ნახსენები დავით სანაკოევი...

— ასეთი კონკრეტული შემთხვევების რაღაც დონეზე გადაწყვეტა შეიძლება. ახლა არ არის ისე საქმე, რომ იქ ვერავინ ვერაფერს

გაგრძელება მე-6 გვერდზე

გიორგი ტუღუშს 6-თვიანი გამოსაცდელი ვადა მისცეს

დასაწყისი მე-4 გვერდზე

საქართველოში არჩევნების პერიოდია და სწორედ იქ გამოჩნდება, ვინ ხართ თქვენ, რამდენად შეგიძლიათ დაიცვათ ადამიანის უფლებები. მათ შორის დაიცვათ ადამიანის უფლებები აირჩიონ სასურველი კანდიდატები საქართველოს წარმომადგენლობით ორგანოში, — ასე მიმართა ცაგარეიშვილმა პარლამენტის ტრიბუნიდან გიორგი ტუღუშს.

კვლავ გაურკვეველი რჩება, რატომ არ განიხილა პარლამენტმა სახალხო დამცველის 2008 წლის მეორე ნახევრის ანგარიში. სოზარ სუბარმა ეს ანგარიში პარლამენტს დათქმულ ვადებში წარუდგინა. თუმცა, სუბარმა ისე ამოწურა სახალხო დამცველის პოსტზე უფლებამოსილება, რომ ეს ანგარიში არავის განუხილავს.

საპარლამენტო ოპოზიცია გასულ კვირას კითხულობდა, ვის უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა იმაზე, რომ გასული წლის მეორე ნახევრის ანგარიში პარლამენტმა არ მოისმინა.

რამდენიმე თვის განმავლობაში ოპოზიციამ ვერ გაარკვია, ვინ უნდა აიღოს ამაზე პასუხისმგებლობა. სამაგიეროდ, ოპოზიციას უთხრეს, რომ არსებობს რეგლამენტის 218-ე მუხლი, სადაც გაწერილია სახალხო დამცველის ანგარიშის პროცედურები. კერძოდ, პარლამენტი სახალხო დამცველის ანგარიშს წელიწადში ერთხელ იხილავს და არ არის ვალდებული, ყველა ანგარიში სესიაზე განიხილოს. უმრავლესობის წევრების მხრიდან ასეთი განმარტებები ოპოზიციას არ აკმაყოფილებს.

ოპოზიციას გასული წლის ანგარიშის განუხილველობასთან დაკავშირებით საკუთარი ვარაუდები გააჩნია. ოპოზიციის ნაწილი ამბობს, რომ 2008 წლის მეორე ნახევრის შესახებ ანგარიშში ისეთი ფაქტებია შესული, რის მოსმენაც უმრავლესობას არ სურს.

— ვის უნდა დაეკისროს ვალდებულება 2008 წლის მეორე ნახევრის შესახებ ანგარიშის წარმოუდგენლობის გამო? არ იფიქროთ, რომ ეს იდეაფიქსია და ამაზე ჩავიციკლეთ, არავითარ შემთხვევაში, — ამბობს ოპოზიციონერი დიმიტრი ლორთქიფანიძე. მისივე განმარტებით, 2008 წლის მეორე ნახევრის ანგარიშში სოზარ სუბარი მსჯელობდა პოლიტიკური პატიმრების არსებობაზე.

— როგორც ჩანს, ეს იმდენად უხერხული და მიუღებელი თემაა უმრავლესობისთვის, რომ არგუმენტირებული პასუხი ვერავისგან ვერ მოვისმენე, — აღნიშნა დიმიტრი ლორთქიფანიძემ.

ოპოზიციის ნაწილი სახალხო დამცველისაგან იმ ადამიანების გვარების დასახელებასაც მოითხოვდა, ვისაც პოლიტპატიმრებად მიიჩნევს. გიორგი ტუღუშს არც ერთი გვარი არ დაუსახელებია.

„ქართული დასის“ ლიდერმა ჯონდი ბაღათურიამ სახალხო დამცველს მიკროფონიდან ასე მიმართა: „კონკრეტული პასუხი გაგვეცი, ნორა კვიციანი, მაია თოფურია, თემურ ჟორჟოლიანი, ტალახაძე და სხვები მიგაჩნიათ თუ არა პოლიტპატიმრებად და თუ ყველა არა, ვინმე მიგაჩნიათ თუ არა პოლიტპატიმრად?“

გიორგი ტუღუშმა ჯონდი ბაღათურიას განუმარტა, რომ ეს საქმეები შესწავლილ იქნა ყოფილი სახალხო დამცველის მიერ და ისინი 2008 წლის ანგარიშშია წარმოდგენილი.

— ჩემთან მსგავსი საქმეები განსახილველად არ შემოსულა. მე არ ვახდენ შეფასებას წინა სახალხო დამცველისა. თავიდან არ ვიწყებ ამ საქმეების შესწავლას, იმიტომ, რომ ეს საქმეები შესწავლილია, ნაწილი დაარქივებული, ჩემთან მსგავსი ტიპის საქმეებიდან 2 არის წარმოდგენილი, რომელიც განხილვის პროცესშია, — უთხრა სახალხო დამცველმა ჯონდი ბაღათურიას.

სწორედ ამ განმარტების მოსმენის შემდეგ გაჩნდა ოპოზიციაში ვარაუდი, რომ წინა სახალხო დამცველის ანგარიშის მოსმენა იმიტომ არ ხდება, რომ სოზარ სუბარი ამ პატიმრებთან დაკავშირებულ საქმეებზე ამახვილებს ყურადღებას.

ოპოზიციონერ დეპუტატებს ისიც აინტერესებს, როგორ ხდება სახალხო დამცველის ანგარიშების შერჩევით მოსმენა პარლამენტის სესიაზე.

დეპუტატები სხვადასხვა რანგის თანამდებობის პირების მხრიდან რამდენიმე დარღვევის ფაქტზეც საუბრობენ. ერთ-ერთ ასეთ მაგალითზე ოპოზიციონერი დიმიტრი ლორთქიფანიძე ამახვილებს ყურადღებას.

დიმიტრი ლორთქიფანიძის თქმით, ხონის რაიონულ სასამართლოში 55 განსასჯელიანი სისხლის სამართლის საქმე იხილებოდა, სასამართლოში წარდგენილი იყო სისხლის სამართლის 20 ტომი. მოსამართლემ განსასჯელის უფლებების დამცველ ადვოკატს საქმის გასაცნობად მხოლოდ და მხოლოდ 25 წუთი განუსაზღვრა. დიმიტრი ლორთქიფანიძის თქმით, ამასთან დაკავშირებით სახალხო დამცველი სამართლიან შეფასებას აკეთებს, რეკომენდაციით მიმართავს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, შემდგომი რეაგირებისთვის მიმართოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს და განხორციელდეს დისციპლინარული დევნა ამ მოსამართლის მიმართ.

სახალხო დამცველს ეკა ბესელიას ძმის საკითხთან დაკავშირებითაც მოუწია პასუხის გაცემა. ეკა ბესელიას ძმა უკვე რამდენიმე თვეა, რაც დაკავებულია. გიორგი ცაგარეიშვილმა სახალხო დამცველს ბესელიას საქმესთან დაკავშირებით შეკითხვით ორჯერ მიმართა, რის შემდეგაც გიორგი ტუღუშმა განმარტება გააკეთა.

ტუღუშის განცხადებით, სახალხო დამცველის აპარატში ჯერ კიდევ მაშინ შევიდა განცხადება, როდესაც სახალხო დამცველი სოზარ სუბარი იყო.

— საქმე შესწავლილი იქნა კონკრეტული თანამშრომლის მიერ ჯერ კიდევ სოზარ სუბარის ომბუდსმენობის დროს. მე როდესაც დავიკავე თანამდებობა, ბატონმა სუბარმა მთხოვა, რომ სხვა იურისტისთვის გადამეცა ეს საქმე და მას თავიდან შეესწავლა. რაც შეეხება ამჟამინდელ ეტაპს, ჩვენ ვერ მივიღებთ გამოძიების კონკრეტულ დოკუმენტებს, სანამ არ დადგება განაჩენი სასამართლოს მიერ. შესაბამისად, საქმე ნამდვილად არის, მაგრამ ჩვენ რომ მოვახდინოთ შემდგომი განხილვა, ამისთვის უნდა მოგვეწოდოს მასალები. დღესდღეობით, ამ საქმეზე მიმდინარეობს სასამართლო გამოძიება, — ასეთია ტუღუშის პოზიცია.

ეკა ბესელიას ძმის საკითხი ერთადერთი არ არის, რაზეც დეპუტატები კითხვებს სვამენ.

ერთ-ერთი კურიოზული ფაქტი, რაზეც დიმიტრი ლორთქიფანიძე უკვე მეორედ აკეთებს აქცენტს, შეეხება პატიმართა გათავისუფლებასთან დაკავშირებულ უცნაურ არითმეტიკას.

დიმიტრი ლორთქიფანიძის თქმით, სახალხო დამცველმა სასჯელაღსრულების დეპარტამენტს შეკითხვა გაუგზავნა — 2009 წლის პირველ ნახევარში, პირობით ვადაზე ადრე რამდენი პატიმარი გათავისუფლდა, რაზეც სახალხო დამცველმა პასუხი მიიღო, რომ სასჯელაღსრულებით დეპარტამენტმა სასამართლოში 434 საქმე გადააგზავნა. სახალხო დამცველმა ხელმეორედ გადაუგზავნა შეკითხვა, რამდენი მსჯავრდებულია გათავისუფლებული, საიდანაც უპასუხეს, რომ სასჯელაღსრულებითი დეპარტამენტის მუდმივმოქმედ კომისიას გაუთავისუფლებია 716 მსჯავრდებული.

— ეს, ალბათ, გაგახსენებთ „კაცია-ადამიანიდან“ თათქარიძის ცნობილ გამონათქვამს — გაფრენილან... ანუ 282 პატიმრით ვერაფრით ვერ გაიზრდებოდა მათი რიცხვი, — ამბობს დიმიტრი ლორთქიფანიძე.

ოპოზიციონერი დეპუტატი სასჯელაღსრულების მინისტრის მოვალეობის შემსრულებისგან პასუხს ელის, როგორ ხდება, რომ 434 სარეკომენდაციო წინადადებიდან 716 იქნა დაკმაყოფილებული?

კიდევ ერთი საკითხი, რომელიც ყველა დროს აქტუალურია, შეეხება მედიის თავისუფლებას. დეპუტატები ამ საკითხზე მოსაზრების მოსმენას სახალხო დამცველის თითქმის ყველა ანგარიშის განხილვის დროს ითხოვენ.

ოპოზიციონერმა გიორგი ცაგარეიშვილმა სახალხო დამცველს პირდაპირ ჰკითხა: არის თუ არა მედია თავისუფალი და რომელი მედიასაშუალებებია თავისუფალი? გიორგი ტუღუშს ცაგარეიშვილისთვის კონკრეტული საინფორმაციო საშუალებები არ ჩამოუთვლია.

გიორგი ტუღუშის განცხადებით, ფრიდონ ჰაუსმა შეფასება გააკეთა, სადაც აღნიშნა, რომ მედიის მიმართულებით მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა.

— რაც შეეხება მედიასაშუალებებს, მე ვთვლი, რომ არსებობს თავისუფალი მედიასაშუალებები, მაგრამ არსებობს მედიასაშუალებები, რომლებიც საფუძვლიან ეჭვს ბადებს საზოგადოების მხრიდან, — ასეთია სახალხო დამცველის პოზიცია.

გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებით საკუთარი შეხედულება აქვს საპარლამენტო უმრავლესობას. კერძოდ, მმართველი ფრაქციის ერთ-ერთ ლიდერს — გოკა გაბაშვილს მიაჩნია, რომ ჩვენ გამოხატვის თავისუფლების დიდი ტრადიცია არა გვაქვს, საკმაოდ სერიოზული 20 წლიანი ტრადიცია გვაქვს, მაგრამ გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა ნამდვილად არ ხდება. გაბაშვილის შეხედულებით, ზოგჯერ გამოხატვის თავისუფლებას იმდენად დიდი პრიორიტეტი ენიჭებოდა, რომ რაღაცებზე თვალის დახუჭვაც ხდებოდა.

— მე ძალიან კარგად მახსოვს ბლოკირებული პარლამენტის შენობა, გამოხატვის თავისუფლების აბსოლუტურად უზნეო და უზრდელური მეთოდები — კვერცხების სროლითა და წყლით წუწაობით, მაგრამ იმდენად მნიშვნელოვანია გამოხატვის თავისუფლება, რომ ჯობია ჩვენმა ოპონენტებმა ამ უზნეო ფორმების გამოვლის შემდეგ მოიხადონ ეს სახადი და საბოლოო სახით ჩამოაყალიბონ გამოხატვის თავისუფლების კულტურული მეთოდები. ამაში ჩვენ მხარს დავუჭერთ, — ასეთია გოკა გაბაშვილის პოზიცია.

რაც შეეხება სახალხო დამცველის რეკომენდაციებს სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით, სახალხო დამცველს 80-მდე რეკომენდაცია აქვს. ეს რეკომენდაციები და წინადადები გიორგი ტუღუშმა დეპუტატებს პარასკევს გააცნო.

გიორგი ტუღუშის რა რეკომენდაციებს გაითვალისწინებს ხელისუფლება და რას არა, ამაზე სახალხო დამცველი მომავალი ანგარიშის წარდგენის დროს გაამახვილებს ყურადღებას.

სვანეთში ჩატარებული სპეცოპერაციის გამო სააკაშვილი დაისჯება?

აფრასი ეების უდანაშაულობას დავამტკიცებ!

შორენა კოწოწაშვილი

პრეზიდენტმა აფრასიძეებთან დაკავშირებით სკანდალური განცხადება გააკეთა. მისი სიტყვები პროკურორის სახელზე შეტანილ განცხადებაში ფიქსირდება. გოჩა და შმაგი აფრასიძეების ადვოკატი მალხაზ ჯანგირაშვილი მიიჩნევს, რომ ამ განცხადებით პრეზიდენტმა გამოამჟღავნა მანამდე უცნობი გარემოებები 2004 წლის 24 მარტს აფრასიძეების ოჯახის მიმართ განხორციელებულ ე.წ. სპეცოპერაციასთან დაკავშირებით.

მალხაზ ჯანგირაშვილი, ადვოკატი:

— სააკაშვილის ეს განცხადება უაღრესად მნიშვნელოვანია. გარდა იმისა, რომ მასში მოცემულია აღიარება არაერთი განსაკუთრებით მძიმე სისხლის სამართლის დანაშაულისა (მათ შორის, სხვადასხვა დამამძიმებელი გარემოებით განზრახ მკვლელობისა), რომელიც ჩადენილ იქნა პრეზიდენტისა და ხელისუფლების სხვა წარმომადგენელთა უშუალო ხელმძღვანელობით და რომელიც საგულდაგულოდ იყო შენიღბული. ამ განაჩენით კიდევ ერთხელ გამოიკვეთა უკანონობა განაჩენისა, რომლითაც ყოველგვარი დასაბუთებისა და მტკიცებულების გარეშე, საპროცესო ნორმების სრული იგნორირებით გოჩა აფრასიძეს მიესაჯა — 20, შმაგი აფრასიძეს — 18 წლით, ხოლო ვლადიმერ მურავიოვს 11 წლით თავისუფლების აღკვეთა. სამივე ეს ადამიანი დღეისათვის უკანონო პატიმრობაში იმყოფება.

როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, 2004 წელს სოფელ ეცერში ჩატარებულ სპეცოპერაციასთან დაკავშირებით წარმოებული საქმე ქუთაისის საოლქო სასამართლომ განიხილა და 2006 წლის 1 მარტს განაჩენი გამოიტანა. საქმის მასალებით და შემდგომ სასამართლო გამოძიებით დადგინდა, რომ ევგენი, ომეხ, შმაგი და გოჩა აფრასიძეებმა და მათთან შინამოსამსახურედ მყოფმა ვლადიმერ მურავიოვმა შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწიეს ოპერაციაში მონაწილე პოლიციის მუშაკებს.

ქუთაისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მიერ დადგენილ იქნა, რომ აფრასიძეებმა ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღებიდან და ტყვიამფრქვევიდან დამიზნებითი სროლებით დააზიანეს ოპერაციაში ჩართული საზღვრის დაცვის დეპარტამენტის შვეულმფრენი „მი 8 მტვ-1“, რომლის ბორტზე იმყოფებოდა პოლიციის 11 მუშაკი. განაჩენის თანახმად, საპასუხო სროლების შედეგად ადგილზე იქნენ ლიკვიდირებულნი ევგენი და ომეხ აფრასიძეები, ხოლო გოჩა და შმაგი აფრასიძეები, ასევე მათი თანამზრახველი ვლადიმერ მურავიოვი, მიუხედავად მათი მხრიდან გაწეული შეიარაღებული წინააღმდეგობისა, დაკავებულ და განიარაღებულ იქნენ სპეცოპერაციაში მონაწილე პირების მიერ.

— აშკარაა რადიკალური წინააღმდეგობა სააკაშვილის განცხადებასა და განაჩენში მოყვანილ ვერსიას შორის, რამდენადაც, სააკაშვილის განცხადების შესაბამისად, მის მიერ თავიდანვე იყო გაცემული ბრძანება აფრასიძეების დაბომბვისა და განადგურების შესახებ. განაჩენის თანახმად კი ჯერ მოხდა წინააღმდეგობის გაწევა, შემდეგ კი პოლიციელთა მიერ მათი ლიკვიდაცია და დაკავება. მიუხედავად იმისა, რომ სრულიად ლეგიტიმური იქნებოდა წინააღმდეგობის გაწევა იმ პირობებში, როდესაც ცეცხლი გაუხსნეს ქალებსა და ბავშვებს, აფრასიძეები წინააღმდეგობას ვერ გაუწევდნენ თავდამსხმელებს, თუნდაც იმის გამო, რომ მათგან არც ერთი ერთეული სასროლად ვარგისი ცეცხლსასროლი იარაღი ამოღებული არ ყოფილა, — აცხადებს ადვოკატი ჯანგირაშვილი.

აფრასიძეების ადვოკატის მტკიცებით, მიხეილ სააკაშვილის ზემოთ აღნიშნული განცხადება შეიცავს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებს.

ადვოკატი მალხაზ ჯანგირაშვილი მიიჩნევს, რომ სს კოდექსის 261-ე მუხლის შესაბამისად, სასწრაფოდ უნდა დაიწყოს გამოძიება აღნიშნული განცხადების საფუძველზე. უნდა ჩატარდეს თავდაპირველი საგამოძიებო მოქმედებები, კერძოდ, მოწმის სახით იქნენ დაკითხული პრეზიდენტი სააკაშვილი და ის პირები, რომლებიც უშუალოდ ხელმძღვანელობდნენ 24 მარტის ოპერაციას, მათ შორის, იმჟამინდელი შს მინისტრი გია ბარამიძე, უშიშროების მინისტრი ზურაბ ადეიშვილი და იმჟამინდელი უშიშროების საბჭოს მდივანი ვანო მერაბიშვილი.

სწორედ მიხეილ სააკაშვილის, გია ბარამიძის, ზურაბ ადეიშვილისა და ვანო მერაბიშვილის დაკითხვას ითხოვს აფრასიძეების ადვოკატი საქართველოს მთავარი პროკურორის სახელზე შეტანილ განცხადებაში. ადვოკატი მალხაზ ჯანგირაშვილი მიმართავს საქართველოს მთავარ პროკურორს, რათა, თავის მხრივ, მურთაზ ზოდელავამ მიმართოს საქართველოს პარლამენტს, ზემოთ დასახელებული პირების — მიხეილ სააკაშვილის, მერაბიშვილის, ადეიშვილისა და გია ბარამიძის მიმართ განხორციელდეს იმპიჩმენტის პროცედურა, რის შედეგადაც მათ წარედგინებათ ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლებით.

ადვოკატის მტკიცებით, აფრასიძეების ოჯახი პროკურატურის მხრიდან უნდა იქნეს ცნობილი დაზარალებულად, რაც დაცვის მხარეს საშუალებას მისცემს, მონაწილეობა მიიღოს გამოძიების პროცესში.

— ჩვენ დავამტკიცებთ, რომ ეს იყო რეალურად. ეს იყო არა ანტიკრიმინალური, არამედ სამხედრო ოპერაცია ერთი ოჯახის წინააღმდეგ, სადაც თავდასხმის დროს იმყოფებოდა 5 მამაკაცი, 3 ქალი და 4 მცირეწლოვანი ბავშვი. ოპერაციის დროს ხელისუფლების მიერ გამოყენებულ იქნა არაპროპორციული ძალა, კერძოდ, შს სამინისტროს გულუას სახელობის სპეცრაზმი, უშიშროების სამინისტროს შინაგანი ჯარების სპეცრაზმი, სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციის მთელი პირადი შემადგენლობა, — განაცხადა მალხაზ ჯანგირაშვილმა. მისი თქმით, როგორც თვითმხილველები ამბობენ, იყო დაახლოებით 1000 კაცი. ყველას ეკეთა ნიღაბი, ეცვა სამხედრო ფორმა და შეიარაღებული იყო ავტომატებით, ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარმტყორცნებით, ტყვიამფრქვევებით, იყო აგრეთვე სამხედრო ავიაცია 12 ვერტმფრენის შემადგენლობით და ა.შ.

რაც შეეხება თავად სპეცოპერაციას, ოპერაცია დაიწყო გამთენიისას 6-დან 7 საათამდე. თავდასხმის დროს აფრასიძეების ოჯახის წევრებს ეძინათ. ალყაში მოაქციეს მთელი ის უბანი, სადაც აფრასიძეები ცხოვრობდნენ. განცხადების თანახმად, ძალოვნებმა ცეცხლი ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე გახსნეს და ისროდნენ ყველა სახის იარაღიდან: ყუმბარმტყორცნებიდან, „მუხებიდან“, ავტომატებიდან და ა.შ. ცეცხლის არეალში მოექცა არა მხოლოდ აფრასიძეების ორი სახლი, არამედ მიმდებარე სახლებიც. ვერტმფრენებიდან ჩამოყარეს რაკეტები და ბომბები.

სააკაშვილის „შემსრულებლების“ აქტიურობისა და დიდი მონდომების შედეგად, რაც ინტენსიური სროლებით გამოიხატებოდა, ფსიქიკურად დაავადდა შმაგი აფრასიძის მეუღლე ინდირა ცინდელიანი, ხოლო აფრასიძეების მეზობელი ნინა გურჩიანი შიშისგან გარდაიცვალა.

ალბათ, ამ ყველაფერს ბევრი თუ დაუკავშირებდა თავად პრეზიდენტს, რომ არა სააკაშვილის ცნობილი ფაქტობრივად აღიარებითი ჩვენება სასტუმრო „რედისონში“ და სიტყვები: „მე გავეცი ბრძანება მესტიას დაპატრონებული ბანდიტების განადგურებისა და ერთი წამით ამას არ ვნანობ... ჩვენ საქართველოში ასე ვამყარებთ წესრიგს“.

აფრასიძეების ადვოკატის ინფორმაციით, სახლთან ერთად დაიწვა დაჭრილი ევგენი აფრასიძე, რომლის გამოყვანის უფლება მეზობლებს სპეცრაზმელებმა არ მისცეს.

სპეცრაზმელების მიერ გაჩხრეკილ იქნენ ეცერელები. არც ერთ ეცერელს იარაღი არ აღმოაჩნდა. ჯანგირაშვილის თქმით, შმაგი გურჩიანსა და ლერი ქანცლანს ჩაუდეს მარიხუანა, რის გამოც არაერთი თვე მათ უკანონო პატიმრობაში გაატარეს.

როგორც აფრასიძეების ადვოკატი აცხადებს, აფრასიძეთა ოჯახი შერიგებული იყო წინა ხელისუფლებასთან.

— დავამტკიცებთ, რომ 1996 წლიდან ოჯახის არც ერთ წევრს არ ერიცხებოდა დანაშაულებრივი ეპიზოდი. არც ერთს არ ჰქონია ყაჩაღობის ბრალდება და აფრასიძეებს არავითარი შეხება არ ჰქონიათ ადამიანების გატაცების გახმაურებულ ფაქტებთან. მოწმეთა ჩვენებებით დავამტკიცებთ იმასაც, რომ ომეხ აფრასიძე მზად იყო ჩაჰბარებოდა სამართალდამცველებს. იგი ითხოვდა ობიექტური გამოძიების ჩატარების გარანტიას, — ნათქვამია მურთაზ ზოდელავას სახელზე შეტანილ განცხადებაში, სადაც აფრასიძეების ადვოკატი პირობას დებს, რომ შეძლებს დაამტკიცოს, გოჩა აფრასიძეს მიზანმიმართულად არ აღმოუჩინეს სამედიცინო დახმარება და მიზანმიმართულად დააკარგვინეს მხედველობა ერთ თვალში. ჯანგირაშვილის თქმით, გოჩა აფრასიძე ამჟამად მეორე თვალში კარგავს მხედველობას.

მალხაზ ჯანგირაშვილმა საქართველოს მთავარ პროკურორს ოფიციალური განცხადებით 6 ნოემბერს მიმართა, თუმცა რეაგირება დღემდე არ ჩანს.

სააკაშვილის ნებართვის გარეშე ცხინვალში ვერავინ შევა

დასაწყისი მე-5 გვერდზე

წყვეტდეს. კოკოითმა ქართველი ბავშვების თემა გამოიყენა. მან ამით თავი შეახსენა მსოფლიო საზოგადოებას. კოკოითი ვილას ახსოვდა. ორთვე-ნახევარი კოკოითი არავის ახსოვდა. მას ძალაუფლება არ აქვს. ცხინვალში რა ძალაუფლება უნდა გქონდეს, რა უნდა აკონტროლო, სამხედრო, ძალოვანი სტრუქტურები მთლიანად რუსეთის ხელშია. კოკოითს მხოლოდ სამეურნეო, ეკონომიკური ძალაუფლება დარჩა. ეს სფეროც, პუტინის ბრძანებით, პრემიერ-მინისტრს მიჰყავს. კოკოითს არაფერში ახედებენ. ცხინვალში აღდგენითი სამუშაოები დაიწყო და 300 სახლი გარემონტების სტადიაშია. ახლა აწყობდა კოკოითს ეს პიარი.

— პატიმრების გაცვლის საკითხი გაგრძელდება? როგორც ვიცი, 5 პატიმარი გაიცვალა...

— დიახ, 5 გაიცვალა. კიდევ კონკრეტული პატიმრები არიან, რომლებიც თბილისის ციხეებში იმყოფებიან და არიან ადამიანები, რომლებიც უგზო-უკვლოდ არიან გამქრალნი. ცხინვალის მხარეს პატიმართა სიაში ჩართული ჰყავს ის ადამიანებიც, რომლებიც უგზო-უკვლოდ არიან დაკარგული, მაგრამ, გინდა თუ არა, თბილისის ციხეებში არიანო. თავიანთი საზოგადოების წინაშე ოსებმა სწორად ააგეს ეს საკითხი. დაკარგულის ოჯახს ისინი ეუბნებიან, ჩვენ ვიცით, რომ თბილისის ციხეებში იყვნენ და მერე დახოცესო. რეალურად არავინ იცის, მართლა იყვნენ ციხეში თუ ომის დროს დაიღუპნენ. ქართულმა მხარემაც ასე უნდა დააყენოს საკითხი, რომელიც უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლება. სამოქალაქო პირებს ვგულისხმობ. ასეთი ჩვენ ორ ათეულზე მეტი რაოდენობა გვყავს. 11 პატიმრის სიას ეს ხალხიც უნდა დავამატოთ. სისხლის სამართლის დანაშაულია, თუ ვინმე პატიმარი ციხეში მოკლეს, მაგრამ, არიან ადამიანები, რომლებიც ქართველ სამართალდამცავებთან შეტაკებისას დაიღუპნენ, მაროდიორობის დროს, მაგრამ ოსური მხარე აპელირებს, გინდა თუ არა, თბილისის ციხეებში არიანო, არადა, კარგად იციან, ვინ სად დაიღუპა. მე ვამბობ, რომ საერთაშორისო საზოგადოებრივი კომისია უნდა შეიქმნას ხელისუფლების თანხმობით ორივე მხრიდან, როგორც ყარაბაღშია.

ამ კვირიდან ვირუსის შემცირებას ველოდებით

„საქართველოში ახალი ტიპის გრიპის ვირუსის გავრცელების ტემპი, დამდეგი კვირიდან მოიკლებს, რადგანაც სტატისტიკურად, სწორედ განვლილი პერიოდი მიიჩნეოდა ვირუსის გავრცელების ყველაზე მაღალი მაჩვენებლის პერიოდად“, — ამის შესახებ „მედიანიუსს“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ალექსანდრე კვიტაშვილმა განუცხადა.

„ქვეყანაში, ვირუსული ინფექციის გავრცელების ყველაზე მაღალი რისკის მატარებელი ორსულები რჩება. ამ დროისათვის, 8 ადამიანია მძიმე მდგომარეობაში და ისინი ხელოვნურ სასუნთ აპარატზე არიან მიერთებული. ამის მიუხედავად, მინდა ვთქვა, რომ მათი გამოჯანმრთელების შანსი მაღალია. ოფიციალურად, დეკემბრის შუა რიცხვებამდე, 55 ათასმა ადამიანმა მიმართა ექიმს. პრევენციის ყველაზე კარგი საშუალებაა ვირუსის პირველივე სიპტომებისთანავე, ექიმს მივმართოთ. 210 ადამიანი, უკვე ჰოსპიტალიზებულია. მომავალი კვირიდან, ვირუსის დაცემას და კლებას ველოდებით.“ - განაცხადა კვიტაშვილმა.

მინისტრის განცხადებით, სახელმწიფო ვერ დაეხმარება იმ ადამიანების ოჯახებს, ვინც ე.წ. „ღორის გრიპით“ გარდაიცვალნენ. მისი თქმით, სახელმწიფო მხოლოდ მკურნალობის პერიოდში ახორციელებს დახმარებას.

მინისტრმა უარყო ის განცხადებაც, რომ თითქოსდა ქვეყანაში პირბადეებისა და ვიტამინ ც-ს დეფიციტი იყოს. აღნიშნული განცხადება მან აჭარის რეგიონის სააფთიაქო ქსელში ამ მედიკამენტების რეალური დეფიციტის კომენტირებისას გააკეთა, თუმცა კვიტაშვილმა განაცხადა, რომ სააფთიაქო ქსელი კერძო სექტორს წარმოადგენს და სახელმწიფოს მსგავსი მარაგის ნაკლეობობა არ გააჩნია. **მედიანიუსი**

მწვანეები ნორიოში ნაგავსაყრელის მშენებლობას აპროტესტებენ

ახალი ნაგავსაყრელი მოსახლეობას საფრთხეს უქმნის

გულიკო ბალა ე

მიხეილ სააკაშვილი კარგა ხანია, რაც გიგი უგულავას წინასაარჩევნო კამპანიაში ჩაერთო. სააკაშვილმა გლდანის მოსახლეობის მომადლიერების გასაღებს მიაგნო და მათთან შეხვედრისას 2009 წლის 29 ივლისს განაცხადა, რომ გლდანის ნაგავსაყრელს, რომელიც წლების განმავლობაში პრობლემებს უქმნიდა იქ მცხოვრებ მოსახლეობას, ნორიოს ველზე გადაიტანდა.

2009 წლის 14 ნოემბერს საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრ ზურაბ პოლოლიკაშვილის №1-1/2692 ბრძანებით, თბილისის თვითმმართველ ერთეულს საკუთრებაში გადაეცა სოფელ ნორიოში მდებარე 655778 კვ მ მიწის ნაკვეთი.

ნაგავსაყრელის მშენებლობის თაობაზე არავის უკითხავს ნორიოს მცხოვრებლებისათვის, არადა, ისინი სასტიკი წინააღმდეგი არიან მათ სოფელში ამგვარი მშენებლობისა. ამის გამო მათ პროტესტის ნიშნად მრავალრიცხოვანი შეკრებებიც გამართეს, წერილებიც გაგზავნეს სახელმწიფო უწყებებსა და საპატრიარქოში.

ამჯერად გარდაბნის რაიონის სოფელ ნორიოს მცხოვრებლებმა საქართველოს მწვანეთა პარტიას მიმართეს, რომ აღშფოთებულნი არიან მათ სოფელში ნაგავსაყრელის მშენებლობით.

მწვანეთა პარტიაში გამართულ პრესკონფერენციაზე აღინიშნა, რომ ნაგავსაყრელის მოწყობის ადგილი სოფლიდან 1,5 კმ-ის დაშორებით მდებარეობს. სოფელში ყოველთვის ქარი ჩრდილო-დასავლეთიდან ქრის, რაც გამოიწვევს ნაგვის წვის შედეგად არსებული სუნისა და ანტისანიტარიის სოფელში შემოტანას. ნორიოში ცხოვრობს 5 ათასამდე ადამიანი. ნაგავსაყრელის მშენებლობა კი იმას ნიშნავს, რომ ეს ხალხი სოფლიდან უნდა აიყაროს და ეს ტერიტორიები დატოვოს.

მწვანეთა პარტია შეშფოთებულია იმის გამო, რომ ნაგავსაყრელის მოსაწყობ ადგილას გაშენებულია ტყის მასივი, რომელიც გაიჩეხება ნაგავსაყრელის ფუნქციონირებისთვის. გარდა ამისა, ისტორიული და მართლმადიდებლური თვალსაზრისით, ეს ადგილი მნიშვნელოვანი გახლავთ. ამდენად, მწვანეთა პარტია მიიჩნევს, რომ ამ ნაბიჯით ხელისუფლება საქართველოს ისტორიისა და მართლმადიდებლობის წინააღმდეგ მიდის.

გაგრძელება მე-7 გვერდზე

გააგზავნეთ სმს „ჯეოსელიდან“, „მაგთიდან“, „ბილაინიდან“
ნომერზე 30-30 და 1 ლარით ყოველთვიურად
დაეხმარებით მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს.
ერთჯერადი დახმარებისათვის დარეკეთ ნომერზე 30-30 და
ფონდ „იავნანას“ ანგარიშზე ავტომატურად ჩაირიცხება 1 ლარი.
შემოგვიერთდით, ერთად დავუბრუნოთ
ბავშვები თავიანთ ოჯახებს!
ფონდი „იავნანა“, გაზეთი „ახალი თაობა“

ბელორუსს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარება არ გადაუწყვეტია

ბელორუსია საქართველოდან და მისი ოკუპირებული რეგიონებიდან უშუალოდ მიღებულ მასალებს ამუშავებს. დამოუკიდებელი ექსპერტების შეფასებით, ლუკაშენკო კოგალიაში სიტუაციას ისე სწავლობს, რომ ცალი თვალით ევროპისკენ იყურება. ის, ერთი მხრივ, მოსკოვთან ურთიერთობების „განსაკუთრებულობაზე“ მეტყველებს, ხოლო მეორე მხრივ ევროკავშირთანაც არ სურს, მისასვლელი მოიჭრას.



გერა მამულაშვილი

ბელორუსმა და რუსმა დეპუტატმა მინსკის მხრიდან აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის „დამოუკიდებლობის აღიარების პერსპექტივები“ უკვე მოსკოვშიც განიხილეს. დისკუსიები ამას წინათ რუსეთ-ბელორუსის კავშირის საპარლამენტო ასამბლეის სესიის ჩარჩოებში მიმდინარეობდა.

მანამდე კი, ბელორუსის პარლამენტის სამუშაო ჯგუფი საქართველოში და მის ოკუპირებულ რეგიონებში იმყოფებოდა. მათ რეგიონში არსებულ სიტუაციაზე სპეციალური მოხსენება მოამზადეს, თუმცა, ცხინვალის და სოხუმის „აღიარების“ საკითხის განხილვაზე ბელორუსის პარლამენტში თარიღი ჯერ არ ჩანაშნულა. წინასწარი გადაწყვეტილებით, ბელორუსმა პარლამენტარებმა საკითხის განხილვა საგაზაფხულო მოწვევის სესიას „გადაულიეს“.

საქართველოში არსებული სიტუაცია კი 12-მა ბელორუსელმა დეპუტატმა შეისწავლა; ექვსი მათგანი თბილისში იმყოფებოდა, ხოლო სამ-სამი — სოხუმსა და ცხინვალში.

— ინფორმაციის დამუშავება მიმდინარეობს, ამიტომ შეხვედრების შედეგებზე კონკრეტული საუბარი ჯერჯჯერობით ნაადრევია. შემიძლია ერთი გითხრათ — ჩვენ მიერ დასახული მიზნები მიღწეულია. ობიექტური მასალები მიღებულია, მოხსენება როგორც საჭიროა, ისე მომზადდება, — აცხადებს ბელორუსის პარლამენტის ეროვნული უსაფრთხოების კომისიის თავმჯდომარე, თბილისის სამუშაო ჯგუფში მონაწილე ვიქტორ გუშინსკი.

ბელორუსის პარლამენტის ქვედა პალატის საერთაშორისო კომისიის თავმჯდომარე, სერგეი მასკევიჩი, რომელიც ასევე თბილისს სტუმრობდა, ამასთან დაკავშირებით შემდეგ განცხადებას აკეთებს:

— ჩვენ ამჟამინდელ სიტუაციას გავეცანით, რეფუბლიკის და რეგიონების დონეზე გასული წლის სამხედრო კონფლიქტის შედეგები განვიხილეთ, ვისაუბრეთ დევნილებთან. რეგიონში არსებული სიტუაცია უკვე საკმარისად სტაბილურია, მაგრამ კონფლიქტის შედეგები შენარჩუნებულია იქამდე, სანამ საცსალაამთნი არიან ადამიანები, ვინც მისგან დაზარალდნენ და ასევე მათი შვილები. ხოლო დაზარალებულები ძალიან ბევრნი იყვნენ, — აცხადეს მასკევიჩი.

მაგრამ დელეგაციის წევრი ერთერთი დეპუტატი, ცხინვალის და სოხუმის „აღიარების“ საკითხის განხილვის ვადებს არ ასახელებს. ამაზე დიპლომატიურ კომენტარს ისევ მასკევიჩი აკეთებს:

— კავკასიაში მოგზაურობის შესახებ მოხსენება ბელორუსის წარმომადგენელთა პალატის ხელმძღვანელობას გადაეგზავნება, — აცხადებს მასკევიჩი.

თუმცა, ცნობილია, რომ მოხსენების განხილვა ჯელნარულ სხდომაზე აღარ იგეგმება. მინსკში შემდგომ მოქმედებას პარლამენტის ხელმძღვანელობის მხრიდან დოკუმენტის განხილვის შემდეგ განსაზღვრავენ. მიმდინარე საპარლამენტო სესია ბელორუსში დეკემბრის ბოლოს მთავრდება და არ არის გამორიცხული, რომ საკითხი გადავა საგაზაფხულო სესიაზე, რომელიც აპრილში დაიწყება (ბოლო მონაცემებით, მოვლენები სწორედ ამ გზით განვითარდება კიდევაც).

დამოუკიდებელი ბელორუსი ექსპერტები თვლიან, რომ ოფიციალური მინსკი მოცემული საკითხის გადაწყვეტის რაც შეიძლება მეტად გაწელვით არის დაინტერესებული. ქვეყნის ხელმძღვანელობა უცხოელ პარტნიორებთან კონფლიქტს უფრთხის. ეს გასაგებიცაა, რადგან ევროკავშირმა მასთან დაახლოების სანაცვლოდ ოფიციალურ მინსკს ყოველგვარი რევერანსების გარეშე ღიად მოუწოდა, რომ არ აღიაროს საქართველოს ოკუპირებული რეგიონები. წინაადმდეგ შემთხვევაში ბელორუსის ინტეგრაციული პროცესები ევროკავშირთან დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება.

ამასობაში კრემლი ბელორუსის მხრიდან საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების „აღიარებას“ უკვე წელინადზე მეტია, რაც ელის. ამავე დროს ბრიუსელი ღიად აცხადებს, რომ „აღიარება“ მინსკთან ამას წინათ დაწყებულ დიალოგს უაღრესად გაართულებს.

— გადაწყვეტილება აღიარების შესახებ — ეს ბელორუსის გეოპოლიტიკური არჩევანია. მინსკი პასუხს სცემს კითხვას, დარჩეს თუ არა მოსკოვის ორბიტაში, თუ გამოიჩინოს მდგრადობა და მიიღოს დივიდენდები დასავლეთისგან, — აცხადებს დამოკიდებული ბელორუსი პოლიტოლოგი ალექსანდრ კლასკოვსკი.

მისივე აზრით, საქართველოში ბელორუსი დეპუტატების გამგზავრებას „აღიარებაზე გადაწყვეტილების მიღებასთან კავშირი არ გააჩნია“.

— გეოპოლიტიკური სიტუაციის ყველა საწყისი პარამეტრები ბელორუსული ხელმძღვანელობისთვის ცნობილია. მაგრამ დროის გაყვანა მინსკის წისქვილზე ასხამს წყალს თუნდაც იმიტომ, რომ პრობლემის სიმწვავე სულ უფრო ბლაგდება, — აცხადებს კლასკოვსკი.

ამ ფონზე ბელორუსის და რუსეთის მაღალჩინოსნები ირწმუნებიან, რომ მინსკსა და ევროკავშირს შორის დიალოგის გაფართოება, მოსკოვთან მის სამოკავშირეო ურთიერთობებს არ ეწინააღმდეგება. საგარეო უწყებების მეთაურებმა ლავროვმა და მარტინოვმა მოსკოვში ევროკავშირის პროგრამა „აღმოსავლურ პარტნიორობაში“ ბელორუსის მონაწილეობა განიხილეს.

ბელორუსის საგარეო მინისტრმა სერგეი მარტინოვმა ისიც კი განაცხადა, რომ მინსკი ამ პროგრამის ჩარჩოებში პროექტთა რეალიზაციაში მოსკოვის ჩართვას აპირებს. მისი თქმით, „რუსულ მხარეს წარედგინა რამდენიმე თემა, რომლებშიც ჩვენ ერთად მუშაობა გვსურს“.

— ჩვენმა ბელორუსმა მეგობრებმა ნათლად დაგვიდასტურეს, რომ „აღმოსავლური პარტნიორობის“ პროექტებში მონაწილეობა არანაირ ზიანს არ მოიტანს; არ შეეწინააღმდეგება ბელორუსის აქტიურ მონაწილეობას დსთ-ს სივრცეში ინტეგრაციულ პროცესებში — „ევრაზესის“ და საბაჟო კავშირის ჩათვლით. ჩვენ ასეთ მიდგომას ვთვლით გახსნილად, ტრანსპარენტულად და იქიდან გამოვდივართ, რომ ასეც მოხდება ყოველივე, — აცხადებს კრემლის საგარეო უწყების მეთაური სერგეი ლავროვი.

უფრო მეტიც, ლავროვი „აღმოსავლური პარტნიორობის“ ზოგიერთ პროექტში მოსკოვის მონაწილეობის შესაძლებლობასაც არ გამორიცხავს.

— ბელორუსიის „აღმოსავლურ პარტნიორობაში“ მონაწილეობა მოსკოვს აშფოთებს; ეს პროექტი ხომ ბრიუსელის მცდელობაა, რომ პოსტსაბჭოთა ქვეყნები თავის ორბიტაზე მიიზიდოს, გადაეჯაროს. ბელორუსს ესმის, რომ ევროპასთან დიალოგი აუცილებელია, რადგანაც მინსკს დასავლური ინვესტიციების და ტექნოლოგიების გარეშე ფონს გასვლა უბრალოდ არ შეუძლია.

მაგრამ იმისთვის, რომ მოსკოვი არ გაანაწყენოს, მინსკი აცხადებს, რომ „ძმური ინტეგრაციის“ შესახებ არ ივიწყებს, — შენიშნავს დამოუკიდებელი ბელორუსი პოლიტოლოგი ალექსანდრ კლასკოვსკი.

ექსპერტის აზრით, მას შემდეგ, რაც ბელორუსის მხრიდან აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის „აღიარების“ საკითხი უკვე წელიწადზე მეტ ხანს გაიწელა, მინსკს და მოსკოვს „ერთობლივი საგარეო პოლიტიკის წარმოების შესახებ საუბრები უკვე აღარ უწევთ“.

არ შეიძლება ხაზი არ გაესვას იმასაც, რომ ჯუჯა სახელმწიფო ნაურუს მხრიდან სეპარატისტების „აღიარებამ“ ამ პროცესში აშკარად ახალი და სახალისო შტრიხები შეიტანა. ლამის მთელი მსოფლიო დასცინის კრემლის უსინდისო ვაჭრობას საერთაშორისო ასპარეზზე სოხუმის და ცხინვალის თემატიკით. 50 მილიონი დოლარი ის თანხაა, რაც ამ „აღიარების“ სანაცვლოდ მოსკოვმა ნაურუს „საგარეო, ვაჭრობის და ფინანსთა“ მინისტრს (ეს სახელწოდებაც რა შესატყვისია ნაურუს „საგარეო სახელმწიფო პოლიტიკის!) გადაუხადა, „გადაუდებელი სოციალური საჭიროებებისთვის“.

შედეგად სოხუმის „საგარეო მინისტრ“ სერგეი შამბასი არ იყოს, „აფხაზეთი მსოფლიოს ყველაზე დიდმა (რუსეთმა) და პატარა (ნაურუმ) „აღიარეს“ და სოხუმი მათ შორის უკვე „საშუალო ზომის სახელმწიფოდ“ გრძნობს თავს. ცინიზმს საზღვარი არ აქვს, ისევე, როგორც კრემლის მხრიდან მუდმივად აპელირებას „სამართლიან და ადამიანურ პოლიტიკაზე“ „საცოდავი“ სეპარატისტების მიმართ.

შეუძლებელია ნაურუს „აღიარების“ პრეცედენტმა გავლენა არ მოეხდინა ბელორუსის დამოკიდებულებაზე ამ საკითხის მიმართ. აქ თეორი ძაფებით არის ნაკერი ყოველივე. აბსოლუტურად ცხადია, რომ მოსკოვი საერთაშორისო არენაზე ერთის მხრივ „აგვისტოს აგრესიისას ოსების გენოციდისგან დამცველის“ როლში გამოდის, ხოლო მეორეს მხრივ იმავე არენაზე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხით ღიად ვაჭრობს (თან ამას ყველაზე დავრდომილ „პარტნიორებთან“ აკეთებს).

ოფიციალური მინკისთვის კი ეს თემა ახალი ნამდვილად არ არის. ჯერ კიდევ თვეების წინ რუსეთმა ბელორუსს სეპარატისტების „აღიარების“ სანაცვლოდ ნახევარი მილიარდი დოლარის გრანტი შესთავაზა. ალექსანდრ ლუკაშენკომ ამაზე უარი განაცხადა და ხაზი გაუსვა, რომ მინსკი ამ თემით ვაჭრობას არ აპირებდა. მისივე თქმით, ბელორუსი გადაწყვეტილებას ყოველგვარი ზეწოლის მიუღებლობით, მხოლოდ საკუთარი ნებით მიიღებდა.

ამით გაღიზიანებულმა მოსკოვმა ქვეყანაში რუსული რძის და ხორცის შეტანა აკრძალა. თუმცა, პირველი პირების შეხვედრისას მხარეები მუდმივად იმეორებენ, რომ მათ შორის გადაუჭრელი პრობლემები არ არსებობს. ბოლოს ბელორუსმა გადაწყვიტა, რომ საქართველოში და მის ოკუპირებულ რეგიონებში საკუთარი დეპუტატები გამოეგზავნა და მათ არსებული რეალობა უშალოდ ადგილზე შეესწავლათ.

ბელორუსის საბოლოო გადაწყვეტილება ალბათ კიდევ კარგა ხანს დაიგვიანებს, რადგან რუსეთსა და ევროკავშირს შორის არჩევანის გაკეთება ლუკაშენკოსთვის არცთუ ადვილი აღმოჩნდა.

ამასობაში კი, ქართველი ექსპერტები ხელისუფლებას მოუწოდებენ აქტიურად იმუშაოს იმ ქვეყნებთან, რომლებიც სეპარატისტების შესაძლო „აღიარებლების“ რიცხვში მოიაზრებიან. ასეთებად ითვლებიან ის ქვეყნები, რომლებიც გაეროში ქართული მხარის მიერ ინიცირებულ რეზოლუციებს მხარს არ უჭერენ. ძირითადი აქცენტი, რაღა თქმა უნდა, აფრიკის და ლათინური ამერიკის ზოგიერთ ქვეყანაზეა, სადაც ანგიამერიკული განწყობილებებით გამოირჩევიან. ამ მიმართულებით გარკვეული მუშაობა უკვე დაწყებულია და იმედი უნდა ვიქონიოთ, შედეგებსაც გამოიღებს.

მწვანეები ნორიოში ნაგავსაყრელის მშენებლობას აპროტესტებენ

დასაწყისი მე-6 გვერდზე

— ნაგავსაყრელიდან 700-800 მეტრის დაშორებით შენდება წმინდა გიორგის სახელობის მონასტერი. ნაგავსაყრელის სავარაუდო მშენებლობის ადგილს ზემოდან გადმოჰყურებს ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი გამორჩეული ქრისტიანული ძეგლი, ღვთაების სამონასტრო კომპლექსი და ანტონ მარტყოფელის სვეტი, რომელიც მეექვსე საუკუნეში „ათცამეტთაგანმა“ ასურელმა მამამ, ანტონ მარტყოფელმა დააარსა. მისი მადლი და ძალა დღესაც ფარავს საქართველოს, — აცხადებს მწვანეთა პარტია და დაუშვებლად მიიჩნევს ნორიოში ნაგავსაყრელის აშენებას, — მონასტერშივეა დაკრძალული წმინდა მამა ანტონ მარტყოფელი. ასევე მონასტერში მოკლეს კირიონ კათალიკოსი.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, ნაგავსაყრელის სავარაუდო მშენებლობის ადგილი ქართველი მეომრების სისხლითაა გაჟღენთილი, რადგან ნორიოსა და მარტყოფის მიდამოებში გაიმართა მე-17 საუკუნეში 1625 წელს ცნობილი მარტყოფის ბრძოლა. შაჰ-აბასის მიერ საქართველოს ასოხრებლად გამოგზავნილი ყორჩიღა-ხანი ქართველმა მთავარსარდალმა გიორგი სააკაძემ სწორედ ზემოაღნიშნულ ტერიტორიაზე განგმირა და ეს ბრძოლაც ქართველთა გამარჯვებით დასრულდა.

აღნიშნულ ტერიტორიაზე მდებარეობს ძველი ნაქალაქარიც, სადაც არქეოლოგიური გათხრების შედეგად ნამოვნია მრავალი ისტორიული მნიშვნელობის უძველესი ნივთი. მიუხედავად ამისა, ეს ტერიტორია კვლავაც საჭიროებს გამოკვლევებს, რადგან არქეოლოგიური გათხრები იქ ჯერაც არ არის დასრულებული.

სოფლის მძიმე და გმირულ წარსულზე მეტყველებს ტერიტორიაზე მიმოფანტული ძველი ტოპონიმებიც: „ნაომარი სერი“, „ლეკის ტბა“, „ლეკხევი“, „ფაშატრის ხევი“, „ჭიფის წყარო“ და სხვა.

მწვანეთა პარტია აცხადებს, რომ ნორიოში ნაგავსაყრელის მშენებლობა საქართველოს კანონმდებლობასაც ეწინააღმდეგება. კერძოდ:

— ნაგავსაყრელის ნორიოში მშენებლობა ეწინააღმდეგება შემდეგ კანონებსა და კანონქვემდებარე აქტებს: 1) იმისათვის, რომ ნორიოს ტერიტორიაზე ნაგავსაყრელი შეიქმნას, აუცილებელია ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარება. საქართველოს კანონში გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ მეოთხე მუხლის „ე“ ქვეპუნქტში აღნიშნულია, რომ ეკოლოგიური ექსპერტიზისადმი დაქვემდებარებული საქმიანობებია: ე) მყარი საყოფაცხოვრები ნარჩენების გადამუშავება (მათ შორის, ნარჩენების დაწვის ქარხნების მშენებლობა) ან ნაგავსაყრელების მოწყობა; ამასთან, აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარებისას აუცილებელია სამშენებლო პროექტის საჯარო განხილვა. ყოველივე აღნიშნულია ზემოთ ხსენებული კანონის პირველი მუხლის მეორე ნაწილში და მეექვსე მუხლში.

მეექვსე მუხლით, საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია გზშ-ის ანგარიშის ნებართვის გამცემი ადმინისტრაციული ორგანოსათვის წარდგენამდე მოაწყოს მისი საჯარო განხილვა (ხოლო ამ კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია, გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვა მოაწყოს მშენებლობის ნებართვის გამცემი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით განმსაზღვრელი მშენებლობის ნებართვის გაცემის მეორე სტადიის პროცედურების დაწყებამდე).

გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვის მოწყობის მიზნით საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია გამოაქვეყნოს თავის მიერ დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაცია როგორც ცენტრალურ პერიოდულ ბეჭდვით ორგანოში, ისე იმ თვითმხილველი ერთეულის ადმინისტრაციული ტერიტორიის ფარგლებში არსებულ პერიოდულ ბეჭდვით ორგანოში (ასეთის არსებობის შემთხვევაში), სადაც დაგეგმილია საქმიანობის განხორციელება.

დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაცია უნდა შეიცავდეს დაგეგმილი საქმიანობის მიზნებს, დასახლებასა და ადგილმდებარეობას, მისაბაროს, სადაც საზოგადოების წარმომადგენლებს შეეძლებათ დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტების გაცნობა; საზოგადოების წარმომადგენელთა მოსაზრებების წარდგენის ვადას, გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვის მოწყობის დროსა და ადგილს.

მწვანეთა პარტია აღნიშნავს აგრეთვე, რომ ნორიოში ნაგავსაყრელის მშენებლობით ირღვევა ქვეყნის ძირითადი კანონიც. კერძოდ, ირღვევა კონსტიტუციის 37-ე მუხლი, რომლის თანახმადაც, ადამიანი უნდა „ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში, სარგებლობდეს ბუნებრივი და კულტურული გარემოთი“.

ასევე ირღვევა დადგენილება საქართველოს დასახლებულ პუნქტებში გამწვანების ზოლების, პარკების, ბაღებისა და სკვერების დაცვის შესახებ, სადაც აღნიშნულია, რომ სასწრაფოდ უნდა აღიკვეთოს საქართველოს დასახლებულ პუნქტებში გამწვანების ზონების (მწვანე მასივები), პარკების (მათ შორის, კულტურის ძეგლთა კატეგორია), ბაღებისა და სკვერების ხელყოფა მათი საზღვრების ფარგლებში და მიმდებარე ტერიტორიებზე. დაუყოვნებლივ უნდა შეწყდეს ყოველგვარი მშენებლობა და ლანდშაფტის იერსახის შეცვლა საქართველოს იმ პარკებში, რომლებიც კულტურის ძეგლთა კატეგორიას განეკუთვნება.

მწვანეთა პარტია მოითხოვს, მკაცრად დაისვას იმ თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობის საკითხი, რომლებმაც გასცეს ბაღ-პარკების (განსაკუთრებით კულტურის ძეგლთა კატეგორიის ტერიტორიებზე) ფარობების გამოყოფის ნებართვა მშენებლობისა და სხვა მიზნით.

— ვინაიდან „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ღვთაების მონასტრი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს წარმოადგენს, ამავე კანონით კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონა კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ობიექტების ირგვლივ ან მათი გავრცელების ან გავლენის არეალში კანონით დადგენილი წესით განსაზღვრული ტერიტორიაა, რომლის ფარგლებშიც მოქმედებს ექსპლუატაციის განსაკუთრებული რეჟიმი. განსაკუთრებული რეჟიმი კი გულისხმობს მის საზღვრებში არსებული კულტურული მემკვიდრეობის არასასურველი ზეგავლენისაგან დაცვას.

ამიტომ, კანონის მოთხოვნების შესაბამისად, მწვანეთა პარტია მოითხოვს შეწყდეს ნორიოში ნაგავსაყრელის მშენებლობა, ვინაიდან ამით საფრთხე ექმნება მოსახლეობას, ისტორიულ ძეგლებს და, რაც მთავარია, ნაგავსაყრელის მშენებლობით ფეხქვეშაა გათელილი ყველა სამართლებრივი დოკუმენტი, რომელსაც ამ შემთხვევაში წარმოადგენს „ეკოლოგიური სამართლის ცენტრი“.

„მის აფხაზეთი“ პირველად ჩატარდება

ეკა ირემაშვილი

აფხაზეთიდან დევნილი გოგონებისთვის სილამაზის კონკურსი „მის აფხაზეთი 2009“ პირველად გაიმართება, რომელშიც აფხაზეთიდან დევნილი გოგონები მიიღებენ მონაწილეობას. სილამაზის კონკურსის ორგანიზატორები სამოდელო სააგენტო „ტოპბიუთის“ დამფუძნებლები არიან. მათ წამოწყებას მხარი აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტრომაც დაუჭირა. ორგანიზატორთა გადაწყვეტილებით, კონკურსს ყოველწლიური სახე მიეცემა და მასში მონაწილეობას მხოლოდ აფხაზეთიდან დევნილი 16-დან 22 წლამდე გოგონები მიიღებენ. საგანგებო ჟიურის მიერ კასტინგის შედეგად 20 გოგონა შეირჩა, რომლებიც „მის აფხაზეთის“ ტიტულის მოსაპოვებლად იბრძოლებენ.

დასკვნით ღონისძიებამდე კი სილამაზის კონკურსისთვის შერჩეული გოგონებისთვის უკვე მოეწყო სპეციალური პროგრამა, გარდა საკონკურსო მზადებისა, ისინი შეხვდნენ სხვადასხვა ქვეყნის საელჩოების წარმომადგენლებსაც.

„მის აფხაზეთის“ დეფილე ცოცხალი ჯაზბენდის მუსიკის თანხლებით გაიმართება. ამ საღამოზე აფხაზეთის ახალგაზრდული ცენტრის „სოხუმის“ ბენდი დაუკრავს. სილამაზის კონკურსში „მის აფხაზეთის“ გამოსავლენად ოთხი ეტაპი მოეწყობა — პირველ ტურში გოგონები სპორტულ სამოსს წარადგენენ, მეორე ტურში — საცურაო კოსტიუმებით გამოვლენ, მესამე ტურში — კოქტეილის კაბებში, ხოლო დასკვნით ეტაპზე კონკურსანტი გოგონები „მარიონელას“ კაბებში გამოეწყობიან.

სილამაზის კონკურსის ორგანიზატორთა გადაწყვეტილებით, დაწესებულია ხუთი ნომინაცია — „მის აფხაზეთი“, „ვიცე-მის აფხაზეთი“, „მაყურებლის სიმპათია“, „მის მშვიდობა“, რომელიც დაწესებულია კულტურის სამინისტროს მიერ გაეროსთან შეთანხმებით და ინტერნეტგამარჯვებული გოგონა, რომელსაც ეს-ემ-ეს-ების მეშვეობით გამოავლენენ. რაც შეეხება ნომინაციას „მის მშვიდობა“ საგანგებოდ გოგონებისთვის შედგება ტესტები, რომელსაც ყველა გოგონა უპასუხებს. ტესტებში ძირითადი აქცენტი აფხაზეთზე იქნება გაკეთებული. „მის მშვიდობის“ ნომინაციაში საუკეთესოს გამოსავლენად, კაფე „დისქავერში“ სილამაზის კონკურსის მონაწილეები სხვადასხვა ქვეყნების ელჩებს შეხვდნენ. გადაწყვეტილებას დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები 21 დეკემბერს დასკვნით ღონისძიებაზე გააჟღერებენ. „მის მშვიდობა“ მთელი წლის განმავლობაში აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს სახელით მონაწილეობას მიიღებს სხვადასხვა სამშვიდობო პროქტებში. „მის აფხაზეთი“ პოპულარიზაციას გაუწევს აფხაზეთის თემატიკას, რითაც კიდევ ერთხელ მიიპყრობს საერთაშორისო, აფხაზური და ქართველი საზოგადოების ყურადღებას კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარებისთვის.

სილამაზის კონკურსი „მის აფხაზეთი 2009“ მისი ორგანიზატორების გადაწყვეტილებით საქველმოქმედო აქცია-კონკურსია, რომელიც მიზნად ისახავს აფხაზეთიდან დევნილი მოზარდი ახალგაზრდობისადმი მხარდაჭერას, მათ სულიერ და ფიზიკურ გაჯანსაღებას.

„მის აფხაზეთი 2009“ კლუბ „ტრიუმფში“ 21 დეკემბერს გაიმართება. გამარჯვებულ გოგონას თავზე ულამაზეს გვირგვინს დაადგამენ, რომელიც „ზარაფხანაში“ დამზადდა. გოგონების გარეგნობაზე კი სილამაზის ცენტრი „ნატალი“ იზრუნებს.

ფოთის თეატრი ბათუმში ჩავა

ეკა ირემაშვილი

ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში ფოთის ვალერიან გუნიას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი გასტროლებს გამართავს.ფოთის თეატრი ბათუმში ცნობილი ავსტრიელი დრამატურგის პიტერ ტურინის პიესას „ვირთხებზე ნადირობას“ წარმოადგენს.

სპექტაკლის რეჟისორი რალფ ზიბელტი (გერმანია) არის ტიუბინგემის რეგიონალური თეატრის მთავარი რეჟისორი და სამხატვრო ხელმძღვანელი, მუშაობდა ბოხუმისა და ჰამბურგის ტალია თეატრებში, ასევე ქალაქებში ალენი, ცელე. სცენოგრაფი მაქს ჯულიან ოტტო (გერმანია) კი მუშაობს მხატვრად და ილუსტრატორად საერთაშორისო კინო პროდუქციისათვის, ასევე მუშაობს ანიმაციაში. მისი ნამუშევრები გამოფენილია ბერლინის, პოზდამის და მიუნჰენის გალერეებში. 2004 წლიდან მუშაობს თეატრში. პიესის ქართული ადაპტაციის ავტორი ცნობილი თეატრმცოდნე და კულტურის ექსპერტი ლევან ხეთაგურია. სპექტაკლში ორი მსახიობი ჯანო იზორია და მარიკა ბუკია მონაწილეობს.

პროექტი გოეთეს ინსტიტუტისა და საქართველოს რეგიონული თეატრების ქსელის მხარდაჭერითა და თანამშრომლობით განხორციელდა. ფოთის თეატრის ისტორიაში ეს არის პირველი საერთაშორისო პროექტი, ხოლო ქართულ თეატრში კი თითქმის უპრეცედენტო იშვიათი ფაქტი, როცა რეგიონის თეატრში სპექტაკლს უცხოელი რეჟისორი დგამს. ტურინი ქართულად პირველად ფოთის თეატრის სცენაზე აჟღერდა და ზედმიწევნით ქართულად, თანაც ისე, რომ არ დაკარგულიყო ავტორისეული სასაუბრო სტილისტიკა და დიალოგის ტურინისეული მანერა.

მალე ამ სპექტაკლის ნახვის საშუალება თბილისელ მაყურებელსაც ექნება. მანამდე კი ბათუმში ფოთის თეატრი თავის გასტროლს 21 დეკემბერს გამართავს.

ცისანა ტატიშვილს ვარსკვლავს გაუხსნიან

ეკა ირემაშვილი

ცნობილ საოპერო მომღერალს, განუმეორებელ სოპრანოს — ცისანა ტატიშვილს ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის წინ ვარსკვლავს გაუხსნიან.

საქართველოსა და საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, სახელმწიფო კონსერვატორიის აკადემიური სიმღერის ფაკულტეტის პროფესორი, შვეიცერის მედლის მფლობელი, ჰუმანიტარული აკადემიის აკადემიკოსი, შოთა რუსთაველის და ზაქარია ფალიაშვილის პრემიების ლაურეატი, საქართველოს ღირსების ორდენოსანი ცისანა ტატიშვილი ამჟამად პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა. მისი შემოქმედებითი წარმატებები არა მარტო საქართველოში, არამედ საზღვარგარეთაც კარგად არის ცნობილი. ქართველ სოპრანოს საზღვარგარეთაც უამრავი საოპერო არია აქვს შესრულებული.

ქართველ სოპრანოს ოპერის წინ ვარსკვლავს მის 70 წლის იუბილესთან დაკავშირებით გაუხსნიან. ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში საოპერო მუსიკის კონცერტი გაიმართება, რომელშიც ცისანა ტატიშვილის აღსაზრდელები მიიღებენ მონაწილეობას, 18 იანვარს კი ოპერის თეატრის წინ პაატა ბურჭულაძისა და ნოდარ ანდღულაძის ვარსკვლავების გვერდით ცისანა ტატიშვილის ვარსკვლავიც გაბრწყინდება.

„ალუბლობას“ ახალი გამარჯვებულები ჰყავს

ეკა ირემაშვილი

ლიტერატურულ კონკურს „ალუბლობას“ ახალი გამარჯვებულები ჰყავს. ისინი პირადად განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა დააჯილდოვა.

„ალუბლობა“ ახალგაზრდული ლიტერატურული ყოველწლიური კონკურსია, რომელშიც მონაწილეობის მიღება 15-დან 22 წლამდე ახალგაზრდებს შეუძლიათ. პროექტი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაფინანსებით ხორციელდება. ეს კონკურსი არასამთავრობო ორგანიზაციამ „ახალმა ხელოვნებამ“ 2005 წელს დააარსა.

წლევანდელ კონკურსში გამარჯვებულებს ფულადი პრემიები, პერსონალური კომპიუტერები და დიპლომები გადაეცათ. საქართველოს მასშტაბით კონკურსში 700-მდე მოზარდმა მიიღო მონაწილეობა, მათ შორის იყვნენ 4 არასრულწლოვანი მსჯავრდებული და 6 უცხოეთში, კერძოდ, კანადაში, ბელგიაში, რუსეთსა და საინგილოში მცხოვრები ქართველი. უცხოეთში მცხოვრები გამარჯვებულები დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრისგანაც დაჯილდოვდნენ. გამარჯვებულმა მონაწილეებმა წამახალისებელი პრიზები სხვადასხვა გამომცემლობებისგან და წიგნის სახლებისაგანაც მიიღეს.

2009 წელს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ლიტერატურული კონკურსის ჩასატარებლად, პრიზებისათვის და ალმანახების დასაბეჭდად 29 250 ლარი გამოყო.

ფოლკლორული ანსამბლები საქველმოქმედო კონცერტს გამართავენ

ეკა ირემაშვილი

ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდმაყურებელთა თეატრში ფოლკლორული ანსამბლები საქველმოქმედო აქცია-კონცერტს გამართავენ. ღონისძიება სტუდენტური საქველმოქმედო პროექტ „ლამპრის“ ორგანიზებით ჩატარდება და მას „ჩემი კერა“ ეწოდება. ორგანიზატორთა გადაწყვეტილებით მოწვეულ სტუმრებში იქნებიან ხელისუფლების, ბიზნესისა და სხვა საზოგადოებისათვის ცნობილი პიროვნებები.

კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ ქართული ფოლკლორული ანსამბლები „ბასიანი“, „მთიები“, „დიდგორი“, „შავნაბადა“, „შემოქმედი“ და „ზეკარი“. სტუდენტური საქველმოქმედო პროექტი „ლამპარი“ უკვე ორი წელია ჩამოყალიბდა და მას შემდეგ აქტიურად ეხმარება სხვადასხვა მიუსაფარ ბავშვთა სახლის აღსაზრდელებს.

— „ჩემი კერა“ მიზნად ისახავს კოჯრის ბავშვთა სახლში მცხოვრები ოთხი დედმამიშვილის, ტატუაშვილებისათვის ბინის შეძენას. 10 წლის წინ ტატუაშვილების 6 დედმამიშვილი ოჯახმა მიატოვა და ვარკეთილში მდებარე ბავშვთა სახლს მიაბარა, სადაც 4 და-ძმა 2009 წლის 1 დეკემბრამდე იზრდებოდა, დანარჩენ ორს კი მშვილობელი ოჯახი გამოუჩნდა. უფროს ტატუაშვილს 19 წელი შეუსრულდა და საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით მას ბავშვთა სახლის დატოვება და შესაბამისად ქუჩაში ცხოვრება მოუწევს. ჩვენ გვინდა დავეხმაროთ ამ ბავშვებს, რათა მშობლებს დაუბრუნდნენ და ისევე ნორმალურად იცხოვრონ, როგორც ჩვენი საზოგადოების დანარჩენი ნაწილი ცხოვრობს, — აღნიშნავენ ღონისძიების ორგანიზატორები.

ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა თეატრში ფოლკლორული ანსამბლების საქველმოქმედო აქცია-კონცერტი 21 დეკემბერს გაიმართება.

კლასიკოს მხატვრებს ახალ გალერეაში გამოფენენ

ეკა ირემაშვილი

თბილისს კიდევ ერთი ახალი საგამოფენო სივრცე სახელწოდებით „გალა“ შეემატება, რომელიც თავის პრეზენტაციას ძველი და ახალი კლასიკოსების ნამუშევრებით გამართავს.

ექსპოზიციაზე ლადო გუდიაშვილის, დავით კაკაბაძის, ელენე ახვლედიანის, სერგო ქობულაძის, პეტრე ოცხელის, ირაკლი გამრეკელის, კირილე ზდანევიჩი და სხვა ცნობილი ქართველი მხატვრების ნამუშევრები იქნება წარმოდგენილი. ასეთი მნიშვნელობის მხატვრების გვერდით გამოიფინება თანამედროვე მხატვრების ირაკლი ფარჯიანის, ალბერტ დილბარიანის, გაიანე ხაჩატურიანის, მერაბ აბრამიშვილის, მიშა ხვიტიას, მამუკა ცეცხლაძის, ოლეგ ტიმჩენკოს, ლევან ჭოლოშვილის, ვახტანგ ბუღაძის, გია ბუღაძის, ედმუნდ კალანდაძის, გოგი ჩაგელიშვილის, ზურაბ ნიჟარაძისა და სხვა ცნობილი თანამედროვე მხატვრების ნამუშევრები.

— ეს გამოფენა გვაძლევს საშუალებას, თვალი გავადევნოთ თანამედროვე ქართული მხატვრობის განვითარებას, დაწყებული XX საუკუნის დასაწყისიდან დღემდე. გალერიის გახსნას დაესწრებიან ცნობილი ქართველი მხატვრები. გალერეა „გალა“ მომავალში მიზნად ისახავს არა მარტო აღიარებული კლასიკოსი მხატვრების რეტროსპექტიული გამოფენების მოწყობას, არამედ თანამედროვე მოქმედი მხატვრების პოპულარიზაციასაც. გალერეაში მოეწყობა როგორც პერსონალური, ასევე ჯგუფური გამოფენებიც, — განაცხადეს კულტურის სამინისტროში.

ახალი საგამოფენო სივრცე „გალა“ 21 დეკემბერს გაიხსნება.

SMS-განცხადებები – 3090

- იყიდება გადასატანი კაპიტალური ავტოფარეხი, ზომები 6X3-ზე; სიმაღლე 2,5 მ. ტელ: 893 93-25-74. გელა.
- იყიდება 600 კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთი ავჭალის მასივში, ბუნებრივი აირით, დენით, წყლით, ხეხილით. ტელ:877 90-20-40; 877 11-99-88.
- იყიდება ექოსკოპი „ალოკა სსდ-280“, ორი გადამკოდით. ტელ: 871-50-14-25.

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე 3090 მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი

განცხადებები

- ამერიკაში სტაჟირებული ფილოლოგი-დოცენტი ყველა მსურველს ასწავლის ინგლისურ ენას საფუძვლიანად (ქართულად და რუსულად). ტელ: 95-32-12.
- იყიდება 3-ოთახიანი იზოლირებული ბინა 93 კვ.მ., II სართულზე, მარჯანიშვილის მოედანზე (სუპერმარკეტ „ბი-ფე-სის“ სახლი). ბინა იყიდება სამისდღეშიო რჩენის საწყისებზე. ტელ: 95-32-12.
- გთავაზობთ ეპილაციას უმაღლესი ხარისხით. ჭარბთმიანობას აქრობს სწორად გაკეთებული ეპილაცია, რომელსაც გთავაზობთ უწვრილესი ვოლფრამის ნემსით. მისამართი: მოსკოვის პროსპექტის ბოლოში, ტელ: 70-68-73; 855-492-934 კოსმეტოლოგი მერი.
- კომპიუტერებისა და ლეპტოპების პროგრამული და ტექნიკური მხარის უზრუნველყოფა (ვინდოუსის გადაყენება, ანტივირუსის დაყენება, ვირუსებისგან გაწმენდა და ა.შ.) ხელმისაწვდომ ფასად. ტელ: 895-236-444 გიორგი.
- სილამაზის სალონ „შარმში“ უკრაინიდან ჩამოსული გოგონა, მაღალი კლასის სტილისტი, შეგასწავლით სტილისტ-ვიზაჟისტის პროფესიას, გაიცემა სერთიფიკატი, სწავლა მაღალ დონეზე. მომსახურება: თმის შეჭრა, დავარცხნა, დახვევა, საბანკეტო, საქორწილო ვარცხნილობები. მის: მ.მარჯანიშვილი, ალმაშენებლის 93. ტელ: 96-38-27; 893-39-04-87.
- შევიძენ ყველა სახის წიგნებს, გამოცემულს 1917 წლამდე, ტელ: 855 29-40-39 ლაშა.
- ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა „სერთიფიკატი“. ტელ: 96-67-03; 895-35-64-13.

X-XIII ს. ყოველადწმიდა ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი

ყოველადწმიდა ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი

მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის რესტავრაცია. შეიტანეთ თქვენი წვლილი საღვთო საქმეში.

დარეკეთ!

მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი 700 607

ახალი ქსელები 700 608

გაერთიანებული ტელეკომი 608 608

ანგარიშზე თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები



(იხ. მენიუში: სხვადასხვა – საქველმოქმედო – ხობის მონასტერი).

ერთად ვიზრუნოთ ტაძარზე.

უესლი ბრაუნი: „იმედი მაქვს, მალე მე და ჩემი ძმა ერთად ვითამაშებთ“

„ახალი თაობის“ წინა ნომერში სერ ალექს ფერგიუსონის ინტერვიუ შემოგთავაზეთ, სადაც ერთ-ერთი პასუხისას „მანჩესტერ იუნაიტედის“ მწვრთნელი ინგლისის ნაკრების თავკაც ფაბიო კაპელოს თავისი გუნდის ფეხბურთელ უესლი ბრაუნზე დაკვირვებისკენ მოუწოდებს. ბოლო პერიოდში ბრაუნი მართლაც იქცა მანჩესტერული კლუბის მთავარ ფიგურად. მართალია, ამ ფეხბურთელს გასულ სეზონში დიდი სათამაშო დრო არ ეთმობოდა, მაგრამ რიო ფერდინანდისა და ნემანია ვიდიჩის ტრავმების გამო ფერგიუსონი ი ულებული გახდა, ირითად შემადგენლობაში დაეყენებინა და დაცვის ცენტრი ჩაებარა.

ბრაუნმა უმალ მიიქცია ჟურნალისტთა ყურადღება და პრესის ფურცლებზე ხშირადაც ჩნდება. მისი ერთ-ერთი ინტერვიუ კი კლუბის ვებგვერდზე გამოქვეყნდა, სადაც ფეხბურთელი ამბობს, რომ მიცემული შანსის მაქსიმალურად გამოყენებას ცდილობს და ყველაფერს აკეთებს, რათა მწვრთნელის მიერ მიცემული დავალებები ისე შეასრულოს, როგორც სერ ალექსს სურს.

— რამდენად ბევრს ნიშნავს თქვენთვის ის ფაქტი, რომ კვლავ ჯანმრთელად ხართ და გაცილებით მეტ დროს ატარებთ მოედანზე?

— შექმნილი მდგომარეობით მართლაც რომ გახარებული ვარ. ვარჯიშებზე არ ვზარმაცობ, ნაყოფიერად ვატარებ და ვგრძნობ, რომ სათამაშოდ მზად ვარ. როდესაც ფეხბურთელს საპირისპირო გრძნობა აქვს, ის გუნდს ვერასდროს დაეხმარება. გასულ სეზონში იმედგაცრუებული დავრჩი და გარკვეული დრო დამჭირდა, რომ ყველაფერი მოწესრიგებულიყო. როდესაც ტრავმა მაწუხებდა, ყველაფერი გავაკეთე, რომ მალე გამოვჯანმრთელებულიყავი და დროულად აღმედგინა ფორმა. ამჟამად სათამაშოდ 100 პროცენტით მზად ვარ.

— მიმდინარე სეზონში ძირითადად დაცვის ცენტრში გიწევთ თამაში. ეს თქვენი საყვარელი პოზიციაა?

— ჩემთვის არანაირი მნიშვნელობა არ აქვს პოზიციას — ვითამაშებ იქ, სადაც მწვრთნელი დამავალებს. რიო ფერდინანდისა და ნემანია ვიდიჩის ტრავმებმა მე და ჯონათან ევანსს თავის გამოჩენის საშუალება მოგვცა. მიხარია, რომ ისევ მომიხდა მოედანზე გასვლა. მთელი ჩემი კარიერის მანძილზე უპირატესობას დაცვის ცენტრში თამაშს ვანიჭებდი, მაგრამ, როდესაც თამაში გინდა, პოზიციას მნიშვნელობა არ აქვს. ინგლისის ნაკრებში ძალიან ბევრჯერ მითამაშია დაცვის მარჯვენა ფლანგზეც. თამაშს იმდენად ვიყავი მოწყურებული, რომ ნებისმიერ პოზიციაზე თამაშით ბედნიერი ვარ.

— რამდენიმე მატჩია დაცვის ცენტრში თქვენი მეწყვილე ჯონათან ევანსია. მის შესახებ რას იტყვით?

— ჯონი ფანტასტიკური ფეხბურთელია. ჯერ კიდევ ძალიან ახალგაზრდაა, მაგრამ კარგად თამაშობს თავით, შესანიშნავად ფლობს ბურთს და, როდესაც მოედანზე გამოდის, ყოველთვის ერთ-ერთი გამორჩეულია. განსაკუთრებით კარგი ის არის, რომ ფერნინანდისა და ვიდიჩის არყოფნაში ჩემი და ევანსის მოედანზე გამოსვლისას გუნდის სათამაშო ხელწერა არ იცვლება. ვფიქრობ, თითოეულ ფეხბურთელს „მანჩესტერში“ თამამად შეუძლია შეცვალოს ესა თუ ის ფეხბურთელი. გუნდის ყველა წევრი დარწმუნებული ვართ, რომ მოედანზე რა შემადგენლობითაც არ უნდა გავიდეთ, კარგად თამაშსა და მატჩის მოგებას მოვახერხებთ.

— დაცვაში წელს გუნდი ისე ველარ გამოიყურება, როგორც გასულ სეზონში და უფრო ნაკლებად ატარებს გოლგაუშვებელ მატჩებს. როგორ ფიქრობთ, რისი ბრალია ეს?

— როგორც მცველი, რა თქმა უნდა, გოლების გაშვებით უკმაყოფილო ვარ, იმის მიუხედავად, მატჩს მოვიგებთ თუ არა. ასეთი მატჩების შემდეგ თავს კარგად ვერ ვგრძნობ. შესაძლოა, სასაცილოდ და სულელურად მოგეჩვენოთ, მაგრამ მატჩის შემდეგ თავში სულ ის გაშვებული ბურთები მიტრიალებს. შესაძლოა, სხვა მცველებიც ასე იყვნენ. ახლა დარწმუნებით არ შემიძლია იმის თქმა, თუ რატომ ვერ ახერხებს გუნდი მშრალი სერიის ჩვენებას. ალბათ, ამ მიმართულებით მუშაობის გაგრძელება მოგვიწევს და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მიზანს აუცილებლად მივაღწევთ.

— სეზონის ბოლომდე დიდი დროა დარჩენილი. რა მიზნებს უსახავთ საკუთარ თავს?

— პირველ რიგში, რა თქმა უნდა, ფორმის შენარჩუნებას, კარგად თამაშსა და გუნდისთვის რაც შეიძლება მეტი სარგებლობის მოტანას. როდესაც ტრავმის გამო ბევრი დრო გაქვს გაცდენილი, დაბრუნების შემდეგ მოედანზე გატარებული თითოეული წუთი დიდ სიამოვნებას განიჭებს. კარგად მაქვს გათავისებული, რომ როდესაც თამაშის შანსი მეძლევა, კარგად უნდა ვითამაშო და ეს შანსი გამოვიყენო. იმედი მაქვს, გამომივა კიდეც.

— ფეხბურთელია თქვენი უმცროსი ძმაც, რის ბრაუნი, რომელიც „მანჩესტერის“ საფეხბურთო აკადემიაში ირიცხება. რამდენად ახერხებთ მისი თამაშების თვალის დევნებას?

— რამდენადაც შესაძლებლობა მაქვს, ყოველთვის ვცდილობ, მისი თამაშები ვნახო. რამდენიმე მატჩი „მანჩესტერის“ სარეზერვო გუნდშიც ითამაშა. თამაშის სტილით ერთმანეთს ვგავართ, მაგრამ ის ჩემზე მაღალია და ფიზიკურად — უფრო ძლიერი. რისი ძალიან კარგად თამაშობს და ინგლისის 19-წლამდელთა ნაკრების წევრიც არის, სადაც სადებიუტო მატჩშივე მოახერხა გოლის გატანა. მასთან ფეხბურთთან დაკავშირებულ თემებზე ხშირად ვსაუბრობ და იმედი მაქვს, მალე ერთმანეთის მხარდამხარ მოგვიწევს თამაში.

ფედერერ-ნადალი — ბოლო ათწლეულის საუკეთესო ჯახი

შვეიცარიელი როჯერ ფედერერისა და ესპანელი რაფაელ ნადალის დაპირისპირება პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაციამ (ატპ) ბოლო ათწლეულის ყველაზე თვალსაჩინო ურთიერთდაპირისპირებად მიიჩნია.

ფედერერი, რომელიც უკვე დიდი ხანია მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელთა რეიტინგის სათავეშია, მხოლოდ ერთხელ, 2008-09 წლებში მოახერხა ნადალმა, ჩაეჩოჩებინა ერთი საფეხურით ქვემოთ.

ესპანელმა ჩოგბურთელმა თავიანთ პირველივე დაპირისპირებაში მოახერხა ფედერერის დამარცხება. ეს მოხდა 2004 წელს მაიამის ტურნირზე. სადღეისოდ ნადალ-ფედერერს ერთმანეთში 20 მატჩი აქვთ გამართული და აქედან ნადალმა თავის სასარგებლოდ 13 მატჩი დაასრულა. აღსანიშნავია, რომ ამ 20 ჯახიდან 16 მატჩი სხვადასხვა ტურნირის ფინალებში გაიმართა.

ატპ-ს გამოკითხვით მეორე ადგილზე გავიდა ამერიკელების, პიტ სამპრასისა და ანდრე აგასის ურთიერთდაპირისპირება. როგორც ასოციაციის ვებგვერდზეა აღნიშნული, ამ ჩოგბურთელების მატჩების მეტი წილი წინა ათწლეულში მოდიოდა და მხოლოდ ამის გამო დაიკავა მეორე საფეხური. მესამე ადგილზე გავიდა ნადალისა და სერბი ჩოგბურთელის, ნოვაკ ჯოკოვიჩის ურთიერთდაპირისპირება, მეოთხეზე — ფედერერისა და არგენტინელი დავით ნალბანდიანის, ხოლო მეხუთეზე — აგასისა და ავსტრალიელი პატრიკ რაფტერის ჯახი.

ატპ-მ განსაკუთრებით გამოარჩია რუსი მარატ საფინისა და ფრანგი ფაბრის სანტოროს შეხვედრებიც.

ასოციაციამ დაასახელა აგრეთვე ბოლო ათწლეულის 5 საუკეთესო ჩოგბურთელიც. პირველი ადგილი, რა თქმა უნდა, ფედერერს ერგო, შემდეგ თანმიმდევრობით მოდიან — ნადალი, ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია), აგასი და ენდი როდიკი (აშშ), საუკეთესო წყვილად კი ამერიკელები — მაიკლ და ბობი ბრაიანები მიიჩნია.

განსაკუთრებით გამოარჩიეს აგრეთვე სამპრასი, გუსტავო კუერტენი (ბრაზილია), ნალბანდიანი და ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი).

კობიაშვილი ბერლინს მიუახლოვდა

სულ უფრო და უფრო უახლოვდება ლევა კობიაშვილი „შალკეს“ დატოვებას და ბერლინის „ჰერტაში“ გადასვლას. გერმანული მედია ჩვენებურის ბერლინურ კლუბში გადასვლას უკვე გადაწყვეტილად მიიჩნევს. როგორც იქაურები წერენ, „ჰერტამ“, რომელიც ბუნდესლიგაში ბოლო ადგილზე იმყოფება, ხოლო ევროპის ლიგაზე ჯგუფური ეტაპიდან შემდეგ ეტაპზე თამაშის უფლება მოიპოვა, უკვე მოახერხა „ლევერკუზენიდან“ ბერძენი ფეხბურთელის, თეოფანის გეკასის გადაბირება, რომელიც გუნდს 3 იანვარს შეუერთდება, ხოლო კობიაშვილის საკითხთან დაკავშირებით ფორმალური მხარეა მოსაგვარებელი.

— გუნდი აშკარად საჭიროებს გაძლიერებას. უკვე მოვახერხეთ გეკასის გუნდში მიყვანა. თითქმის ანალოგიური სიტუაციაა კობიაშვილთან დაკავშირებით, მაგრამ „შალკესთან“ რამდენიმე ფორმალური საკითხი დაგვრჩა მოსაგვარებელი, — განაცხადა „ჰერტას“ მენეჯერმა მიხაელ პრეეცმა.

როგორც ირკვევა, „ჰერტას“ პრობლემები განსაკუთრებით დაცვაში აქვს და კობიაშვილი ამ ხაზის მარცხენა ფლანგის გასაძლიერებლად ესაჭიროება. მის გარდა, დაცვის ფეხზე დასაყენებლად ბერლინელებს რომან ჰუბნიკის გადაბირებაც სურთ.

ბარსა მსოფლიოს ჩემპიონია — მეექვსე ტიტული ერთ სეზონში

დასაწყისი მე-12 გვერდზე

საბელას შეგირდები მოიპოვებდნენ, ხერარდ პიკეს თავური პასის შემდეგ პედრომ ასევე თავით არგენტინელთა მეკარეს ბურთი გადაავლო და თამაში დამატებით დროში გადაიყვანა.

დამატებითმა დრომაც „ბარსელონას“ უპირატესობით ჩაიარა და, რა თქმა უნდა, არც ეს მატჩი დამთავრებულა ლეო მესის ტრიუმფის გარეშე — სწორედ მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის დარტყმამ გამოავლინა მსოფლიოს საუკეთესო გუნდი. 110-ე წუთზე სამხრეთამერიკული გუნდი სამხრეთამერიკელი ფეხბურთელების კომბინაციამ მოკლა — ბრაზილიელი დანი ალვეშის პასი მეკარის საჯარიმო მოედნიდან არგენტინელმა მესიმ მკერდით გაუტანა თანამემამულეებს.

ამ გამარჯვებით „ბარსელონამ“ პირველად მოიპოვა მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონობა, ხოლო მეექვსედ გამართულ მუნდიალზე ევროპულმა კლუბმა მესამედ იმარჯვა და სამხრეთამერიკულ კლუბებს გაუთანაბრდა.

ტურნირის ორგანიზატორებმა 2009 წლის მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატზე სიმბოლური პრიზებიც დააწესეს. მთავარი ჯილდო, ოქროს ბურთი, ლეო მესის ერგო, რომლის გოლითაც მოიპოვა „ბარსელონამ“ ჩემპიონობა. ვერცხლის ბურთი დამარცხებული გუნდის სახელოვან კაპიტანს, 34 წლის ხუან სებასტიან ვერონს ერგო, ხოლო ბრინჯაოს ბურთი — ასევე ბარსელონელ ხავი ერნანდეს.

— „ბარსელონას“ წარმატების გამეორება ნებისმიერ სხვა გუნდს ძალიან გაუჭირდება. ფინალში ძალიან გაგვიჭირდა, რადგან „ესტუდიანტესის“ ღირსებას ბევრი მაღალი კლასის ფეხბურთელი იცავს. მეტოქე ძალიან ორგანიზებული გუნდი იყო და მოედანზე უსწრაფესად მოქმედებდნენ. ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე რთული გამარჯვება ამ სეზონში, — განაცხადა ნამატჩევს საუკეთესოდ აღიარებულმა მესიმ.

გეტყვით იმასაც, რომ საკლუბო ჩემპიონატის ფინალურ მატჩს 43.000 მაყურებელი დაესწრო.

„ესტუდიანტესი“ — „ბარსელონა“

1:2 (დდ)

1:0 ბოსელი (37), 1:1 პედრო (89), 1:2 მესი (110)

„ესტუდიანტესი“: ალბელი, დესაბატო, კელაი, პერესი (ნუნიესი 79), ვერონი, დიასი, რე (როხო 90), ბოსელი, ბრანა, ბენიტესი (სანჩესი 76), როდრიგესი

„ბარსელონა“: ვალდესი, ალვეში, პიკე, პუიოლი, აბიდალი, ბუსკეტსი (ტურე 79), კეიტა (პედრო (46), მესი, იბრაჰიმოვიჩი, ანრი (ჟეფრენი 83)

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

საზამთრო ქართული ცვლილებები

საქართველოს 21-ე ჩემპიონატში ნახევარი მიილია და უკვე დაიწყო ცვლილებები გუნდებში. განსაკუთრებით საინტერესოა ჩემპიონატის ლიდერ რუსთავის „ოლიმპში“ განხორციელებული რამდენიმე ცვლილება.

საქმე ის არის, რომ ეს გუნდი თითქმის ყოველი შესვენებისას ახლიდან იქმნება, რაც გუნდის მთლად სწორად გამართულ მენეჯმენტზე არ მეტყველებს. ფეხბურთელებს ძალიან მოკლევადიანი კონტრაქტები უფორმდებათ და ამიტომაც არის, რომ ყოველთვის თავიდან არის დასაკომპლექტებელი. როგორც ამბობენ, გუნდში მოვიდნენ თემურ ღოღაძე, რომელიც ადრე ამ გუნდში თამაშობდა, შემდეგ კი კარიერა აზერბაიჯანულ „სიმურგში“ გააგრძელა, ასევე თბილისის „დინამოდან“ სერბულ „ნოვი სადში“ გადაბარგებული მიხეილ ხუციშვილი და ბელორუსულ მტზ-რიპოში მოთამაშე გივი კვარაცხელია.

სამაგიეროდ, გუნდი დატოვეს მეკარე მიხეილ ალავიძემ, მცველებმა ვალერი აბრამიძემ და დაჩი ფოფხაძემ, ნახევარმცველმა გიორგი თოდუამ და თავდამსხმელმა გიორგი ჭედიამ. ეს ორი უკანასკნელი ფეხბურთელი ზუგდიდის „ბაიას“ დაუბრუნდა, სადაც სეზონის დასაწყისში ირიცხებოდნენ, დანარჩენი წასული ფეხბურთელები, ჯერჯერობით, უკლუბოდ არიან. სავარაუდოდ, რუსთაველები კიდევ 2 აფრიკელ ფეხბურთელს დაიმატებენ, ხოლო ბრაზილიელ ანდერსონ აკინოს ზაფხულში თურქულ „ტრაბზონსპორში“ იხილავენ. ჭედიასა და თოდუას ზუგდიდურ კლუბში გადასვლა გითხარით და გეტყვით იმასაც, რომ „ბაიას“ ახალი წლიდან ბესიკ შეროზიას ნაცვლად საქართველოს ნაკრების მწვრთნელის, თემურ ქეცბაიას ასისტენტი სოსო ჭედია გაწვრთნის, თავად შეროზია კი უკვე სამუშაოდ მიიწვიეს პირველი ლიგის ერთ-ერთი ლიდერის, ფოთის „კოლხეთში“.

მთავარი მწვრთნელი შეიცვალა ბოლნისის „სიონში“. გიორგი ყიფშიძის ნაცვლად ხვიჩა ქასრაშვილი დაინიშნა, რომელიც ბოლოს „ზესტაფონის“ მეორე გუნდს წვრთნიდა. „ზესტაფონი“ დატოვა ასევე საქართველოს ჩემპიონატების ყველა დროის მთავარმეგოლე ზურაბ იონანიძემ, რომელიც, სავარაუდოდ, მშობლიურ ქუთაისს დაუბრუნდება და „ტორპედო 2008“-ის შემადგენლობაში გააგრძელებს თამაშს.

რაც შეეხება „სიონს“, გუნდმა ჯერ მხოლოდ 7 ფეხბურთელი შეინარჩუნა და დანარჩენების დასაკომპლექტებლად ზამთრის პაუზას გამოიყენებს.

შედეგები

ფეხბურთი

მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი

ფინალი

ბარსელონა-ესტუდიანტესი	2:1(დდ)

მე-3 ადგილისთვის

ატლანტე-პოჰანი	1:1(3:4პ)

ინგლისი. პრემიერლიგა

პორტსმუთი-ლივერპული	2:0
ასტონ ვილა-სტოკი	1:0
ბლექბერნი-ტოტენჰემი	0:2
სიტი-სანდერლენდი	4:3
ფულემი-მანჩესტერი	3:0
არსენალი-ჰალი	3:0

იტალია. სერია ა

ფიორენტინა-მილანი გადაიდო

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

ბილბაო-ოსასუნა	2:0
სევილია-ხეტაფე	1:2
რეალი-სარაგოსა	6:0

გერმანია. ბუნდესლიგა

აინტრახტი-ვოლფსბურგი	2:2
ბაიერნი-ჰერტა	5:2
ლევერკუზენი-გლადბახი	3:2
დორტმუნდი-ფრაიბურგი	1:0
ჰანოვერი-ბოხუმი	2:3
შტუტგარტი-ჰოფენჰაიმი	3:1

საფრანგეთი. I ლიგა

ბორდო-ლორიენი	4:1
ბულონი-სოშო	გადაიდო
ვალანსიენი-ლანსი	0:0
გრენობლი-ნიცა	1:1
მონპელიე-ნანსი	0:2
რენი-პსჟ	1:0
სენტ ეტიენი-მარსელი	0:0

პორტუგალია. I ლიგა

გიმარაეში-რიუ ავე	1:0
ნავალი-სპორტინგი	0:1

ჰოლანდია. ეკრედივიზიონი

ალკმაარი-დენ ჰააგი	3:0
ფეიენოორდი-ტილბურგი	1:0
ვალვაიკი-სპარტა	4:1

ბელგია. პროლიგა

გენკი-ვარეგემი	2:2
კორტრაიკი-ვესტელრო	1:1
ლოკერენი-გენტი	0:1
რუზელარე-სტ.ტრუიდენი	1:2

შოტლანდია. პრემიერლიგა

აბერდინი-ჰიბერნიანი	0:2
ჰამილტონი-დანდი იუნ.	გადაიდო
რეინჯერსი-მოზერველი	6:1
კილმარნოკი-ფალკირკი	1:2
სტ.ჯონსონი-სტ.მირენი	1:0

საბერძნეთი. სუპერლიგა

ლევადიაკოსი-ლარისა	3:0
ერგოტელისი-პაოკ	0:2
პანათინაიკოსი-იანინა	4:0

თურქეთი. სუპერლიგა

გაზიანთეპი-დენიზლი	2:1
ქაშიმფაშა-მანისა	3:1
ქაისერი-ანთალია	1:2
ერჩიესი-დიარბაქირი	0:0
ანკარაგიუჯიუ-სივასი	2:3
გალათასარაი-გენჩლერი	1:0

კალათბურთი

ნბა. რეგულარული ჩემპიონატი

ორლანდო-პორტლენდი	92:83
შარლოტი-იუტა	102:110
ფილადელფია-კლიპერსი	107:112(ოტ)
ნიუ ჯერსი-ლეიკერსი	84:103
ჩიკაგო-ატლანტა	101:98(ოტ)

ზაზა ფაჩულია: 4 ქულა, 1 მოხსნა, 3 ჩაჭრა

მილუოკი-საკრამენტო	95:96
სან ანტონიო-ინდიანა	100:99
ჰიუსტონი-ოკლაჰომა	95:90
ფინიქსი-ვაშინგტონი	121:95

ხელბურთი

მსოფლიოს ჩემპიონატი

ქალები

ნორვეგია-ესპანეთი	31:26

ჩოგბურთი

ატპ. ჰარდი

საჩვენებელი მატჩები

ნალბანდიანი-მოია	6:2;6:4
გონსალესი ფ.-ბაგდატისი	2:6;2:6

ჰოკეი

ნჰლ. რეგულარული ჩემპიონატი

ფილადელფია-რეინჯერსი	1:2
დალასი-დეტროიტი	4:3
ანაჰაიმი-ფინიქსი	4:2
კალგარი-ნეშვილი	3:5
აილენდერსი-მონრეალი	0:3
ატლანტა-ნიუ ჯერსი	4;5
ბუფალო-პიტსბურგი	1:190:1ბ)
კაროლინა-ფლორიდა	3:2
ოტავა-მინესოტა	4:1
ტორონტო-ბოსტონი	2:0
კოლორადო-კოლამბუსი	5:2
ედმონტონი-ვაშინგტონი	2:4

დღის კალენდარი

21 დეკემბრისთვის

წლის 355-ე დღე,
ახალ წლამდე დარჩა 10 დღე.

საეკლესიო კალენდარი

სულთმოფენობიდან 29-ე შვიდეული. ორშაბათი.

ხსენება ღირსი მამის პათაპისა; 70-თაგან უფლის წმინდა მოციქულების: სოსთენისა, აპოლოსისა, კეფასი, ტვიქიკოსი, ეპაფროდიტესი, კესარიოსისა და ონოსიფორესი; 62 მოწამე მღვდელმსახურისა და 300 ერისაგანისა, აფრიკაში არიანელ მწვალებელთაგან ვნებულთა; წმიდა მოწამის ანთუსა რომაელისა.

ღირსი მამა პათაპი დაიბადა ფიბაში, ღვთისმოშიშ ქრისტიანთა ოჯახში. სრულწლოვანებას მიღწეული პათაპი, რომელიც კურნების მადლით იყო აღჭურვილი უფლის მიერ, მასთან სარწმუნოებით მისულ ყველა მთხოვნელს შეეწეოდა.

70-თაგან წმინდა მოციქულები: სოსთენი, აპოლოსი, კეფა, ტვიქიკო, ეპაფროდიტე, კესარიოსი და ონოსიფორე თვით უფალმა იესო ქრისტემ გამოარჩია და დაგზავნა სოფლებსა და ქალაქებში ღვთის სიტყვის საქადაგებლად. ყველა ეს წმინდა მოციქული უფლისა მშვიდობით ჩაბარდა უფალს I საუკუნეში.

62 მოწამე მღვდელმსახური და 300 ერისაგანნი, არიანელ მწვალებელთაგან ევნენ აფრიკაში. იმპერატორ ზენონის დროს ჩრდილოეთ აფრიკის ვანდალთა სამთავროს განმგებელმა ჰუნერიხმა მართლმადიდებელ ქრისტიანთა სასტიკი დევნა დაიწყო. ერთხელ, როცა მორწმუნენი ერთ-ერთ ტაძარში საღმრთო ლიტურგიას ასრულებდნენ, ბარბაროსი მხედრები მოულოდნელად დაესხნენ თავს. ნაწილმა მლოცველთაგან გაქცევით უშველა თავს, სამასი კი მათგან, რომელნიც ყველაზე მტკიცენი იყვნენ ჭეშმარიტ რწმენაში, საკუთარი ნებით ჩაბარდნენ მტარვალებს და მათ ყველას, ტანჯვა-წამების შემდეგ თავები მოჰკვეთეს.

წმიდა მოწამე ანთუსა წარჩინებული რომაელი მოხელის მეუღლე იყო და წმიდა მღვდელმთავარ ამბროსი მედიოლანელისაგან ჰქონდა მიღებული ქრისტეს ნათელი. მან უარჰყო არიანული ნათლობის მიღება, რისთვისაც მოწამე ანთუსა მწვალებლებმა ცოცხლად დაწვეს კოცონზე.

დაიბადნენ:

1639 — ჟან-ბაპტისტ რასინი, ფრანგი დრამატურგი, პოეტი, კლასიციზმის წარმომადგენელი. გარდაიცვალა 1699 წელს.

1879 — იოსებ სტალინი (ჯუღაშვილი), საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი. გარდაიცვალა 1953 წელს.

1888 — ნინო ციციშვილი, ქართველი ქიმიკოსი. გარდაიცვალა 1970 წელს.

1890 — ჰერმან ჯოზეფ მალერი, ამერიკელი გენეტიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი. გარდაიცვალა 1967 წელს.

1891 — მარო თარხნიშვილი, ქართველი მომღერალი. გარდაიცვალა 1969 წელს.

1917 — ჰენრიხ ბელი, გერმანელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი. გარდაიცვალა 1985 წელს.

1918 — კურტ ვალდჰაიმი, ავსტრიელი დიპლომატი, გაეროს გენერალური მდივანი 1971-1981 წლებში.

1939 — ლეო ბოკერია, კარდიოქირურგი, რუსეთის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

1947 — მირონ შველიძე, მხატვარი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი.

გარდაიცვალნენ:

1375 — ჯოვანი ბოკაჩო, იტალიელი მწერალი.

1549 — მარგარიტა ნავარელი, ფრანგი მწერალი.

1824 — ჯეიმს პარკინსონი, ბრიტანელი ნევროლოგი.

1827 — ანტონ II (თეიმურაზ ბაგრატიონი), აღმოსავლეთ საქართველოს კათალიკოსი, ერეკლე II-ის ძე.

1893 — ივანე კერესელიძე, ქართველი პუბლიცისტი, მწერალი, საზოგადო მოღვაწე.

1940 — ფრენსის სკოტ ფიცჯერალდი, ამერიკელი მწერალი.

1942 — ფრანც ბოასი, ამერიკელი ეთნოგრაფი, ენათმეცნიერი და ანთროპოლოგი.

1958 — ლიონ ფოიხტვანგერი, გერმანელი მწერალი.

1988 — კურტ პოლ რიხტერი, ამერიკელი ბიოლოგი.

1988 — ნიკოლას ტინბერგენი, ჰოლანდიელი ზოოლოგი, თანამედროვე ეტიოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი, ნობელის პრემიის ლაურეატი.

მოვლენები:

1620 — პირველი პილიგრიმები — ბრიტანელი პურიტანები, ხომალდ „მეიფლაუერით“ გადასხდნენ ამერიკის ტერიტორიაზე და დასახლდნენ შემდგომ პლიმუტის რაიონად წოდებულ ტერიტორიაზე.

1898 — პიერ და მარი კურიემ აღმოაჩინეს რადიუმი.

1958 — საფრანგეთის ნაციონალურმა კრებამ შარლ დე გოლი ქვეყნის პრეზიდენტად აირჩია.

1965 — გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო დეკლარაცია ქვეყნების შინაურ საქმეებში ჩაურევლობის, დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის ხელშეუხებლობის შესახებ.

1968 — კოსმოსში გაუშვეს კოსმოსური ხომალდი „აპოლონ—8“, რომელმაც 10-ჯერ შემოუფრინა მთვარეს და წარმატებით დაბრუნდა დედამიწაზე.

1987 — კოსმონავტებმა ვლადიმირ ტიტოვმა და მუსა მანაროვმა განახორციელეს ყველაზე ხანგრძლივი კოსმოსური გაფრენა. მათ კოსმოსში 365 დღე დაჰყვეს.

მედიანიუსი

მიშელ პფაიფერი დღესაც მიყვარს, ჰარისონ ფორდზე კი გათხოვებას ვაპირებდი

ფილმში „მის ადგილას“ სამი ქალის როლს ვარსკვლავური ტრიო, კამერონ დიასი, ტონი კოლეტი და შირლი მაკლეინი ასრულებენ. კამერონ დიასს უმცროსი დის როლი ხვდა წილად, რომელსაც ტონი კოლეტის უფროს დასთან საერთო ალბათ მხოლოდ ფეხსაცმლის ერთი ზომა აქვთ.

— თქვენი უფროსი და, 35 წლისა, ახლახან გათხოვდა. ოდესმე მის მეგობარ ვაჟზე თუ დაგიდგამთ თვალი?

— არა, ასეთი რამ არასდროს მომხდარა, ამით ბრიტანელები გამოირჩევიან, ინცესტისაკენ აქვთ მიდრეკილება და პარტნიორებს ერთმანეთს პოპკორნივით უცვლიან.

— საიდან იცით?

— ასე ათი წუთი ვუყურებდი ფილმს „რეალური სიყვარული“ და ვფიქრობდი, „ღმერთო ჩემო, ის თავისი მეგობრის ცოლზეა შეყვარებული“. გარდა ამისა, ერთი ინგლისელი მეგობარი მყავს, ყოველ შეხვედრაზე ახალ ქალთან ერთად არის, რომელიც მანამდე მისი რომელიმე მეგობრის გოგო იყო. ეს არ მესმის.

— ის თუ გესმით, რომ მეგობარი დაზე ახლობელი შეიძლება იყოს.

— რა თქმა უნდა, მე და ჩემი და ისევე განსხვავებულები ვართ, როგორც ფილმის „მის ადგილზე“ გმირები. ჩვენ ფეხსაცმლის ზომაც კი განსხვავებული გვაქვს.

— ამჟამად თქვენი და თქვენი პირადი ასისტენტია. როგორი იყო თქვენი ურთიერთობა ბავშვობაში?

— ჩემი და ყოველთვის კარგი გოგო იყო, მე კი — ცუდი. ის ჩემზე უფროსი იყო და ჩემი შეცდომების გამოსწორება უხდებოდა. ხშირად სხვადასხვა ხათაბალაში ვებმებოდი და პირველი და მსჯიდა ხოლმე. მაგრამ დებს ჩვეულებრივ მეტად ძლიერი კავშირი აქვთ ერთმანეთთან და დების ურთიერთობის დინამიკა ახლა უკვე კარგად მესმის. უმცროს დას უფროსთან ურთიერთობა სიცოცხლის პირველი დღიდანვე აქვს, დებმა შეიძლება იჩხუბონ კიდეც, ერთმანეთს უყვირონ, მაგრამ მას შემდეგ, რაც უმცროსი მშობლიურ ბუდეს ტოვებს, იცის, რომ უფროსი ყოველთვის გაუგებს.

— მამათქვენი კუბური წარმოშობის ამერიკელია, მეორე თაობის წარმომადგენელი. კუბური კულტურისათვის ძლიერი ოჯახური კავშირებია დამახასიათებელი. თქვენი ოჯახი თუ არის მეგობრული?

— ძალიან მეგობრულია. შობას და სხვა დღესასწაულებს ერთად ვხვდებით. თუ რამე ისე არ არის, საკმარისია მამამ ერთი გადმომხედოს, რომ უკვე ვხვდები, რას ფიქრობს ჩემზე. სიტყვის თქმა არ სჭირდება.

— მშობლებისაგან რა ისწავლეთ ყველაზე მთავარი?

— ჩემი მშობლები ძალიან მეგობრული გუნდია. ჩემზე ზეწოლა არასდროს მოუხდენიათ, ამიტომ ბავშვობიდან თავისთავადი ვიყავი. ისინი დარწმუნებული იყვნენ, რომ მე ნორმალური ბავშვი ვიყავი და რომ ყველაფერს კარგად ვაკეთებდი. ბავშვობიდან ვიცოდი, რომ თუკი მინდოდა, რომ ადამიანებს ვყვარებოდი, ჯერ მე უნდა მყვარებოდა ისინი. ადამიანებთან ურთიერთობის ამ პრინციპით აგება მშობლებმა მასწავლეს და ეს მე მართლაც დამეხმარება.

— ესპანური იცით?

— მამას არ უსწავლებია. ახლა ნანობს, მაშინ კი ეშინოდა, რომ მის მშობლიურ ენას ჩემთვის ინგლისურის სწავლაში არ შეეშალა ხელი. ახლა ინგლისურადაც ძლივს ვლაპარაკობ და არც ესპანური ვიცი.

— ხელოვნების, მათ შორის კინოხელოვნებისადმი ინტერესი საიდან გაგიჩნდათ?

— ვფიქრობ, მშობლების დამსახურებაა. ისინი ძალიან შემოქმედებითი ბუნების ადამიანები არიან. დედაჩემი მუდმივად დასცინის იმას, რაც ცხოვრებაში ხდება. იგი ჩემი პირველი მაყურებელი იყო და დღესაც კი, უპირველეს ყოვლისა, ჩემი მშობლებისთვის ვთამაშობ.

— როგორ მოხდა, რომ სამოდელო კარიერა ესოდენ ადრეულ ასაკში დაიწყეთ?

— ბავშვობიდან დიდი ენთუზიასტი ვიყავი, მოზარდობაშივე ბევრი რამ გამოვცადე. მამაჩემი მეუბნებოდა, მართვის უფლებას რომ აიღებ, მთვრალი საჭესთან არ დაჯდე, პასუხის გება მოგიწევს“. უზარმაზარ, სულელურ ავტობუსს ვატარებდი, ფოლკსვაგენს, მასში ჩემი ათი მეგობარი ეტეოდა და მათი დასაფლავება სულაც არ მინდოდა. მოკლედ, ალკოჰოლთან ძალიან ფრთხილად ვიყავი, მაგრამ ვგრძნობდი, რომ ჩემი ენერგია რაიმე მიმართულებით უნდა მიმემართა. ამ მხრივ, სამოდელო ბიზნესი შესაფერისი გამოდგა.

— მშობლებმა ოჯახური ბუდიდან თექვსმეტი წლის ასაკში გამოგიშვეს?

— მეგობარი მყავდა, რომელმაც თხუთმეტი წლისამ იაპონიაში მოდელების ჩვენებაზე რამდენჯერმე წასვლა მოასწრო. ის იყო ჩემი მხლებელი. მშობლებმა დაიჯერეს, რომ იცოდა, რასაც აკეთებდა და მასთან ერთად იაპონიაში გამიშვეს. თუმცა, კარგად გესმით, რომ თექვსმეტი წლის ასაკში სხვა ქვეყანაში მოხვედრილმა მრავალი სისულელე შეიძლება ჩაიდინოთ.

— თქვენ ბევრი სისულელე ჩაიდინეთ?

— არასდროს მქონდა სურვილი ღამის კლუბების მუდმივი სტუმრები ჩემს მეგობრებად მექცია.

— სამოდელო ბიზნესმა მსახიობობას ხელი თუ შეუწყო?

— მოდელად მუშაობა თქვენს გარეგნობასთან არის დაკავშირებული. პირველი წლის განმავლობაში, სრულ პროსტრაციაში ვიყავი იმის გამო, რომ კარგად მესმოდა, მსოფლიოში ყველაზე ლამაზი გოგო არ ვიყავი. ქასთინგების

გაგრძელება მე-11 გვერდზე

საზოგადოება ახალი საპროტესტო ტალღის დაწყების აუცილებლობაში უნდა დავაჯეროთ

სამოქალაქო მოძრაობა „დაიცავი საქართველოს“ წარმომადგენლის ლევან გაჩეჩილაძის განცხადებით, „ახლა მთავარია, საზოგადოება ახალი საპროტესტო ტალღის დაწყების აუცილებლობაში დავაჯეროთ“.

ეს განცხადება გაჩეჩილაძემ არასაპარლამენტო ოპოზიციისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების შეხვედრის დასრულების შემდეგ გააკეთა.

— ახლა მთავარია საზოგადოება დავაჯეროთ ახალი საპროტესტო ტალღის შესახებ, რომელიც თავის თავში ყველაფერს გულისხმობს, რაც კი ამ ტალღას სჭირდება, — განაცხადა გაჩეჩილაძემ.

რაც შეეხება თბილისის მერობის ერთიანი ოპოზიციური კანდიდატის გამოვლენას და იმას, იქნება თუ არა ეს კანდიდატი გაჩეჩილაძე, როგორც თავად განმარტავს, ყველაფერს თავისი დრო აქვს და საზოგადოება ამის შესახებ თავის დროზე შეიტყობს.

პირველი

კროსვორდი



1. ხანა, ეპოქა; 2. ვივიენ...; 3. რძის ნაწარმი; 4. მუზეუმი მადრიდში; 5. ბალახით დაფარული ვრცელი ვაკე აფრიკასა და სამხრეთ ამერიკაში; 6. დაბალი დიპლომატიური რანგი; 7. მესამე ნოტი; 8. მალის დედაქალაქი; 9. კათოლიკეთა ღვთისმშობელი; 10. მდინარე იტალიაში; 11. დგამი; 12. საბერძნეთი; 13. სოფელი გორის რაიონში; 14. ბავშვის მოსანათლავი ჭურჭელი; 15. ... ჩახავა; 16. თხრობითი კილო (გრამატ.); 17. ... კლინტონი; 18. სიგრძის ძველფრანგული ერთეული; 19. ცდა; 20. სოფელი ლეჩხუმში; 21. დიდი ქვა; 22. მდინარე სამხრეთ ამერიკაში; 23. ქალაქი საფრანგეთში; 24. სააღდგომო ნამცხვარი; 25. პაექრობა; 26. ნაკურთხი წყალი; 27. თითის გასრიალება კლავიატურაზე; 28. ეკვადორის ფულის ერთეული; 29. პატარა ლირიკული არია.

შეადგინა ოლივერ კოხიამ

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ჰუმუსი; 2. კივი; 3. არბიტრაჟი; 4. ანეტო; 5. ლიფსიტა; 8. თუთუნი; 9. კოკოშკოვი; 12. ფესახი; 14. თაბახი; 16. იმაგო.

თარაზულად: 1. ჰეინიკენი; 6. კრიჟანგი; 7. მზითევი; 9. კადიმა; 10. ხოტი; 11. ტუგრიკი; 13. თეთრა; 15. თეზისი; 17. ჭიდაობა; 18. კაპელა; 19. ბრეხტი; 20. მოციონი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. პატენტი; 2. ბროლი; 3. მოტოროლა; 4. ბულბული; 5. კორნიშონი; 9. პითონი; 12. გალუაზი; 14. ნუნცია; 15. გომი; 17. ფშანი; 18. ალტი.

თარაზულად: 6. ქაშერი; 7. კონსუელო; 8. ვექილი; 10. ზუთხი; 11. ციცინათელა; 13. ანტიგონე; 16. ტარაფი; 19. ლოკატორი; 20. მაგელანი.

21 — 2§ დეკემბერი — ამინდის პროგნოზი

სოხუმი
21.12 წვიმა, დღისით — 15-16, ღამით — 8-9
22.12 წვიმა, დღისით — 10-11, ღამით — 4-5
23.12 მზე, ღრუბელი, დღისით — 14-15, ღამით — 7-8
24.12 მზე, დღისით — 16-17, ღამით — 7-8
25.12 მზე, დღისით — 15-16, ღამით — 7-8
26.12 მზე, ღრუბელიდღისით — 15-16, ღამით — 8-9
27.12 მზე, ღრუბელი, დღისით — 15-16, ღამით — 8-9

ზუგდიდი
21.12 ღრუბელი, დღისით — 17-18, ღამით — 10-11
22.12 წვიმა, დღისით — 10-11, ღამით — 6-7
23.12 მზე, ღრუბელი, დღისით — 15-16, ღამით — 10-11
24.12 მზე, დღისით — 16-17, ღამით — 8-9
25.12 მზე, დღისით — 16-17, ღამით — 8-9
26.12 მზე, დღისით — 16-17, ღამით — 9-10
27.12 მზე, ღრუბელი, დღისით — 16-17, ღამით — 9-10

ბათუმი
21.12 ღრუბელი, დღისით — 20-21, ღამით — 11-12
22.12 წვიმა, დღისით — 11-12, ღამით — 8-9
23.12 მზე, ღრუბელი, დღისით — 17-18, ღამით — 10-11
24.12 მზე, დღისით — 18-19, ღამით — 10-11
25.12 მზე, დღისით — 18-19, ღამით — 10-11
26.12 მზე, ღრუბელი, დღისით — 18-19, ღამით — 11-12
27.12 ღრუბელი, დღისით — 17-18, ღამით — 11-12

ქუთაისი
21.12 ღრუბელი, დღისით — 17-18, ღამით — 10-11
22.12 წვიმა, დღისით — 11-12, ღამით — 6-7
23.12 ღრუბელი, დღისით — 15-16, ღამით — 8-9
24.12 მზე, დღისით — 16-17, ღამით — 8-9
25.12 მზე, დღისით — 16-17, ღამით — 8-9
26.12 მზე, დღისით — 16-17, ღამით — 8-9
27.12 მზე, ღრუბელი, დღისით — 16-17, ღამით — 8-9

გორი
21.12 მზე, ღრუბელი, დღისით — 13-14, ღამით — 6-7
22.12 ღრუბელი, დღისით — 9-10, ღამით — 2-3
23.12 მზე, ღრუბელი, დღისით — 9-10, ღამით — 1-2
24.12 მზე, დღისით — 10-11, ღამით — 1-2
25.12 მზე, დღისით — 11-12, ღამით — 2-3
26.12 მზე, დღისით — 12-13, ღამით — 3-4
27.12 მზე, ღრუბელი, დღისით — 12-13, ღამით — 3-4

თბილისი
21.12 ღრუბელი, დღისით — 11-12, ღამით — 6-7
22.12 მზე, დღისით — 10-11, ღამით — 1-2
23.12 მზე, დღისით — 12-13, ღამით — 0-1
24.12 მზე, დღისით — 13-14, ღამით — 0-1
25.12 ღრუბელი, დღისით — 9-10, ღამით — 4-5
26.12 ღრუბელი, დღისით — 11-12, ღამით — 4-5
27.12 მზე, ღრუბელი, დღისით — 12-13, ღამით — 3-4

გურჯაანი
21.12 მზე, ღრუბელი, დღისით — 11-12, ღამით — 4-5
22.12 მზე, ღრუბელი, დღისით — 11-12, ღამით — 1-2
23.12 მზე, ღრუბელი, დღისით — 7-8, ღამით — 0-1
24.12 მზე, ღრუბელი, დღისით — 8-9, ღამით — 0-1
25.12 მზე, დღისით — 9-10, ღამით — 1-2
26.12 მზე, დღისით — 11-12, ღამით — 1-2
27.12 მზე, ღრუბელი, დღისით — 10-11, ღამით — 1-2

მანგლისი
21.12 ღრუბელი, დღისით — 9-10, ღამით — 3-4
22.12 წვიმა, დღისით — 9-10, ღამით — 1-2
23.12 მზე, ღრუბელი, დღისით — 3-4, ღამით — 0-1
24.12 მზე, ღრუბელი, დღისით — 9-10, ღამით — 5-6
25.12 მზე, დღისით — 12-13, ღამით — 3-4
26.12 მზე, დღისით — 9-10, ღამით — 2-3
27.12 მზე, ღრუბელი, დღისით — 7-8, ღამით — 2-3

დმანისი
21.12 ღრუბელი, დღისით — 1-2, ღამით — -7 -6
22.12 თოვლი, დღისით — -2 -1, ღამით — -12 -11
23.12 ღრუბელი, დღისით — 0-1, ღამით — -12 -11
24.12 ღრუბელი, დღისით — 0-1, ღამით — -13 -12
25.12 ღრუბელი, დღისით — 0-1, ღამით — -13 -12
26.12 ღრუბელი, დღისით — 1-2, ღამით — -12 -11
27.12 მზე, ღრუბელი, დღისით — 1-2, ღამით — -11 -10

სამგლოვიარო განცხადებები

ნანა ჭუმბურიძე ოჯახთან ერთად იუწყება
დემნო (მიტო) პაპაშვილის
გარდაცვალებას და თანაუგრძნობს ოჯახს.

შვილები მზია, იუზა, ზაირა, თამაზ ცარციძეები, სიძეები შუქრი ენუქიძე, ვალერიან აფციაური, რძალი ეთერ ყაველაშვილი, შვილიშვილები ანა, ნიკოლოზ, ირაკლი ცარციძეები, მარინა, ნანა, თეიმურაზ, შალვა ენუქიძეები, თამარ, ბესიკ აფციაურები ოჯახებით, შვილთაშვილები, ძმისშვილები, დისშვილები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
ნონა ბესარიონის ასული ნადირაძე
პანაშვიდი: 20, 21 დეკემბერს, 17 საათზე;
დაკრძალვა: 22 დეკემბერს, 14 საათზე;
მისამართი: რჩეულიშვილის ქ. მე-5 კორპ. III სართ. ბინა 9.

მეუღლე თინა თავბერიძე, შვილი ხათუნა პაპაშვილი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
დემნო (მიტო) პაპაშვილი
პანაშვიდი: 20-21 დეკემბერს;
დაკრძალვა: 22 დეკემბერს, 14 საათზე;
მის: ვაჟა-ფშაველას პრ. IV კვ. VIII კორპ. I სად.

როლანდ, ლუიზა, საშა და ირინა კიზირიები იუწყებიან
დემნო (მიტო) პაპაშვილის
გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ ოჯახს.

რამაზ, დარეჯან, დავით და მაიკო ხოშტარიები იუწყებიან
დემნო (მიტო) პაპაშვილის
გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ ოჯახს.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

მიშელ პფაიფერი დღესაც მიყვარს, ჰარისონ ფორდზე კი გათხოვებას ვაპირებდი

დასაწყისი მე-10 გვერდზე

წინ არავინ მეუბნებოდა, „დამშვიდდი, ქასთინგები კიდევ გექნება და ერთ-ერთზე ბედი გაგიღიმებს“. მოდელებმა ხშირად არ იციან, თუ ვინ არიან ისინი სინამდვილეში, ამიტომ უბრალოდ ცდილობენ, სხვებს მოაწონონ თავი. ვფიქრობ, რომ მთავარი, რაც სამოდელო ბიზნესში ვისწავლე, სხვა ადამიანებთან ურთიერთობის აგებაა.

— ძნელი თუ იყო თქვენთვის ადგილის დამკვიდრება ჰოლივუდში, სადაც მამაკაცები დომინირებენ?

— იცით, ფემინისტი არ ვარ. დარწმუნებული ვიყავი, რომ პატივისცემით მომეკიდებოდნენ და მთლიანობაში დიდი პრობლემები არ მქონია. მომწონდა ქალად ყოფნა, მომწონდა ის ძალაუფლება, რაც ქალს აქვს. გარდა ამისა, მამაკაცების ძალაუფლებასაც პატივისცემით ვეკიდები.

— რას აფასებთ მამაკაცში ისეთს, რაც ქალს არ აქვს?

— ეს ერთ-ერთი იმ საკითხთაგანია, რომელიც რაიმე მაგალითით ძნელად შეიძლება აიხსნას. უბრალოდ მომწონს ის ფაქტი, რომ მამაკაცს აქვს რაღაც ისეთი, რაც ქალს არ აქვს და ამიტომ ქალი ვერასდროს მიხვდება იმას, თუ რას გრძნობს მამაკაცი. ქალს კი აქვს რაღაც ისეთი, რაც მამაკაცს არ აქვს, ამიტომ არც მას შეუძლია მიხვდეს, თუ რას გრძნობს ქალი. მაგალითად, მენსტრუაციის დროს ეუბნებით თქვენს მეგობარ ვაჟს, რომ იგი ვერასოდეს ვერ მიხვდება იმას, თუ რას გრძნობთ თქვენ.

— ქასთინგის დირექტორებთან ურთიერთობაში უხერხულ მდგომარეობაში ხომ არ მოხვედრილხართ?

— არა, დირექტორების უმეტესობა, ვისაც შევხვედრივარ, ქალები იყვნენ. კოლეგებისგან მსმენია, რომ ძალაუფლების მქონე ზოგიერთი მამაკაცი ეუბნებოდა მათ, რომ თუკი დაუკავშირდებოდნენ, სამუშაოს მიიღებდნენ და „ნამდვილ“ ადამიანებს შევხვდებოდით. ერთხელ შევხვდი პროდიუსერს, რომელმაც მითხრა, „შენთან მარტო ოთახში არასდროს არ დავრჩებიო“.

— როდის მიხვდით, რომ მსახიობობა თქვენი მოწოდება იყო?

— „ნიღაბში“ პირველმა გადაღებებმა დიდი სიამოვნება მომანიჭა, მთავარია, მივხვდი, რომ სწორედ ასე მინდოდა ცხოვრება და მუშაობა. მომწონდა ფილმებში მონაწილეობა, მომწონდა ამხანაგური სულისკვეთება, რომელიც გადასაღებ მოედანზე იქმნება, მომწონს თანამშრომლობა ადამიანებთან, რომლებიც ერთ პროექტზე მუშაობენ და საქმის რაც შეიძლება კარგად გაკეთებას ცდილობენ. ჩაკ რასელი ჩემი პირველი, შესანიშნავი რეჟისორი იყო.

— როგორი ურთიერთობა გქონდათ რეჟისორებთან შემდგომში?

— სპაიკ ჯონსსა და მარტინ სკორსეზეს, ფილმებზე „იყავი ჯონ მალკოვიჩი“ და „ნიუ იორკის ბანდებში“ ჩემს აყვანას ვთხოვდი. რეჟისორმა კერტის ჰენსონმა კი ერთხელ მითხრა, „კემერონ, შენზე კარგად ვინ იცის, თუ რას ნიშნავს ქალისათვის იყო ლამაზი და ეს, თუკი მეტი არაფერი გაბადია, ძალიან ცოტაა“.

— ფილმის დასაწყისში თქვენი კინოგმირი მეგი მთვრალია და ყოფილ თანაკლასელთან ტუალეტში აქვს სქესობრივი კავშირი, ვისაც სკოლის დამთავრების 10 წლისთავთან დაკავშირებულ წვეულებაზე შეხვდა. თქვენ თუ მოხვედრილხართ მსგავს სიტუაციაში?

— არა, მე და ჩემს პერსონაჟს საერთო არაფერი გვაქვს, თუმცა, ზოგიერთ გოგონას ჰგონია, რომ ასეთი ყოფაქცევა მიბაძვას იმსახურებს. შემდეგ მათ პრობლემები ეწყებათ და თავიანთი უფრო წარმატებული მეგობრების ან დების შურთ.

— ფილმში თქვენს დას ფეხსაცმელი ათხოვეთ. ის კი ფეხსაცმლის კოლექციას აგროვებს. რეალურ ცხოვრებაში თუ მოხვედრილხართ ასეთ სიტუაციაში?

— წარმოუდგენელი რაოდენობის ფეხსაცმელი მაქვს, მაგრამ ისევე როგორც ჩემი კინოდა, უმეტესობას ძალიან იშვიათად ვატარებ. ერთ სეზონზე ერთი ფეხსაცმელი მაქვს, რომელსაც ფეხიდან არ ვიშორებ. სხვა დანარჩენები უბრალოდ გარდერობში აწყვია და იქიდან მიყურებენ. მაგრამ ძალიან მსიამოვნებს, ისინი რომ მაქვს.

— რაკი გარდერობზე ჩამოვარდა სიტყვა, რისი ჩაცმა გიყვართ?

— ისევე როგორც ნებისმიერ ქალს, უამრავი ტანსაცმელი მაქვს, მაგრამ რა ჩავიცვა, არ ვიცი. ასე რომ, ჯინსებს ვატარებ.

— მეგის როლზე რატომ დათანხმდით?

— როლის არჩევის დროს ჩვეულებრივ მთლიანად სცენარს ვაფასებ და არა მის რომელიმე ნაწილს. მყავდა მეგობარი მსახიობი, რომელიც ამბობდა, რომ ამა თუ იმ ფილმში იყო სცენა, რომლის თამაშიც უნდოდა. ჩემთვის მთელი ისტორიაა მნიშვნელოვანი, ასე რომ, ისეთ სცენარსა და ისტორიას ვეძებ, რომელიც წინსვლის შესაძლებლობას მომცემს. ფილმის ბოლოს ჩემი დაუდევარი პერსონაჟი სრულიად იცვლება, მიხვდება, თუ რას ნიშნავს სხვისი ადგილის დაკავება.

— ფილმის ნაწილი ფლორიდაში, ხანდაზმულთა სახლშია გადაღებული. რა შთაბეჭდილება მოახდინა მან თქვენზე?

— ვერ მომითმენია იმ დღემდე, როდესაც მათი ასაკისა გავხდები და მთელ დღეებს გოლფის თამაშსა და პლაჟზე სეირნობაში გავატარებ.

— ხანდაზმულთა სახლის ბინადრები თუ გეარშიყებოდნენ?

— დიახ და მეც ვეარშიყებოდი. მიყვარს ასაკოვანი მამაკაცები.

— შირლი მაკლეინი ფილმში თქვენს ბებიას თამაშობს. 50 წლის ასაკში იგი ერთდროულად სამ ფილმში მუშაობდა. თუ ისურვებდით მის ადგილზე ყოფნას?

— ათი წლის წინ ფილმ „ნიღაბთან“ დაკავშირებით ჩემს პირველ პრესკონფერენციაზე რომელიღაც ჟურნალისტმა მკითხა, „როგორი წარმოგიდგენიათ თავი ათი წლის შემდეგ“, მე ვუპასუხე, „იმედი მაქვს, ბედნიერი ვიქნები“. მან შემდეგ ისევ მკითხა, „როგორი როლების შესრულება გსურთ 10 წლის შემდეგ“, რაზეც ვუპასუხე, „მე ისიც კი არ ვიცი, გადაიღებენ კი კინოს ათი წლის შემდეგ საერთოდ?“ დღეს შემიძლია ვთქვა, რომ ბედნიერი ვარ, მსახიობობა კვლავინდებურად მაღელვებს, მომწონს ხალხის წინაშე გამოსვლა. მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს ეს საქმიანობა ჩემთვის სასიამოვნო თუ აღარ იქნება, თავს დავანებებ.

— „შრეკის“ პერსონაჟის, პრინცესა ფიონას რომელიმე შესანიშნავი თვისებებიდან რომელს ამჯობინებდით?

— მომწონს ის მომენტი, როდესაც ფიონა ხვდება, რომ შეიძლება იყოს ისეთი, როგორიც არის და უყვარდეს ის, ვინც უნდა, რომ უყვარდეს.

— ოდესმე თუ შეხვედრიხართ ვინმე ისეთს, რომელიც შრეკს ჰგავდა?

— ვფიქრობ, ჩემს ნაცნობებს შორის იყო რამდენიმე შრეკი.

— ისინი ცოცხლები არიან?

— იმედი მაქვს. კარგი ბიჭები იყვნენ.

— რა უფრო ადვილია, მულტფილმის გახმოვანება თუ კამერის წინ მუშაობა?

— რა თქმა უნდა, გახმოვანება უფრო ადვილია. გაცილებით ნაკლები სტრესია, რადგან თმის დაწყობა, გრიმის დადება არ მიხდება, არც იმაზე მისკდება თავი, რა მაცვია. მხოლოდ საწოლიდან წამოდგომა, თმის დავარცხნა, პირდაპირ პიჟამოში მანქანაში ჩახტომა და სტუდიამდე მისვლა მჭირდება.

— შეგიძლიათ უარი თქვათ 20 მილიონი დოლარის ჩეკზე, თუკი პროექტის მონაწილე ადამიანები არ მოგეწონებათ?

— თავისუფლად. 20 მილიონ დოლარს მხოლოდ მსახიობობისათვის არ მიხდიან. ისინი ჩემგან საკუთარი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ყიდულობენ. სურთ და ჩემგან ძალიან ბევრს მოელიან. მაგრამ ახლა მე უკვე ისეთ მდგომარეობაში ვიმყოფები, რომ შემიძლია საკუთარ თავს მივცე უფლება, არ მივცე ადამიანებს ის, რაც მე არ მომწონს, არ მივცე საშუალება, გამომიყენონ, თუნდაც 20 მილიონ დოლარად.

— როგორ შეიცვალა თქვენი ცხოვრება მას შემდეგ, რაც პოპულარული გახდით?

— „დისნეილენდში“ ან „მეჯიქ მაუნთინში“ წასვლა აღარ შემიძლია. ადრე ოჯახის წევრებთან ერთად ხშირად ვსტუმრობდი, ატრაქციონებზე ვერთობოდით, ახლა კი ქუჩაში სეირნობა, ხალხში შეუმჩნევლად დარჩენა აღარ შემიძლია. არადა, როგორ მიყვარდა. ვისაც არ ვხვდები, ყველას მხოლოდ იმაზე სურს ლაპარაკი, თუ რას ნიშნავს იყო პოპულარული. ცნობილ ადამიანებზეა ყველა შეშლილი. მე კი ვფიქრობ, რომ ეს ჯანმრთელობისათვის საზიანოა.

— თავად თუ გაინტერესებდათ ცნობილი ადამიანები ბავშვობაში?

— მიშელ პფაიფერი მომწონდა, დღემდე მიყვარს იგი. მაგრამ კინოს დიდი თაყვანისმცემელი არ ვყოფილვარ. მართალა, ჰარისონ ფორდზე ვიყავი შეყვარებული და მასზე გათხოვებას ვაპირებდი. ახლა უბრალოდ, მასთან ერთად ერთ ფილმში თამაში მინდა.

— რას ფიქრობთ ქორწინების შესახებ, მას შემდეგ, რაც თქვენი მშობლების დაქორწინების შემდეგ ქორწინების ინსტიტუტმა ასეთი სერიოზული ცვლილებები განიცადა?

— ვფიქრობ, რომ ქორწინება შესანიშნავი რამაა. მომწონს, როდესაც ვხვდები ორ ადამიანს, რომლებმაც თავიანთი ცხოვრება ერთმანეთს მიუძღვნეს. თქვენ მართალი ხართ, ცხოვრება შეიცვალა, ახლა, ოჯახის შექმნაზე რომ მიდგება საქმე, ახალგაზრდებს მეტი არჩევანი აქვთ.

— როგორი თვისებები უნდა ჰქონდეს თქვენს მეუღლეს?

— ვისურვებდი, რომ ქმართან ჩემი ურთიერთობა ჩემი მშობლების ურთიერთობის მგავსი ყოფილიყო, ურთიერთგაგებაზე და ურთიერთგაზიარებაზე იყოს აგებული. მინდა, რომ ქმართან ურთიერთთავსებადი ადამიანები ვიყოთ, რომ ერთმანეთი არ დავხოცოთ.

— ბავშვების ყოლას თუ აპირებთ?

— ახლა ისეთ ასაკში ვარ, რომ ბავშვების ყოლის სურვილი სულ უფრო და უფრო მეტად მძლიერდება. ჩემს გარშემო მრავლად არის მშობლების გარეშე დარჩენილი ბავშვი და რომელიმე მათგანის შვილად აყვანაზე, ვისაც მზრუნველობა და სიყვარული სჭირდება, უარს არ ვიტყოდი.

TV პროგრამა

ოხშაბათი 21 ღეკემბეხი

07.00 ჩვენი დილა **10.00**, **12.00**, **16.00**, **20.00** მოამბე **11.00** სამოთხის ვაშლები **12.30** სერ. "**ანელიას სახე**" **13.30** დოკ. ფილმი "ველური ოქრო" **14.00** მეხსიერება **15.00** სერ. "**პირისპირ**" **17.00** პლანეტა ბასტი-ბუბუ **18.00** დოკ. ფილმი "ვინ მოკლა რასპუტინი" **19.05** "მეხსიერება" **20.45** "ნანინა" **21.00** სერ. "**ანელიას სახე**" **22.00** თოქ-შოუ "არენა" **22.30** ფიფას გალა წარმოდგენა. წლის საუკეთესო ფეხბურთის დაჯილდოვება **00.00** კიკბოქსინგი **01.30** ღამის ჩვენება მაყურებელთა შერჩევით:
ა) მხ. ფილმი "**კაცი მთვარეზე**" (U) (ჯ. ქერი)
ბ) მხ. ფილმი "**წვეულება**" (**12**) (ჯ. ჯეისონ ლი)

19.00 ან. ფილმი "პიტი და კენტროფი" **19.25** ნანინა **19.40** პლანეტა ბასტი-ბუბუ **20.10** მეხსიერება **21.05** სერ. "**პირისპირ**" **22.00** სერ. "**ანელიას სახე**" **22.50** ქართული დოკუმენტალისტიკა **23.40** მხ. ფილმი "**სამახსოვრო დღიური**" (**12**)

07.30 დილა მშვიდობისა **10.00** სერ. "**შურისძიების ცეცხლში**" **11.00** ვანოს შოუ **12.00**, **15.00**, **18.00**, **21.00**, **03.40** კურიერი **12.20** სერ. "**გზა დიდებისკენ**" **13.30** ბიზნეს-კურიერი **14.00** სერ. "**უფრთხილდი ანგელოზს**" **15.25** სერ. "**ჩვენი ოფისი**" **15.50** სერ. "**გულის ძახილი**" **16.50** სერ. "**დონ ხუანი და ლამაზმანი**" **18.30** სერ. "**ჩვენი ოფისი**" **19.00** სერ. "**ჟამი ყვავილობისა**" **19.50** სერ. "**ანხელის საიდუმლო**" **22.00** ჯეოსტარი **00.00** საფეხბურთო ღამე **01.30** პატრული **02.00** მხ. ფილმი "**სინანულის განცდა**" (**18**) (შ. პენი)

08.00 მულტფილმი "კონანი" **09.00** გადაცემა "ტვ დილერი" **11.00** სერ. "**მარია ემილია**" **12.00** სერ. "**ტყუპები**" **12.45** მხ. ფილმი **15.00** სერ. "**ენი მწვანე სახურავების მამულიდან**" **16.00** მხ. ფილმი **18.00** სერ. "**ტყუპები**" **19.00** სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **20.00** ზღაპარიყო **20.15** სიცილი მზეზე **21.25** ვიქტორინა "ქეშ შოუ" **22.30** სერ. "**ჩემი შეყვარებული**" **23.30** სერ. "**სი-ეს-აი**" **00.30** მხ. ფილმი

07.30 იმედის დილა **09.00**, **11.00**, **14.00**, **17.00**, **19.00**, **20.00** ქრონიკა **10.00** სერ. "**ორმაგი თამაში**" **11.25** დოკ. ფილმი "მოგზაურობა დედამიწის გარშემო" **11.50** სპეცრეპორტაჟი ვ. სანაისთან ერთად **12.30** ჟურნალისტის დღიური **15.00** ღამის შოუ **16.00** სერ. "**განრისხებული ანგელოზი**" **17.35** დოკ. ფილმი "მოგზაურობა დედამიწის გარშემო" **18.00** სერ. "**ლაბირინთი**" **19.05** სერ. "**მარადიული ბრძნობა**" **21.00** სერ. "**განრისხებული ანგელოზი**" **22.00** მხ. ფილმი "**ავარია**" (**12**) (ჟ. ვან დამი) **00.00** სერ. "**24-5**" **01.00** მხ. ფილმი "**ღვთის გამოგზავნილი**" (**15**) **03.15** ქრონიკა **03.30** სერ. "**კლონი**"

08.00, **11.30**, **14.30**, **17.30**, **20.30**, **22.30** "დრო" **08.15** მულტფილმი **08.50** მხ. ფილმი "**ჟანდარმი სენტროპედან**" **10.30**, **19.30** სერ. "**ღირსების საქმე**" **11.45**, **21.00** სერ. "**ცხოვრების ქარცეცხლში**" **12.45** მხ. ფილმი "**ქორწილის მომღერალი**" **14.50** "ფერისცვალება" **15.20** მხ. ფილმი "**მონა ლიზას ღიმილი**" **18.00** დოკ. ფილმი **19.00** ნოვოსტი **21.25** ტელევიქტორინა **23.00** პერსონა **00.40** მხ. ფილმი "**ორი მთვარის შერწყმა**"

ერთსულოვნება **09.10** დილის პროგრამა "განთიადი" **10.10** სატ. არქივიდან **10.55** კვირიაკე **11.55**, **14.55**, **17.55**, **20.55**, **23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00**, **15.00**, **18.00**, **21.00**, **00.05** საგალობელი **12.10** მხ. ფილმი "**დღე პირველი, დღე უკანასკნელი**" **13.30** კონცერტი **15.05** საეკლესიო კალენდარი **15.10** დოკ. სერ. "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **15.35** მხ. ფილმი "**მანანა**" **17.00** დოკ. ფილმი "ველური ბუნება" **17.30** გაცოცხლებული წარსული **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **18.30** სატ. არქივიდან **19.15** მხ. ფ. "**ხსოვნა**" **1**-ლი ს. **20.35** ძილი ნებისა **21.10** პატრიარქის ქადაგება **21.30** დედა ეკლესია **22.00**, **00.00** სიახლენი **22.20** საეკლესიო კალენდრის შესახებ **23.00** სალამოს ლოცვა **23.15** მართლმ. ფილმების ფესტივალი "წმინდა ანდრიას ჯვარი". დოკ. ფილმი "ჩემო პატრიარქო"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

საქართველოს ეროვნული ბანკი
2009 წლის 21 დეკემბრის ლარის მიმართ
უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი დაუფიქსირა:

აშშ დოლარი — 1,6825	ევრო — 2,4035
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,7536	რუსული რუბლი — 0,0533

ალმოსავლეთ საქართველო: ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 11-12, ღამით — 4-8
დასავლეთ საქართველო: ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 18-21, ღამით — 19-12
სამხრეთ საქართველო: ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 1-2, ღამით — -8-6

ამინდის პროგნოზი
21 დეკემბრისთვის

ქართული ფლორის საოცრება
„სალხინო"
უებარი წამალია

„სალხინო" ეკოლოგიურად სუფთა მცენარეული ნედლეულისაგან მიღებული წამალია.

პრეპარატ „სალხინოს" ახასიათებს ანტიბაქტერიული, ანტისეპტიკური, სპაზმოლიზური, ტკივილგამაყუჩებელი, შარდმდენი მოქმედება. ხსნის შეშუპებებს, არეგულირებს სხეულის ტემპერატურას.

წამალი გამოიყენება მასტიტების, მასტოპათიების, ჭრილობების, კანისა და ლორწოვანის ჩირქოვანი და ანთებითი პროცესების დროს. პირის ღრუს სასუნთქი და საშარდე სისტემის ჩირქოვანი ანთებითი დაავადებების, ბრონქიტის, რინიტის, გინგივიტის, პაროდონტიტის, პიელონეფრიტის, კოლპიტის, ენდომეტრიოზის, პროსტატიტის, ცისტიტის, შარდის შეუკავებლობის, ქოლეცისტიტის, კოლიტის, ბუასილის მკურნალობისა და პროფილაქტიკისათვის, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მოქმედების მოსაწესრიგებლად, რბილი ქსოვილების ჩირქოვანი ანთებითი პროცესების სამკურნალოდ.

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას.

"სალხინის" შესახებ ვრცლად ინფორმაცია მოთავსებულია ვებ-გვერდზე www.salkhino.ge წამალი იკითხეთ აფთიაქებში.

ბარსა მსოფლიოს ჩემპიონია — მეექვსე ტიტული ერთ სეზონში

ესეც ნლის მეექვსე ტიტული — „ბასელონას" ნლევანდელმა სეზონმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა და ყველა ტუნინი მოიგო, რომელშიც მონაწილეობდა. ასოხი ეი მსოფლიოს საუკეთესო ჩემპიონობა იყო, რომელიც შაბათს გაიფოხმა ანგენტინელ „ესტუდიანტესთან" მატჩში და რომელიც აბუ-დაბიში გაიმართა.

„ზაიედ სპორტს სიტიზე" ჩატარებული 120-წუთიანი მატჩის მანძილზე კატალონიელები უდავო უპირატესობას ფლობდნენ, მაგრამ მორიგი ტიტულის მოპოვება გვარიან ოფლისღვრად და ნერვიულობად დაუჯდათ. საწყის წუთებში „ბარსელონა", როგორც სჩვევია, ბურთს აკონტროლებდა და რამდენჯერმე მწვავედაც შეუტია, მაგრამ უპირატესობის გოლად გარდასახვა ვერ მოახერხეს. მატჩის 37-ე წუთზე კი არგენტინელი გუნდის მარცხენა ფლანგზე დაწყებული კონტრშეტევა ხუან მანუელ დიასმა საჯარიმოში ჩაანოდა, სადაც ერიკ აბიდალთასა და კარლეს პუიოლს შუაში გაუძვრა მარიო ბოსელი, რომელმაც ორივე მცველს დასწრო და მძლავრი თავური დაჰკრა — ვიქტორ ვალდესმა ბუროს ხელი კი წაატანა, მაგრამ გუნდის გადარჩენა ვერ შეძლო.

გაშვებული გოლის შემდეგ „ბარსელონამ" კიდევ უფრო უმატა ტემპს, ხოლო მეორე ტაიმში დიდ უპირატესობას ფლობდა. პეპ გვარდიოლამ საყრდენი ნახევარმცველი სეიდუ კეიტა მოხსნა და მის ნაცვლად თავდამსხმელი პედრო შეუშვა. სწორედ ეს ახალგაზრდა ფეხბურთელი იქცა კატალონიელთა მხსნელად. მართალია, თავიდან პედრომ ორი ურეალურესი მომენტი გაანიავა — ჯერ ცარიელი კარის წინ მდგომმა, ბურთს ფეხი აიცილა, ხოლო შემდეგ უკვე მცველებმა არ დაიცალეს და თავგანწირვით ჩაუვარდნენ ფეხებში. პედროს გარდა, საგოლე მომენტები სხვა კატალონიელ ფეხბურთელებსაც ჰქონდათ, განსაკუთრებით აქტიურობდნენ ზლატან იბრაჰიმოვიჩი და ტიერი ანრი, რომლებიც მარჯვენა ფლანგზე ერთმანეთს ენაცვლებოდნენ.

მაშინ, როდესაც მატჩის დასრულებამდე ერთი წუთი რჩებოდა და ყველას ეგონა, რომ მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულს ალეხანდრო

გაგრძელება მე-9 გვერდზე

ყველამ გაითვალისწინეთ!

წარმატებული დღეა

ასტროპროგნოზი
21 დეკემბრისთვის

ვერძი — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ჯარო** — რისკი არ არის გამართლებული, ეს დღე მშვიდად გაატარეთ. **ტყუპები** — გზიდან ფულს მიიღებთ, შეიძლება ვიღაც ჩამოვიდეს კიდეც. **კირჩხიბი** — ეს დღე მშვიდად გაატარეთ, ზედმეტი აქტიურობა არ ღირს. **ლომი** — სახლში სიახლეა, ძვირფას ნივთს შეიძენთ. **ქალწული** — ახალი წამოწყება გაამართლებს, იაქტიურეთ. **სასწორი** — პოზიტიური დღეა, ყველაფერი გამოგივათ. **ღრმანაკალი** — ყური მიუგდეთ ინტუიციას, ის არ გიღალატებთ. **მშვილდოსანი** — ის საქმე აკეთეთ, რაც კარგად იცით. **თხის რქა** — იყავით მიმტევებელი, განსაკუთრებით ახლობლების მიმართ. **მერწყული** — არ აჩქარდეთ, საქმე მშვიდად აკეთეთ. **თევზები** — რისკი არ არის გამართლებული, ეს დღე მშვიდად გაატარეთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოხდი



თარაზულად: 5. შაქრიანი ხილის წვენი; 6. საპატიო ქალი ძველ რომში; 8. ბატკნის მოგების დრო; 9. მოცარული დარტყმა ბილიარდში; 10. თოვლის ჯიქი; 11. კათოლიკური ეკლესიის მეთაური; 13. შტატი აშშ-ში; 14. ფინური აბანო; 16. ნათესების მავნებელი მწერი; 18. ქიმიური ელემენტი; 20. პატარა საზღვაო თევზსაჭერი გემი; 21. მუსიკალური ნაწარმოების სიტყვიერი ტექსტი.

შვეულად: 1. „მდოგვის გაზი"; 2. საგამოფენო დაფა; 3. ვნებიანობა; 4. ანდამატი; 5. სამკურნალო ნივთიერება, აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას; 7. მალამო; 11. აზელილი კარტოფილი; 12. გეოგრაფიულად ეროგვაროვანი დიდი სივრცე; 13. სპილოს მსგავსი გადაშენებული ცხოველი; 14. ტრიგონომეტრიული ფუნქცია; 15. ქიმიური ელემენტი; 17. ბელელი ანუ...; 19. ქალაქი საფრანგეთში.

შეადგინა ოლივერ კოხიამ

იუმორი

***

ტიპი ცოლთან ერთად თეატრში მივიდა. მეორე განყოფილება რომ დაიწყო, ტუალეტში გასვლა მოუნდა. ფრთხილად გამოვიდა დარბაზიდან და საპირფარეშოს ძებნა დაიწყო. სიბნელეში რაღაც კარი გამოალო, რის ვიავაგლახით გაიკვლია გზა ძველმანებსა და ხარახურაში, ბაღის ბუტაფორიულ დეკორაციებს მიადგა და ნაკადული მიუშვა. შემდეგ უკან, თავის ადგილზე დაბრუნდა და ცოლს ეკითხება:

— მეორე მოქმედებაში რამე მნიშვნელოვანი ხომ არ გამომრჩა?

— მთავარი როლი შენ ითამაშე...

***

ზაფხულია, ცხელა. ტიპი აღმართს ველოსიპედით მიუყვება, როგორც იქნა, აათავა აღმართი, ხედავს, ტბის ნაპირას მეთევზე დგას, ანკესი წყალში გადაუგდია და თევზაობს. ახლოს მივიდა და ეკითხება:

— თევზაობ?

მეთევზეს ხმა არ ამოუღია.

— ვერ გაიგე? თევზაობ?

მეთევზემ პირში წყალი ჩაიგუბა.

— თევზს იჭერ-მეთქი?

კვლავ დუმილი.

ჩაიქნია ტიპმა ხელი, ველოსიპედს მოაჯდა, დაღმართზე ჩამოსრიალდა. უცბად უკნიდან ვიღაცამ დაუძახა. მოიხედა, ხედავს მეთევზე ხელს უქნევს, რაღაცას ანიშნებს. ტიპი შემოტრიალდა, აღმართს აასკდა, ძლივს სუნთქავს, მეთევზესთან მივიდა, ის კი ეკითხება:

— ველოსიპედით სეირნობ?

გ.თ.

ჰაზე მეტყველებს თქვენი ხელნერა?

ტესტი

1. ასოების ზომა:
ა. ძალიან პატარა (3), ბ. პატარა (7), გ. საშუალო (17), დ. მხვილი (2).

2. ასოების დახრა:
ა. მარცხნივ (2), ბ. ოდნავ მარცხნივ (5), გ. მარჯვნივ (14), დ. კვეთრად მარჯვნივ (0), ე. პირდაპირ (5).

3. ასოების ფორმა:
ა. მომრგვალებული (9), ბ. უფორმო (19), გ. კუთხოვანი (19).

4. სტრიქონების დახრა:
ა. ზემოთ (16), ბ. პირდაპირი სტრიქონები (12), გ. ქვემოთ (1).

5. ინტენსიურობა და კალმის დაწოლის ძალა:
ა. მსუბუქი (8), ბ. საშუალო (15), გ. ძალიან ძლიერი (2).

6. წერის მანერა:
ა. გადაბმული ასოები (11), ბ. განცალკევებული ასოები (18), გ. შერეული (15).

7. ზოგადი შეფასება:
ა. აკურატული (13), ბ. ზოგი ასო იკითხება, ზოგი არა (9), გაურკვეველი (4).

პასუხები

45 ქულაზე ნაკლები: ავადმყოფი ან ძალიან ხანდაზმული ადამიანების ხელწერა.

45-55 ქულა: გაუბედავი, პასიური, ფლეგმატური ადამიანი.

55-75 ქულა: გაუბედავი, რბილი, დახვეწილი მანერების მქონე ადამიანი.

75-85 ქულა: პირდაპირი, გულახდილი, საკუთარი ღირსების შეგრძნების მქონე ადამიანი.

85-95 ქულა: პირდაპირი და კეთილსინდისიერი ადამიანი მდგრადი ფსიქიკით.

95-105 ქულა: ინდივიდუალისტი, ფეთქებადი ხასიათის, სხვაზე დამოკიდებული, ნიჭიერი ადამიანის ხელწერა.

105-ზე მეტი: უპასუხისმგებლო ადამიანი ზოგჯერ არადისციპლინირებული, უხეში.

გ.თ.

ოთარ კობერიძის იუბილე რუსთაველის თეატრში აღინიშნება

ეკა ირემაშვილი

ქართული კინოს ნამდვილი ვარსკვლავის ოთარ კობერიძის 85 წლის იუბილე საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ორგანიზებით შოთა რუსთაველის თეატრში აღინიშნება.

21 დეკემბერს მსახიობის 85 წლის იუბილესადმი მიძღვნილ საღამოში თეატრისა და კინოს ცნობილი ვარსკვლავები მიიღებენ მონაწილეობას. სპეციალურად ამ დღისთვის წარმოდგენილი იქნება კინოალმანახი, რომელშიც ოთარ კობერიძის მიერ შესრულებული როლები იქნება გაერთიანებული.

საიუბილეო საღამოზე მუსიკალურ ნომრებს საქართველოს ეროვნული მუსიკალური ცენტრის ორკესტრის შესრულებს, რომელსაც ნიკა მემანიშვილი უდირიჟორებს.